გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ქართველების გადასარჩენად

ილორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

E-mail: roland.jalagania@mail.ru

E-mail: r.jalagania@mail.ru

№391 (450) 13-20 დეკემბერი 2016 წ. სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო ფასი 50 თეთრი

სირცხვილი ის კი არ არის, რომ მეგრულად ლაპარაკობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიცით მეგრული ენა – აკაკი შანიძე

ჰამლეტ ჭიპაშვილი: საქართველოს “ევროპული ყაიდის” ხელისუფლება ჰყავს

გვ.2

უმცროსკლასელებს ჰომოსექსუალური სცენების შემცველი რომანები დაურიგეს

გვ.3

კოლოსალური პრემიები შსს-ში – რამდენი მილიონი აიღეს დარიბაშვილის მინისტროობის დროს პოლიციის მაღალჩინოსნებმა

გვ.6



დაგვიანებული მადლობა ბატონ ოთარ ფაცაციას!

გვ.4

სერგი საჯაია: როდესაც გულაჩუყება სირეგვნეში ჩასადგურებით ღალატისკენ იბილიკებს სვლაგეზს, ანუ...

გვ.8

ნასა-მ მარსის კოლონიზაციის შემდეგ მთავარი სამიზნე დაასახელა

გვ.6

მაქვს ინფორმაცია, რომ აგვისტოს ომის შემდეგ... ინკოგნიტო რესპონდენტის ინტერვიუ

გვ.5

ნონა გაფრინდაშვილი: „რა მომცა ჭადრაკმა? ყველაფერი, ფულის გარდა!“

გვ.7

ჩემი თავი შევთავაზე ახალაიას — გიორგი დგებუაძე ნავთლულის სპეცოპერაციაზე

გვ.6

კალმახის ქვირითობა მარტვილის კანიონში

გვ.12

ილორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს "ევროპული ყაიდის" ხელისუფლება ჰყავს

ესეც ასე. ახალმა პარლამენტმა ახალ-ძველი მთავრობა დაამტკიცა. არ გამართლდა ვარაუდები სამინისტროების შემცირებასთან დაკავშირებით, რაც აშკარა მანიშნებელია იმისა, რომ მომავალი 4 წელიც ისეთივე უნაყოფო იქნება, როგორც გასული **„ოცნებური“** 4 წელი. სამინისტროების შემცირებაზე არა მარტო ადგილობრივი ექსპერტები და მეტნაკლებად საქმეში ჩახედული ადამიანები ლაპარაკობდნენ, არამედ უცხოელი სპეციალისტებიც.

მძიმე ეკონომიკურ კრიზისში მყოფი ქვეყნისთვის, ღრმა ეკონომიკური რეფორმების გატარება აუცილებელია – მათ შორის აღმასრულებელი ხელისუფლების შტოების ოპტიმიზაცია. სამინისტროების რაოდენობის შემცირება, ხოლო დარჩენილში, საშტატო ერთეულის გონივრულ ზღვრამდე დაყვანა, ცხადია არა დამლაგებლების ხარჯზე, აუცილებელი და პირველ რიგში გადასადგმელი ნაბიჯია ეკონომიკის გაჯანსაღებისთვის. სამწუხაროდ **„ოცნებამ“** არც შინაურის და არც გარეულის რეკომენდაცია არ გაითვალისწინა და იმ ნაცად გზას დაადგა, რასაც 4 წლის განმავლობაში ტკეპნიდა.

ქვეყანაში, სადაც ქარხანა-ფაბრიკები არ გუგუნებს და პროდუქცია არ იქმნება, გუგუნებს ისეთი **„ქარხნები“**, როგორებიცაა პარლამენტი და მთავრობა. ამ უკანასკნელთა **„გუგუნისთვის“** იხარჯება რის ვაივაგლახით, ბაზრობიდან-ბაზრობაზე ნავაჭრით **„გამდიდრებული“** სახელმწიფო ბიუჯეტი. მათი სამუშაო პირობების მოწყობას ხმარდება ხალხის ნაოფლარი – ახალი ავტომანქანების, კომპიუტერების, ავეჯის, სხვა საკანცელარიო აქსესუარების შეძენას. ყოველივე ადნიშნულს უდავოდ დაემატება საზღვარგარეთ ვოიაჟების თანხები – რაც მეტია სამინისტრო, მით მეტი თანხა შთაინთქმება სამინისტროელი თუ კანონმდებელი პირების მივლინებებში.

როდესაც უცხოელი ექსპერტები გირჩევენ საბიუჯეტო ორგანოების (მთავრობის) შემცირებას და შენ კი ჯიუტად შენსას აგრძელებ – სახელმწიფოს ფეხზე დაკიდება ჰქვია. ხელისუფლება კი, რომელიც მსგავს ქმედებას სჩადის არაკომპეტენტური, ღორმუცელა, თავისის არმცოდნე, სხვისი ცოდნის ფეხებზე დამკიდეა.

სახელმწიფო, რომელიც ხალხის ნაშრომს ტუალეტში უშვებს – ფეხზე ვერასდროს დადგება. **„ტუალეტს“** რომ ვახსენებ, ის მაქვს მხედველობაში, აღმასრულებელი ორგანოების მუშაკების უაზრო ლაყბობა რომ ჰქვია. მათი **„შრომის“** მარგი ქმედების კოეფიციენტი მონელების ტოლფასია. არადა, რა შანსი გაუშვა ხელიდან **„საოცნებო“** ხელისუფლებამ, კონსტიტუციური უმრავლესობით **„გამარჯვების“** შემდეგ?

მას უყოყმანოდ შეეძლო სახელისუფლებო სისტემის კარდინალური გარდაქმნა, მეტადრე შემცირება, ამით საზოგადოებრივი აზრისთვის ანგარიშის გაწევა. სახელმწიფოს უდავოდ წაადგებოდა ევროპასთან ინტეგრაციის, შერიგების, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროების გაუქმება და სხვადასხვა სამინისტროებისთვის შერწყმა. მხოლოდ ერთის – დიასპორის სამინისტროს გაუქმება დიდი ვერაფერი შეღავათია ქვეყნის ბიუჯეტისთვის.

ზემოთმოყვანილი სამინისტროების გარდა სხვა დარჩენილის შემცირებაც იქნებოდა შესაძლებელი, ხელისუფლებას რომ გონივრულად განეხილა ეს საკითხი. არ განიხილა. უპირველეს ყოვლისა საკუთარი ნათესავების ხათრით. ისინი ხომ, სახელმწიფოს ხარჯზე დასაქმებულები, შესანიშნავად გრძნობენ თავს.

როგორც ჩანს არც სოკოებივით მომრავლებულ საელჩოებს შეუდგება წყალი. ეკზოტიკურ ქვეყნებში გახსნილი საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობები ხომ ნათესავებისა და მეგობრების უცხოური ნაკრძალია. არადა, მათი მუშაობა მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ წინ აღუდგნენ მასპინძელი ქვეყნის ხელისუფლებას აფხაზეთისა და სამხრეთ-ოსეთის აღიარების მცდელობაში. ასეთი განმარტება მივიღე ერთ-ერთი ქართველი **„დიპლომატისგან“**. საქართველოს უდავოდ არ სჭირდება ისეთ ქვეყნებში დიპლომატიური მისიების ყოლა, რომელთანაც არც პოლიტიკურად და არც ეკონომიკურად არაფერი გვაკავშირებს.

სერიოზული განსჯის თემად უნდა იქცეს აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთის **„აქაური“** ხელისუფლების არსებობა. თუ ჩვენ ვაპირებთ განდეგილებთან დიალოგის დაწყებას, მაშინ ესენი უდავოდ მიუღებელი იქნება მათთვის. არაერთხელ გამოუთქვამთ **„ნამდვილ“** აფხაზებს **„აქაური“** აფხაზური ხელისუფლების მისამართით ნეგატიური მოსაზრება. ეს საკითხი პოლიტიკურია – გვესმის ხელისუფლებიდან. განა პოლიტიკური არ არის ქვეყნის გამთლიანება? და თუ რამე ხელს უშლის ამ პროცესს, არ უნდა გადავწყვიტოთ?!

„ახალი“ აღმასრულებელი ხელისუფლების დამტკიცების შემდეგ **„საოცნებო“** უმრავლესობის წევრებმა ერთხმად განაცხადეს, რომ აირჩიეს ევროპული ყაიდის პრემიერ-მინისტრი და მინისტრები, რითაც კიდევ ერთხელ გაუსვეს ხაზი საკუთარ არაკომპეტენტურობას, ხელისუფლებისადმი მაამებლურ დამოკიდებულებას. საინტერესოა, როგორ განმარტავენ ისინი **„ევროპული ყაიდის“** პოლიტიკოსს?

ჩემი განმარტება კი ასეთია: ევროპული ყაიდა პოლიტიკაში და არა რემონტში (ევრორემონტი) ნიშნავს წინასაარჩევნო დაპირებების სრულ თუ არა, ნაწილობრივ შესრულებას, რასაც განვლილი 4 წლის განმავლობაში სულაც არ ჰქონია ადგილი. **„ევროპული ყაიდა“** ნიშნავს საკუთარი აზრის უპრობლემო გამოხატვას, საკუთარი გეგმების ვიღაც უცხოელი **„ბოსის“** გარეშე განხორციელებას, რასაც ამ ქვეყანაში არ აქვს ადგილი.

„ევროპული ყაიდა“ ნიშნავს გამოცდილი, ასაკოვანი პროფესიონალების ყოლას მთავრობაში. შეხედეთ ევროპას, აშშ-ს. ვერც ერთ თინეიჯერს ვერ იხილავთ ევროკავშირში შემავალი ქვეყნების მთავრობებში. რაც შეეხება აშშ-ს არჩეულ პრეზიდენტ ტრამპს, მან მხოლოდ 65 წელს გადაშორებული მინისტრების კანდიდატურები განიხილა. საქართველო არ ჰგავს მათ, ანუ, შორს არის **„ევროპული ყაიდისგან“**. ჩვენ ისეთები ვართ, როგორც უკრაინელები, რომლებმაც ყოველგვარი რეაქციის გარეშე მიიღეს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ პორნომსახიობი 24 წლის გოგონას დანიშვნა.

პარლამენტმა მექანიკურად დაამტკიცა ივანიშვილის მიერ შერჩეული მთავრობა – ეს არის და ეს. მსგავს პოლიტიკურ სისტემას არათუ ევროპაში, სხვაგანაც ვერ შეხვდებით. პრემიერი და მინისტრები თვალში რომ შესციცინებენ უგვირგვინო მეფეს ანუ ივანიშვილს, ვერაფრით ჩაითვლება **„ევროპული ყაიდისად“**. პარლამენტის უმრავლესობის ქებას საკუთარი მთავრობის მიმართ საზღვარი არ აქვს, ისე, როგორც ქვეყნის მართვის **„ოცნებისეულ“** უვიცობას.

მთავრობის წევრობის კანდიდატებთან შეხვედრის დროს ვიცე-სპიკერმა ინაშვილმა შავი დღე აყარა კულტურის მინისტრს, სხვებსაც. გაუხსენა საყდრისი, მუზეუმებში შექმნილი მძიმე მდგომარეობა. დარწმუნებული ვარ მინისტრ გიორგაძეს, პარლამენტის შენობის დატოვებისთანავე მიავიწყდა მწვავე კრიტიკა. ის, ისე არხეინად განაგრძობს თავის **„მოღვაწეობას“**, როგორც აქამდე. არადა, მუზეუმების უკიდურესად საგანგაშო მდგომარეობა მინისტრის, მთელი მთავრობის ჩარევას მოითხოვს. განსაკუთრებული SOS-ის სიგნალია დასარისხებელი ხელოვნების მუზეუმში, რომელიც თვალსადახელსშუა გვადნება, მშვლელელი კი არ ჩანს.

სულ ახლახანს ჟურნალისტმა ნინო მიქიაშვილმა ტელეკომპანია **„ობიექტივის“** ეკრანიდან გვაჩვენა ის უმძიმესი ვითარება, რაც წლების განმავლობაშია შექმნილი ამ მუზეუმებში. ჟურნალისტი სისტემატურად გვიყვება საყდრისის, ხელოვნების მუზეუმის, სხვა მუზეუმების გაუსაძლის მდგომარეობაზე, მაგრამ რეაგირება ხელისუფლების მხრიდან ნულის ტოლია.

არათუ პრემიერ-მინისტრი და მისი აპარატი, არამედ კულტურის მინისტრი და მისი მოადგილეები არაფრად აგდებენ საგანგაშო ზარებს და უდარდელად განაგრძობენ თავიანთ **„შემოქმედებას“**. მათთვის ქართული კულტურა და ისტორია მხოლოდ ისაა, სუფრაზე რომ თავმომწონედ დაიტრაბახებ, მით უმეტეს უცხოელებთან.

ხელოვნების მუზეუმი თავისი უნიკალური ექსპონატებით სწორედ ქართული კულტურისა და ისტორიის ამსახველი საგანძურია. მისი ფასი ერისთვის განუსაზღვრელია, მაგრამ იციან კი დღევანდელმა პარლამენტარებმა, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ამ ჭეშმარიტების შესახებ?

ვეჭვობ, რომ იცოდნენ. უფრო მეტიც, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება – რომ ერთხელაც არ ყოფილან ხელოვნების მუზეუმში – მათ შორის კულტურის მინისტრიც. **„როგორ გეკადრებათ, იყოო“**, – მეტყვიან. კეთილი, თუ იყო, სად ჩანს ნაკვალევი ყოფნისა? რა გაკეთდა მისი **„ბრძნული“** მითითებით?

ამ მუზეუმს არაფერი ეტყობა ზემდგომის მიერ მონახულების. სრული უპატრონობაა, ქაოსი, მტვერი და სარდაფებში ჩაგუბებული წყალი. ნესტი კლავს შენობას და იქ არსებულ ექსპონატებს. არადა, საბჭოთა პერიოდში ხელოვნების მუზეუმი იმ ღირსშესანიშნაობათა ნუსხაში იყო, უპირველესად რომ აჩვენებდნენ საქართველოში ჩამოსულ უცხოელებს, მათ შორის მადალი რანგის სახელმწიფო დელეგაციებს. ვინ არ სტუმრობდა ამ მუზეუმს – მეფეები და დედოფლები, პრეზიდენტები თუ პრემიერ-მინისტრები, პარლამენტარები, სახელგანთქმული უცხოელი ხელოვნების და კულტურის მუშაკები.

მუზეუმი ერის სარკეა, მითუმეტეს ხელოვნების მუზეუმი, რაც არ იცის ხელისუფლებამ. არცოდნა ერთია, მაგრამ როდესაც სისტემატურად ცდილობენ ხელისუფლების ყურადღების მიპყრობას, არ უნდა გამოფხიზლდე?! 4 განვლილი წლის განმავლობაში რომ ვერ გამოფხიზლდა, ასეთისგან რას უნდა მოველოდეთ?

მუზეუმის დასამარების პროცესი სააკაშვილმა წამოიწყო, როდესაც ყველა მუზეუმის დირექტორად სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი ლორთქიფანიძე დანიშნა – პიროვნება აშკარად შეუფერებელი სამუზეუმო საქმისთვის. 20 მუზეუმი ერთი მმართველის ხელში ტრაგედიად იქცა მუზეუმებისთვის – უპატრონოდ მიტოვებულები ექსპონატები ჭუჭყმა და მტვერმა შეჭამა. ლორთქიფანიძე კი ხარობს, ისე, როგორც კულტურის მინისტრი გიორგაძე, ხელისუფლება.

საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ ხელისუფლება არც გაზეთებს კითხულობს და არც ტელევიზიას წყალობს, მაგრამ ნუთუ არ შეიძლება მან აპარატში გამოჰყოს მოხელე, რომელიც თვალს მიადევნებს კრიტიკულ განცხადებებს და მიაწვდის პრემიერს?

გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში გერმანული მხარის მიწვევით სტაჟირებას გავდიოდი გერმანიის ბუნდესტაგში. აპარატის სტრუქტურის გაცნობისას მასპინძლებმა შემომთავაზეს პრესის სამსახურის გაცნობა. დილის 5 საათზე წამიყვანეს ამ დეპარტამენტში, რომელიც კითხულობს და ახარისხებს გერმანიის თითქმის ყველა ჟურნალ-გაზეთში გამოქვეყნებულ სტატიებს, სადაც მოხსენებულია ბუნდესტაგი. გაცნობის შემდეგ დეპარტამენტის თანამშრომლები აკეთებენ ამონაჭრებს გაზეთებიდან და სპეციალურ ჟურნალში აწებებენ, რომელსაც დილის 8 საათზე დებენ ბუნდესტაგის თავმჯდომარის მაგიდაზე.

ბუნდესტაგის თავმჯდომარე, სამსახურში მისვლისთანავე ეცნობა მასალებს და 10 საათზე აწყობს ბრიფინგს ჟურნალისტებისთვის, რომლის დროს ის პასუხს სცემს კრიტიკულ გამონათქვამებს. რაც შეეხება უცხოურ გამოცემებს, რომლებიც დილის 10 საათზე ხვდება ბუნდესტაგში, ანალოგიურ დამუშავებას გადის და დღის 12 საათზე ბუნდესტაგის თავმჯდომარე, ბრიფინგზე სცემს მათ პასუხს.

ჩვენთვის, ამ დამქანცველ რიტუალს, რომელიც იქ ჩვეულებრივად ითვლება – ყოველ დღე აქვს ადგილი. ამას ჰქვია **„ევროპული ყაიდის“** მუშაობა და არა იმას – 4 წლის განმავლობაში პასუხი არ გასცე ხელოვნების მუზეუმის თანამშრომლების არაერთ კრიტიკულ წერილს – გამოქვეყნებულს **„ასავალ-დასავალ“**-სა და სხვა გაზეთებში. ფეხებზე დაიკიდო ჟურნალისტ ნინო მიქიაშვილის საფუძვლიანი გამოკვლევა.

საქართველოს პარლამენტი და აღმასრულებელი ხელისუფლება შორს არის იმ სახელიდან, **„ევროპული“** რომ ჰქვია. რასთანაც ახლოა, ქართული ფეხებზე დაკიდებაა. მუზეუმების საკითხი გამონაკლისი არ არის, სხვა უამრავი ყოფითი საკითხები რეაგირებას მოითხოვს.

ახალ მთავრობასთან შეხვედრის დროს ოპოზიციამ, **„ნაციონალების“** სახით, ის რეალობა ააფრიალა, რასაც აქვს ადგილი. მოგვწონს თუ არა, **„ნაციონალები“** მართლები არიან, თუმცა ვინ იცის, ისინი რომ ხელისუფლებაში ყოფილიყვნენ, განა უკეთესად იმუშავებდნენ?

9-წლიანი გამოცდილებიდან გამომდინარე, **„ნაცებმა“** რომ ხალხს არგუნეს, უდავოდ საშინელი იყო. ოპოზიციაში მყოფნი სხვაგვარად იქცევიან, რასაც აჟღერებენ ლართან, კრიმინოგენურ ვითარებასთან, დაქცეულ ეკონომიკასთან, სამთავრობო კადრებთან და სხვა ნეგატიურ მოვლენებთან დაკავშირებით – მართლები არიან. და თუ ეს ასე არ არის, ხელისუფლებამ დაარწმუნოს ხალხი – ფუჭი დაპირებების, გაუკეთებლის, გაკეთებულად მოჩვენების ნაცვლად – საქმით.

ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს საზოგადოების ნაწილის განცხადება – ვაცალოთ, ჯერ ადრეა შეფასებაო. ყოველი ახალი ხელისუფლება, ცხადია დასავლეთში, მაქსიმალურად ცდილობს საქმის სწრაფად კეთებას. ავიღოთ პრეზიდენტად არჩეული ტრამპი. მან უკვე გამოაცხადა, რის გაკეთებას აპირებს 20 იანვრიდან დაწყებული, 100 დღის განმავლობაში. ეს პროგრამა იდენტურია იმისა, რაც მან არჩევნებამდე გააჟღერა. ეს კი დაპირების შესრულებას ნიშნავს, თანაც სწრაფად, ვინაიდან იცის, რომ მისთვის 4 წელია გამოყოფილი და თუ კვლავ გაიმარჯვებს – კიდევ ოთხი, მთლიანობაში – რვა.

ასეა იმ დალოცვილ დასავლეთში, ჩვენ რომ გაუაზრებლად ვცდილობთ მორგებას და ვერაფრით ვხდებით, რომ ნათხოვარი პიჯაკივით გვაქვს. ტლანქი, გაუთლელი, უხეში სხეული – ფაქიზ კოსტუმს ვერ მოირგებს. დიეტაზე ჯდომის, სულის და გონების ვარჯიშის გარეშე იქაური არ მოგვერგება.

ჰამლეტ ჯიპაშვილი,
პოლიტოლოგი

ᲣᲛᲪᲠᲝᲡᲙᲚᲐᲡᲔᲚᲔᲑᲡ ᲰᲝᲛᲝᲡᲔᲥᲡᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲪᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲪᲕᲔᲚᲘ ᲠᲝᲛᲐᲜᲔᲑᲘ ᲓᲐᲣᲠᲘᲕᲔᲡ

«როცა საღამოობით მუხლებზე მდგარი, ფიქრებში ფეხებზე ვეხვევი, ამ ფეხების სიმკვრივე მაოცებს, მაბნევს და ერთმანეთში მერევა. და მოგონება, რომელსაც ჩემი ღამეების საძოვარს სიამოვნებით ვუთმობ, შენზეა, უძრავად რომ იწექი, ვიდრე გეფერებოდი; და მხოლოდ შენი ამდგარი, მოცახცახე ასო მეჭრებოდა ხახაში იმ მაწანწალას მოულოდნელი გამხეცებით, რომელიც შლაპის ქინძისთავით იჩხვლეტს გულ-მკერდზე სისხლიან ხორცმეტს; შენ არც ინძრეოდი, არც გეძინა, არც ოცნებობდი, სადღაც შორს იყავი, უმოძრაო და გაფითრებული, გაშოტილი იყავი განიერ საწოლზე, რომელიც ზღვის ზედაპირზე მოტივტივე კუბოს ჰგავდა». აღნიშნული ტექსტისთვის მკითხველს ბოდიშს ვუხდით, მაგრამ ეს არის ციტატა მე-20 საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე სკანდალური ფრანგი მწერლისა და დრამატურგის, ჟან ჟენეს ავტობიოგრაფიული რომანიდან **«ნოტრ-დამ-დე-ფლერი» («ყვავილების ღვთისმშობელი»),** რომელიც ქალაქ თბილისის 147-ე სკოლის VI კლასის მოსწავლეებს სახლში წასაკითხად გაატანეს. წიგნი, რომელშიც მწერალი საკუთარი ჰომოსექსუალური გამოცდილების შესახებ მოგვითხრობს, ზრდასრული მკითხველისთვის კი არა, სკოლის მოსწავლეებისთვის იყო გამიზნული! ერთ-ერთი ასეთი მოსწავლე, სასულიერო პირის, მამა დავით ლასურაშვილის 11 წლის შვილი აღმოჩნდა. გაზეთ **«საქართველო და მსოფლიოს»** სიონის საკათედრო ტაძრის მოძღვარი, დეკანოზი მამა დავით ლასურაშვილი ესაუბრება:

– ჩემი შვილი 11 წლისაა და VI კლასში სწავლობს. ამ ცოტა ხნის წინ ბავშვმა სკოლიდან მოიტანა ფრანგი მწერლის, ჟან ჟენეს, წიგნი **«ნოტრ-დამ-დე-ფლერი»,** რომელშიც ავტორი დაწვრილებით საუბრობს ორალურ სექსზე, აღწერს სექსუალურ სცენებს, წიგნი საშინელი სიბილწის შემცველი ტექსტებითაა სავსე. საგულისხმოა, რომ წიგნის ყდაზეევე მითითებულია რომანის ავტორის, ჟან ჟენეს ბიოგრაფია, რომ 15 წლის ასაკში ის არასრულწლოვან დამნაშავეთა კოლონიაში მოხვდა, სადაც პირველი ჰომოსექსუალური გამოცდილება მიიღო. მას შემდეგ მან ევროპის მრავალი ციხე მოიარა. აღნიშნული ნაწარმოებიც ავტობიოგრაფიულია და მისი ავტორი საკუთარ ჰომოსექსუალურ გამოცდილებაზე მოგვითხრობს. ეს ყველაფერი კი VI კლასის მოსწავლეებმა უნდა წაიკითხონ. ამას გარდა, ბავშვები გააფრთხილეს, რომ მეორე დღეს სკოლაში მოვიდოდნენ საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლები, სტუდენტები, რომლებთანაც ბავშვებს წაკითხული წიგნის განხილვა უნდა მოეწყოთ. თუ გავითვალისწინებთ რა ტექსტების შემცველია ეს წიგნი, ნაწარმოების გაცნობის შემდეგ, ალბათ, ჩვენი აღშფოთებაც ბუნებრივი იყო.

– როგორ მოხვდა ეს წიგნი სკოლაში VI კლასელ ბავშვთან,სკოლის დირექტორს თუ მიმართეთ?

– ბუნებრივია, ვესაუბრე სკოლის დირექტორსაც და პედაგოგებსაც. აღმოჩნდა, რომ პედაგოგებს დროც კი არ მისცეს წიგნის წასაკითხად, იმ დღესვე დაარიგებინეს ბავშვებისთვის. კლასის დამრიგებელმა ბოდიშიც კი მოიხადა თავის მოწაფეებთან და განაცხადა, რომ წიგნის შინაარსი თავადაც არ იცოდა. არ ვიცი, იმთავითვე იყო თუ არა სკოლის დირექტორი საქმის კურსში, მაგრამ როდესაც მშობლებმა მოვითხოვეთ, ეცნობებინათ ჩვენთვის, განათლების სამინისტროს მიერ გაცემული რომელი დოკუმენტის საფუძველზე მოხდა იმ ორგანიზაციის შემოშვება სკოლაში, რომელმაც აღნიშნული პროექტის განხორციელება განიზრახა, სკოლის ადმინისტრაციამ კატეგორიული წინააღმდეგობა გაგვიწია. მეტიც, სკოლის დირექტორისგან ჩემ მიმართ საკმაოდ არასასიამოვნო საუბარი და შეურაცხმყოფელი ტექსტებიც მოვისმინე.

– განათლების სამინისტროს თუ მიმართეთ?

– მშობლები მივიდნენ განათლების სამინისტროში და მოითხოვეს, განათლების მინისტრი ან მისი მოადგილე თუ არა, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი მაინც შეხვედროდათ, მაგრამ მათ მხოლოდ სამდივნოში წერილის დატოვება შესთავაზეს. მიკვირს, რისთვის არსებობს სამინისტროში საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური თუ საზოგადოების წევრებს არ შეხვდება?!

– შეიძლებოდა განათლების სამინისტროსთან შეუთანხმებლად ამ ლიტერატურის სკოლებში შეტანა?

– ჩვენ არც ისეთი მიამიტები ვართ, ვიფიქროთ, რომ განათლების სამინისტროს გვერდის ავლით გააკეთეს ეს სკოლებმა. ამ მიზნით საქართველოს სხვადასხვა სკოლაში დაახლოებით 15-20 დასახელების წიგნი დარიგდა. ზოგიერთი ნაწარმოები ღვთისა და რელიგიის შეურაცხმყოფელი ტექსტებით იყო სავსე...

– როგორ ფიქრობთ, ვინ დგას ამ ყველაფრის უკან და რა მიზანი ამოძრავებთ ამ ადამიანებს?

– აღმოჩნდა, რომ ეს წიგნები სკოლებში ევროკავშირის საქართველოს წარმომადგენლობის მიერ ევროკავშირის წიგნის კითხვის კვირეულის დროს განხორციელებული პროექტის ფარგლებში დაარიგეს. პროექტს ეწოდება **«ვისაუბროთ წიგნებზე»**; თითქოს მიზანი ბავშვებისთვის წიგნის კითხვის უნარ-ჩვევების გამომუშავება და ევროპული ლიტერატურის შესახებ ინფორმაციის მიწოდება იყო, სინამდვილეში კი, რა სახის წიგნებია, თავად ნახეთ.

ჩვენ მოვიპოვეთ სკოლებისთვის ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი წერილი, რომელშიც მკაფიოდ წერია აღნიშნული პროექტის მიზნების შესახებ.

«მოგესალმებით, დაპირებისამებრ, გიგზავნით ჩვენი პროექტის მოკლე აღწერილობას. «ვისაუბროთ წიგნებზე» ევროკავშირის საქართველოს წარმომადგენლობის ახალი ინიციატივა მიზნად ისახავს მოსწავლე-ახალგაზრდობაში წიგნის კითხვის უნარ-ჩვევების გამომუშავებას და ევროპული ლიტერატურის შესახებ ცნობადობის ამაღლებას. კვირეულის ფარგლებში 4-14 ნოემბრის ჩათვლით დედაქალაქისა და რეგიონების სპეციალურად შერჩეულ სკოლებში გაიმართება ევროპელი მწერლების წიგნის კითხვის სესიები. კლასებისა და ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით მოსწავლეები გაეცნობიან სხვადასხვა ავტორს, მათ ბიოგრაფებსა და ნაშრომებს. სესიებს გაუძღვებიან ქართული ენის პედაგოგები და მოხალისე სტუდენტები. კვირეულის ფარგლებში საჩუქრად გადმოგეცემათ ქართულ ენაზე ნათარგმნი საბავშვო ლიტერატურა. თქვენი მიზანი იქნება, შეარჩიოთ ბავშვები (30-50), რომლებიც გაეცნობიან სხვადასხვა მწერლის ნაწარმოებებს. კვირეულის განმავლობაში თქვენს ქალაქთან არსებული უნივერსიტეტის სტუდენტების გუნდი ეწვევა სკოლებს და დაეხმარება ბავშვებს წიგნების კითხვაში, ასევე, – სხვადასხვა დისკუსიის გამართვაში, რომელთა დროს ბავშვები ერთმანეთს გაუზიარებენ წიგნის წაკითხვით მიღებულ შთაბეჭდილებებს, მოყვებიან სხვადასხვა ეპიზოდს და ა. შ. დისკუსიებს, შესაძლოა, დაესწრონ ევროკავშირის წარმომადგენლები, ჟურნალისტები და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები. ფოტოები გამოქვეყნდება ევროკავშირის ვებგვერდზე და «ფეისბუქის» გვერდზე. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ თქვენს მოწაფეებს შანსი აქვთ, მონაწილეობა მიიღონ კონკურსში. კვირეულის ბოლოს კლასები წარმოადგენენ გუნდურ და ინდივიდუალურ ნამუშევრებს წაკითხული წიგნების შესახებ (პოსტერები, ნახატები, ესეები).

ევროკავშირის დელეგაცია და პარტნიორი ევროპული ინსტიტუტები (სადამკვირვებლო მისია) შეარჩევენ საუკეთესო ნამუშევრებს და ავტორები დაჯილდოვდებიან სიგელებითა და სხვა პრიზებით,» – ნათქვამია წერილში. როგორ ფიქრობთ, ამ ტექსტებს რომ ბავშვი წაიკითხავდა, ამ წიგნის მიხედვით რა ჩანახატები და პოსტერები უნდა შეექმნა?

ამის შემდეგ შევეცადე, დავკავშირებოდი პროექტის ხელმძღვანელს, ქალბატონ მაია ჩიტაიას, რომლის ვინაობაც მითითებული იყო სკოლებისთვის გაგზავნილ წერილებში. ვთხოვე მას, ეთქვა, პირველ რიგში, რა უფლებით არიგებდნენ ასეთ წიგნებს სკოლებში და მსურდა მას პირადად გავსაუბრებოდი, რაზეც უარი განაცხადა. ჩვენ შორის მხოლოდ სატელეფონო საუბარი შედგა, ის გამუდმებით თავს იმართლებდა. ახლახან ერთ-ერთ გაზეთში დაიბეჭდა მაია ჩიტაიას ინტერვიუ, რომელშიც ის ცრუობს, როდესაც ამბობს, რომ ჩვენ ეს წიგნები მოსწავლეებთან არ მიგვიტანიაო. არადა, ეს წიგნი შემოხვევით რომ არ აღმოჩენილა ამ ბავშვების ხელში, ეს მის მიერ სკოლის დირექტორებისთვის გაგზავნილი წერილიდანაც ნათლად ჩანს. **«ევროკავშირის წარმომადგენლობა ოქტომბრის ბოლოს ესტუმრება თქვენს სკოლას და ჩამოიტანს ევროპულ ლიტერატურას, რომელიც უნდა განიხილონ მოსწავლეებმა. გთხოვთ, თქვენი სკოლიდან შეარჩიოთ ქართული ენის ერთი პედაგოგი, რომელიც ორგანიზებას გაუწევს, შეარჩიოს თქვენი სკოლის 6-დან 12 წლამდე მოსწავლეები (30-50 მოსწავლე), რომლებიც შემდეგ იქნებიან პროექტის მონაწილეები»,** – ნათქვამია სკოლებისთვის გაგზავნილ წერილში.

ამის შემდეგ მაია ჩიტაიამ გადამამისამართა ხათუნა ცხადაძესთან, რომელსაც ევალებოდა იმ წიგნების შერჩევა, რომლებიც ამ პროექტის ფარგლებში უნდა დარიგებულიყო სკოლებში. ხათუნა ცხადაძემ მითხრა, როგორც ჩანს, თქვენს შვილთან ეს წიგნი შემთხვევით მოხვდა, რადგან უფროსი კლასებისთვის იყო განკუთვნილიო. როდესაც მე მას ვუთხარი, რომ წიგნში ჰომოსექსუალიზმის შემცველი ტექსტები იყო, ხათუნა ცხადაძემ მიპასუხა, ჰომოსექსუალიზმი თქვენთვის არის მიუღებელი, თქვენ ერთი ბავშვის მშობელი ხართ და სკოლაში კი ბევრი ბავშვიაო.

მათი მიზანია, ადამიანები ბავშვობიდანვე გახდნენ შემწყნარებელნი იმ ქმედებების მიმართ, რომლებიც ეკლესიისთვის უმძიმესი, მომაკვდინელებლი ცოდვა და გახრწნილებაა. არც ერთი ცოდვის, არც მკვლელობის, არც თვითმკვლელობის გამო ღმერთს ისე არ დაუსჯია ადამიანი, როგორც სოდომ-გომორული ცოდვის გამო დასაჯა, იმდენად საძაგელია ღვთის წინაშე ეს ცოდვა. წმინდა იოანე ოქროპირი ამბობს: მრუშობა მძიმე ცოდვაა, მაგრამ ეს ბუნებრივია, ვინაიდან ქალისა და მამაკაცის ურთიერთობას გულისხმობს, მაგრამ მამათმავლობა ბუნების საწინააღმდეგო ცოდვაა და ასეთი ცოდვით სიარულს სიკვდილი სჯობსო.

აშკარაა, რომ ევროკავშირი არა მხოლოდ რეკომენდაციებს, არამედ დირექტივებს ურიგებს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს და ასევე მათ, ვინც ევროკავშირში გაწევრიანებისკენ ისწრაფვის. სხვათა შორის, ამ მხრივ საინტერესო გამონაკლისია ხორვატია, რომელიც ევროკავშირის წევრია, მაგრამ მან გაბედა და წინააღმდეგობა გაუწია ევროკავშირს და ერთსქესიანთა ქორწინებას რეფერენდუმის გზით უარი უთხრა. საქართველოს ხელისუფლება კი ორ ცეცხლს შუაა მოქცეული. ერთის მხრივ, ბევრი მათგანისთვის აბსოლუტურად მიუღებელია ყველაფერი, რასაც ევროკავშირი, ფაქტობრივად, გვაიძულებს, მეორე მხრივ, ეშინიათ და ევროკავშირის განაწყენება არ სურთ.

– რა საფრთხეს ხედავთ სექსუალური განათლების დანერგვაში? თქვენი ოპონენტები ამბობენ, რომ, თუ ადამიანს არ აქვს ჰომოსექსუალური მიდრეკილებები, ვერანაირი პროპაგანდის შედეგად ასეთად ვერ გარდაიქმნება.

– ადამიანი საერთოდ ცოდვისკენ მიდრეკილია და ის შეიძლება გავლენის ქვეშ ადვილად მოექცეს. საფრთხე აშკარაა. ჩვენ ხელთ გვაქვს ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ 2010 წელს მიღებული რეკომენდაცია, რომელსაც ჰქვია **«სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციასთან ბრძოლის ზომების შესახებ».** აქ მოცემული გარკვეული მითითებები, რომლებსაც დირექტივების ხასიათი უფრო აქვს, ვიდრე უბრალოდ მითითების, რომლითაც მიმართავენ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს და, რამდენადაც საქართველოც ისწრაფვის ევროკავშირისკენ, როგორც ჩანს, საქართველოსაც ავალდებულებენ აღნიშნული მითითებების შესრულებას.

ამ მუხლებს თუ გავეცნობით, დავრწმუნდებით, რომ ბავშვებს არა მხოლოდ აჩვევენ სიბილწეს, არამედ საკუთარ შვილებს ხელიდან გვაცლიან.

«სახელმწიფომ არასრულწლოვან ლგბტ პირებს უნდა შესთავაზოს ეფექტური დაცვა ოჯახური ძალადობისგან. მათ შორის ფსიქოლოგიური ზეწოლისგან ოჯახის წევრთა მხრიდან, რომლებიც აიძულებენ არასრულწლოვან ლგბტ პირებს, გაიარონ სამედიცინო მკურნალობა ორიენტაციის შესაცვლელად», – ნათქვამია ერთ-ერთ მუხლში, ანუ, ფაქტობრივად, ჩვენ გვერთმევა უფლება, ტრადიციული ოჯახი გვქონდეს. გვეუბნებიან, რომ, თუ ჩვენ შევნიშნეთ, რომ არასრულწლოვან ასაკში ჩვენს შვილს აქვს გარკვეული გადახრები ჰომოსექსუალიზმისკენ, ჩვენ არ გვაქვს უფლება, საკუთარი შვილები შესაბამის სპეციალისტთან, ექიმთან მივიყვანოთ და ვუმკურნალოთ, რამეთუ ისინი ჰომოსექსუალიზმს დაავადებად არ მიიჩნევენ.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ ევროპული კონვენციის მე-9 მუხლში წერია, რომ თავად სახელმწიფოებს აქვთ უფლებამოსილება, საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, კანონით შეზღუდონ თვით ისეთი რელიგიის, მოძღვრებათა აღმსარებლობა, რომლებიც საფრთხეს უქმნიან საზოგადოებრივ წესრიგს, მოსახლეობის ჯანმრთელობას ან ზნეობას, ან სხვა პირთა უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას. ეს შეზღუდვა სავსებით ვრცელდება ჰომოსექსუალიზმსა და მსგავს გამოვლინებებზე. ვინაიდან, ჰომოსექსუალიზმმა უკვე მკაფიოდ მიიღო იდეოლოგიის ფორმა, პროპაგანდისტული ხასიათი და აღჭურვილია მსოფლიო ლობითა და აპოლოგიით.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ევროპის რეგიონულმა ორგანიზაციამ ჯანდაცვის სფეროში, გერმანიის განათლების ფედერალურ ცენტრთან ერთად, შეიმუშავა და გამოაქვეყნა მათ მიერ რეკომენდებული **«ევროკავშირის სექსუალური განათლების სტანდარტები».** სავარაუდოდ, საქართველოს სკოლებში სექსუალური განთლების პროგრამის დანერგვის მესვეურებიც ამ სტანდარტებით იხელმძღვანელებენ, რომლის მიხედვითაც, 6-9 წლამდე ბავშვს უნდა მივაწოდოთ ინფორმაცია, თუ რა არის სექსუალობა, სინაზე, დაკეხმაროთ, მიიღოს სიხარულისა და სიამოვნების განცდა საკუთარ სხეულთან შეხებით; ვასწავლოთ ცნება **«მისაღები სექსი».** 9-12 წლის ბავშვებს კი უნდა ვესაუბროთ პირველ სექსუალურ გამოცდილებაზე, გენდერულ ორიენტაციაზე, მასტურბაციაზე და ა. შ. ხოლო ჰომოსექსუალიზმის შესახებ ბავშვებს განსაკუთრებით ვრცელი ინფორმაცია უნდა მივაწოდოთ.

აშშ-ის ზოგიერთ შტატში ჰომოსექსუალიზმი დღესაც ისჯება. მართალია, ბოლო პერიოდში ცდილობენ, ამერიკაც ევროპულად მოაწყონ, მაგრამ ფაქტია, რომ ევროპა უფრო გარყვნილია, ვიდრე ამერიკა. თუმცა, ამერიკის ადვოკატებად ჩვენ, ალბათ, არ გამოვდგებით, ვინაიდან ამერიკელებმაც მაღალი ხარისხის ორმაგი სტანდარტები დააწესეს: ერთი სტანდარტი – თავისი ქვეყნისთვის, მეორე – ჩვენთვის. ბუშის ადმინისტრაციამ გაითვალისწინა რა, რომ გასულ ათწლეულებში თავისუფალი ცხოვრების წესის პროპაგანდამ საკმაოდ მძიმე კვალი დატოვა ამერიკულ საზოგადოებაზე, შეეცადა, გაემყარებინა ოჯახის ინსტიტუტი და თავშეკავების პრინციპი დაენერგა ახალგაზრდებში. ამერიკა უზარმაზარი ქვეყანაა, ჩვენს ქვეყანას კი შეცდომის უფლება არ აქვს.

თუ ჩვენი ქვეყნის **«გაევროპელების»** ვექტორი გადის უზნეობასა და ჰომოსექსუალიზმზე, ჩვენი ეკლესიის შეურაცხყოფაზე, ეროვნული ტრადიციების უარყოფაზე, მაშინ ასეთ **«ევროპულ»** ოჯახში ყოფნა ჩვენ არ გვჭირდება. მესმის, რომ ახლა არამოდურია ასეთი განცხადებების გაკეთება, ახლა მოდაში პროევროპელობა და პროდასავლელობაა და არა პროქართველობა, მაგრამ ასეთი ევროპა არ გვინდა! უმცირესობის უფლება არ უნდა იყოს დაცული უმრავლესობის უფლებების დარღვევის ხარჯზე. ამას ვერ დავუშვებთ.

ჩვენ, სასულიერო პირებს, გვიკიჟინებენ, თითქოს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით საკუთარი პოზიციის გამოთქმის უფლება არ გვაქვს და ამას პოლიტიკაში ჩარევად გვითვლიან. ეს ის პოლიტიკოსები თუ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები არიან, რომლებსაც საქართველოში უკვე დამკვიდრებული სახელით – **«გრანტიჟლაპიებად»** მოიხსენიებენ. ცოტა ხნის წინ თვითმმართველობის კანონზე პატრიარქის შენიშვნასაც მოჭარბებული ემოციურობით შეხვდა ზოგიერთი პარლამენტარი. საინტერესოა, რომელი საერო კანონი გვიკრძალავს საკუთარი აზრის გამოთქმის უფლებას, მით უმეტეს მაშინ, როდესაც საქმე ჩვენი ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან თემებს ეხება? ნუთუ შეიძლება, ფარის დასაგლეჯად მოჯარულ მგლებს მწყემსი დუმილით შეხვდეს?!

ესაუბრა ᲨᲝᲠᲔᲜᲐ ᲪᲘᲪᲭᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ

დაგვიანებული მადლობა ბატონ ოთარ ფაცაციას!

მისი სახელი, რასაკვირველია, ბევრს გაუგონია და, შეუძლებელია, ასეც არ იყოს. ზუგდიდის ქაღალდის კომბინატზე რომ არაფერი ვთქვათ, რომელსაც წლების მანძილზე თავკაცობდა და მისი საწარმოს მიერ შექმნილი პროდუქციით მოსწავლეებიდან მოკიდებული ბეჭდვითი პრესის ჩათვლით ყველა მადლიერი ჰყავდა, სხვადასხვა დროს იყო პარტიული და საბჭოთა ორგანოების პირველი პირი, ხოლო საქართველოსთვის უმძიმეს პერიოდში – 1992-94 წლებში ჩვენი ქვეყნის მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელობდა და სასახელოდ გაართვა თავი ამ მძიმე დავალებასაც.

დღეს, როდესაც მხოლოდ ორი საუკუნის კი არა, ორი ათასწლეულის უღელტეხილზე გაცნობილ ადამიანებს ვიხსენებ, განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ბატონი ოთარის, როგორც თანამედროვეობის ერთ-ერთი გამორჩეული მენეჯერის რამდენიმე შტრიხი, რომელიც მის განსაკუთრებულ კომუნიკაბელურობას ემყარებოდა და ამის შედეგად არა მარტო ქვეყნისა და სხვა პიროვნებების, არამედ პირადად ჩემს ცხოვრებასა და იმ საქმეს დაამჩნია კეთილი კვალი, რომელსაც იმ კონკრეტულ პერიოდში მე ვემსახურებოდი.

40 წლის წინათ, 1976 წლის დასაწყისში საკავშირო მთავრობამ გადაწყვიტა ქუთაისის საავტომობილო ქარხნის რეკონსტრუქცია. დადგენილება ითვალისწინებდა, რომ საწარმოს ახალი პროდუქცია – სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მანქანების გამოშვება აეთვისებინა და წელიწადში 300 ათასი ასეთი ავტომობილი დაემზადებინა. ინფრასტრუქტურულ პროექტში გათვალისწინებული იყო კოპიტნარ-ავტოქარხნის წყალსადენის გაყვანა, საკანალიზაციო კოლექტორის მთლიანად შეცვლა და სოფელ გეგუთში ფეკალური მასების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა.

ამ მოცულობითი პროგრამის განხორციელების შტაბს უშუალოდ საქართველოს იმდროინდელი თავკაცი – ედუარდ შევარდნაძე ხელმძღვანელობდა, შტაბის წევრებად კი საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციების პირველი პირები იყვნენ. მათ გვერდში მეც აღმოვჩნდი, რადგან იმ პერიოდში ვიყავი საავტომობილო ქარხნის გენერალური დირექტორის მოადგილე რეკონსტრუქციის დარგში.

შტაბი სისტემატურად იკრიბებოდა, რათა განეხილა პრობლემატური საკითხები და დაესახა მათი გადაწყვეტის ოპტიმალური გზები.

ერთ-ერთ სხდომაზე ახალი მუშახელის მიღებისა და გადამზადების შესახებ იყო მსჯელობა. სიტყვით მეც გამოვედი და ხაზგასმით აღვნიშნე:

– ამჟამად ჩვენს საწარმოში 9 ათასი კაცი მუშაობს. რეკონსტრუქციის პროექტით გათვალისწინებულია მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობის 5 ათასით გაზრდა. მათი სოფლებიდან მოზიდვა ბინების მიღების საგარანტიო შეთანხმებით ხდება, ქუთაისის სახლთმშენებლობის კომბინატმა უარი გვითხრა, მომავალ წელს ჩვენგან ჩარიცხული თანხით 30 პროცენტით გაეზარდა კაპიტალური დაბანდება. დირექტორმა განაცხადა: საწარმო გადატვირთულია და სამუშაოთა მოცულობას ვეღარ გავზრდითო.

რომან ბეჟუაშვილი წესიერი კაცია და კარგი ხელმძღვანელი. – აღნიშნა ბატონმა ედუარდმა. – მისი საწარმოს სიმძლავრე დამატებითი შეკვეთის გარეშეც კი აღემატება რეალურ შესაძლებლობას. გამოგიტყდებით და გეტყვით, რომ ერთი ცხრასართულიანი, 100-ბინიანი კორპუსის მშენებლობა სამხედრო დანიშნულების ქარხანა **„ავანგარდისათვის“** პირადად ჩემი თხოვნით შეიტანა მომავალი წლის გეგმაში. – თქვა და განაგრძო. – ჩემი წინადადებაა, დავწეროთ წერილი საბჭოთა კავშირის მშენებლობის მინისტრის გიორგი კარავაევის სახელზე. თქვენ კი, – ამჯერად მე მომმართა, – დაუკავშირდით ზუგდიდში ოთარ ფაცაციას. მინისტრი მისი ახლო მეგობარია და შეიძლება მდგომარეობის სწრაფად მოგვარებაში დაგვეხმაროსო.

სასწრაფოდ დავუკავშირდით საკავშირო მშენებლობის სამინისტროს. გვითხრეს, რომ მინისტრი შვებულებაში იმყოფებოდა. მაგრამ იმჯერად ოფიციალური წყაროთი მეტი ვერაფერი შევიტყვეთ. სამაგიეროდ ბატონმა ოთარ ფაცაციამ, რომელსაც ქუთაისის იმდროინდელი თავკაცი, ბატონი ნუგზარ რუხაძე ტელეფონით ესაუბრა, ყველაფერში მალე გაგვარკვია. მინისტრი უკვე მეხუთე დღეა მეუღლესთან ერთად ბიჭვინთაში მთავრობის აგარაკზე იმყოფებაო. გამოგზავნეთ კომპეტენტური პიროვნება, წამოიღოს ედუარდ შევარდნაძის მიერ ხელმოწერილი მიმართვა და შეხვედრის ორგანიზებას მე მოვაგვარებო.

გადაწყდა, რომ ბიჭვინთაში სასწრაფოდ უნდა გავმგზავრებულიყავი.

ბალახვანში, იობიძეების ცნობილ ბაღში მივეცი შეკვეთა, რომ ორი საგანგებო თაიგული გაემზადებინათ, თანაც ავუხსენი, რისთვის მჭირდებოდა.

მეორე დღეს, როცა წამოსაღებად მივედი, საოცრება ვიხილე. შეუძლებელია, უნახავად აღწერო ამ თაიგულების სილამაზე: ყვითელი სამეფო და სხვადასხვა ფერის ხავერდოვანი ვარდები, ლილიები, პიონები, ჰორტენზიები საოცარ ფერთა გამას ჰქმნიდნენ.

თაიგულები სპეციალურ მაღალყელიან ქოთნებში ეწყო, ისინი უკანა სავარძელზე ვერტიკალურად დაამაგრეს, თან გაგვაფრთხილეს – ყვავილებს წყალი ყოველ ნახევარ საათში აპკურეთო.

12 საათზე უკვე ზუგდიდში ვიყავით.

ბატონი ოთარი, რომელიც იმ დღემდე არასდროს მენახა, კაბინეტში მელოდა. მასზე ადრეც ბევრი რამ გამეგონა, მაგრამ ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. წმინდა კოლხური სისხლის წარმოსადეგ ვაჟკაცს ხშირი, დატალღული თმა და მოკლედ დაყენებული ულვაშები საოცრად შვენოდა. საუბრობდა დინჯად, გამოკვეთილად, სასიამოვნო ტემბრით.

მასპინძელმა გადმომცა საკავშირო მინისტრთან მისატანი სარეკომენდაციო წერილი და მითხრა, რომ ტელეფონით უკვე ესაუბრა გიორგი კარავაევს, სახელმწიფო აგარაკის დაცვას მიღებული აქვს ცნობები შენზე და შენს მანქანაზე და მინისტრი სამიდან ოთხ საათამდე გელისო.

მანქანამდე მიმაცილა. წვიმდა.

ბატონო არჩილ, მეგრელი ბრძანდებით?

– დაინტერესდა ბატონი ოთარი.

– დიახ, წარმოშობით მეგრელი გახლავართ.

– მეგრული იცით?

– სამწუხაროდ, არა!

– ელარჯი თუ იცი, რა არის?

– როგორ არ ვიცი, – ვუპასუხე მე, თუმცა იქვე დავძინე, – სამწუხაროდ დღემდე არ გამისინჯავს.

– ჰოდა, მეგრელი კაცი, რომელმაც არც მეგრული იცის და არც ელარჯი გაუსინჯავს, რეპუტაცია შელახული მეგრელია. – მეუბნება სიცილით და ხაზგასმით მთხოვს, – ბიჭვინთიდან რომ დაბრუნდები, რა პასუხიც უნდა მოგქონდეს და რა დროც უნდა იყოს, გამომიარე, რომ რესტორან **„ოდიშში“** ნაწილობრივ მაინც აღვადგინოთ შენი რეპუტაცია.

სამ საათზე უკვე ბიჭვინთაში ვიყავი. კვლავ ცრიდა.

პირველი საკონტროლო პუნქტი მე და ჩემმა მძღოლმა თავისუფლად გავიარეთ. მეორე პუნქტში ჩვენს შემოწმებას მეტ დროს მოუნდნენ, ხოლო ბოლო მესამე პუნქტში თმის ძირამდე ყველაფერი შეგვიმოწმეს.

დაცვის მუშაკმა, რომელსაც მაიორის სამხრეები ეკეთა, გვითხრა, რომ მინისტრი რეზიდენციაში კი არ გველოდებოდა, არამედ საზაფხულო პავილიონში, სადაც წვიმის დროს მთავრობის წევრები და მათი მეუღლეები ისვენებდნენ. ამასთან ჩემს მიერ მიტანილ ორ თაიგულს რომ შეხედა, მეუბნება:

– ამხანაგო მურღულია, იქ ახლა ორი კი არა, სამი ქალბატონია.

ამის გაგონებაზე მძღოლს ვთხოვე:

– ბორის. გაყავი ერთი თაიგული ორ ნაწილად!

ექვსწახნაგოვან საგაზაფხულო პავილიონში იდგა მრგვალი მაგიდა და მის გარშემო სკამები ელაგა. ოდნავ მოშორებით კიდევ ერთი მაგიდა იყო. ამჯერად მომცრო, სადაც, ეტყობა, ჭადრაკითა და შაშით ერთობოდნენ.

კართან პირადად მინისტრი შემომეგება და მთავრობის წევრებთან წარმადგინა. მათ შორის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ალექსეი კოსიგინი შევიცანი, რამაც ძალზე ამაღელვა.

მაგიდა მრავალფეროვანი ბუტერ-ბროდებით, თევზით, ყველით, ძეხვეულით, დამარილებული ქაშაყით, მოხარშული კარტოფილით, ზეთისხილით, არყითა და ლუდით იყო გაწყობილი.

მშენებლობის მინისტრმა მთავრობის წევრებს აუხსნა, რომ მე – ქუთაისის საავტომობილო ქარხნის გენერალური დირექტორის მოადგილე სერგო მურღულია, გარკვეულ საქმესთან დაკავშირებით მისი პირადი სტუმარი ვარ და უშუალოდ პრემიერ-მინისტრის თხოვნით მოვიწვიე პავილიონში, რათა ინფორმაცია მანაც მოისმინოსო.

საუბრის დაწყებამდე ქვეყნის იმდროინდელი ხელმძღვანელობის წინაშე ბოდიში მოვიხადე და თაიგულები მინისტრის მეუღლესა და მასთან ერთად მყოფ ორ მანდილოსანს გადავეცი.

– რა სილამაზეა, რა მშვენიერება, რა სურნელებაა! – აღტაცებით ამბობდნენ მანდილოსნები. მე კი ვიდექი ფეხზე და, შეთავაზების მიუხედავად, კარგა ხანს ვერ ვბედავდი იმ სუფრასთან მიახლოვებას, სადაც მთავრობის სხვა წევრებთან ერთად კოსიგინიც იჯდა.

მასპინძელთა უმეტესობა მხიარულ გუნებაზე იყო. ეტყობოდათ ალკოჰოლის გავლენა, ოღონდ მთვრალი არც ერთი არ ყოფილა.

ბოლოს, როგორც იქნა, გავბედე და დავჯექი.

– აბა, ახალგაზრდავ, გვიამბე, როგორ მიმდინარეობს ქარხნის რეკონსტრუქცია, როგორ მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო ავტომობილების გამოცდა? – მეკითხება სუფრის ერთ-ერთი წევრი.

ის ის იყო, უნდა მეპასუხა, რომ მინისტრმა დამასწრო:

– ვაცადოთ, რომ დაილოცოს! – თქვა და საკმაოდ მოზრდილი ბროლის ჭიქა არყით შემივსო.

შევამჩნიე რომ თვითონ მომცრო ჭიქებით სვამდნენ.

ვიუარე, მაგრამ მინისტრი არ მომეშვა. მერე ერთმა თქვა:

– ქართველია. ალბათ, არაყს არ სვამს, რადგან ღვინო ურჩევნია.

ეს რომ გავიგონე, ძალა მოვიკრიბე:

– პირადად მე არაყს არ ვსვამ, მაგრამ სოლიდარობის გამო გავბედავ.

„Ради солидарности“–მ გულიანი სიცილ-ხარხარი გამოიწვია და ამით გათამამებულმა არყიანი ბროლის ჭიქა ბოლომდე დავცალე, მერე კი პასუხი დავიწყე.

– ამჟამად ჩვენს მიერ დამზადებული ორი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მანქანა წარმატებით გადის გამოცდას. ეს მანქანები უნიკალურია. აქვს 8 სიჩქარე. კომბაინით ხორბლის აღებისას ეს საშუალებას იძლევა, რომ მანქანა მას საათში 2 კილომეტრის სიჩქარით გაჰყვეს. გამართულად მუშაობს უგზოობის დროსაც. სოფლის მეურნეობაში მისი მასობრივად გამოყენება დაგვიზოგავს მილიონობით მანეთის საწვავს.

– ყურადღება ძირითადად პრობლემებზე გაამახვილეთ! – მირჩია ალექსეი კოსიგინმა.

– რეკონსტრუქციის პროექტის თანახმად ოთხ წელიწადში უნდა მივიღოთ და მოვამზადოთ 5000-მდე მუშაკი. მუშახელის დაინტერესება ხდება ორ და სამ წელიწადში ბინის მიცემის გარანტიით. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამჟამად ქარხანაში 9 ათასი მუშა-მოსამსახურეა, რომელთაგან 2000 ბინის რიგშია, სახლმშენებელი კომბინატი კი ჩვენი მოთხოვნის შესაბამისად ვერ გაზრდის მშენებლობის მოცულობას, უკვე მომავალი წლიდან კადრების მიღება-მომზადებაში სირთულეები შეგვექნება-მეთქი. – აღვნიშნე პასუხად.

– ალექსეი ნიკოლაევიჩ, ამ საკითხის გადაწყვეტას ჩემს თავზე ვიღებ! – აღნიშნა მშენებლობის მინისტრმა.

– მეორე პრობლემა ის არის, რომ რეკონსტრუქციისათვის გამოყოფილ თანხებში მცირეა ვალუტა. – განვაგრძე ინფორმირება. – ეს ხელს გვიშლის იმპორტული დანადგარების მიღებაში. არის მესამე პრობლემაც: ფეკალური წყლების გამწმენდი ნაგებობისა და საკანალიზაციო კოლექტორის მოწყობილობათა დაახლოებითი 40 პროცენტი საბჭოთა კავშირში ჯერ კიდევ არ მზადდება. ეს მრეწველობის სრულიად ახალი დარგია და ამიტომ, ჩემი აზრით, საჭირო დადგენილი ვადების გადახედვა-მეთქი.

საუბრის დროს ვერ შევამჩნიე, არყით ორჯერ როგორ შემივსეს ჭიქა და ორივეჯერ როგორ დავლიე. ამან დაძაბულობა საერთოდ მომიხსნა.

– ეს მანქანა ისე ესაჭიროება ჩვენს სოფლის მეურნეობას, როგორც თევზს წყალი. – თქვა ალექსეი კოსიგინმა და განაგრძო, – ჩვენ ამ საკითხის განხილვას კვლავ დავუბრუნდებით.

შევამჩნიე, რომ სუფრიდან ოდნავ მოშორებით მჯდომი ვიღაც პიროვნება აქ შემთხვევით არ იმყოფებოდა. როგორც ჩანს, საუბრის თითოეულ დეტალს მაგნიტურ ფირზე აფიქსირებდა.

როცა მინისტრმა რეზოლუცია დაადო ჩემს მიერ მიტანილ მიმართვას, მოკრძალებული მადლობა გადავუხადე სუფრის მთელ შემადგენლობას და წამოვედი, თან გულით ვლოცავდი ბატონ ოთარ ფაცაციას, რომლის დიდმა ავტორიტეტმა შემაძლებინა იმდროინდელ მთავრობის წევრებთან შეხვედრა და იმ საკითხების გადაწყვეტა, რომლებიც ჩემს ქარხანასა და ქალაქს სიკეთეს მოუტანდა.

სამწუხაროდ, ქუთაისში მომავალს მომივიდა ის, რაც სიცოცხლეში არასდროს დამმართნია. ბიჭვინთაში დალეულმა სამადსამმა ჭიქა არაყმა საოცრად მომთენთა, მანქანაში ძილქუშად მიმაგდო და ბიჭვინთიდან ქუთაისამდე ისე ვიმგზავრე, რომ ბატონი ოთარისთვის მიცემული სიტყვა ვერ შევასრულე, მასთან ერთად რესტორან **„ოდიშში“** ვერც ელარჯი ვიგემე და ვერც მეგრულის საოცარი სითბო.

მართალია, 2012 წელს, როცა ბატონი ოთარი თავის თანაქალაქელებთან ერთად ქუთაისს ეწვია, ეს შემთხვევა გავიხსენე და სათანადო მადლიერებაც გამოვხატე, მაგრამ დღემდე თავს მაინც მოვალედ ვთვლიდი, საგანგებოდ აღმენიშნა, რომ ბატონ ოთარ ფაცაციას ვალიდან ვერასდროს ამოვალ.

არჩილ (სერგო) მურღულია,
საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, ღირსების ორდენოსანი, ქუთაისის საპატიო მოქალაქე

მთავარი რედაქტორის მინაწერი: მხოლოდ ბატონი არჩილ მურღულია რომ იყოს თქვენი მადლიერი, ეს კოლხი კაცის ჩვეული ყურადღების შედეგი იქნებოდა, ბატონო ოთარ. მაგრამ თქვენი მადლიერია ყველა ის ადამიანი, ვისაც კი ოდნავი შეხება მაინც ჰქონია თქვენთან. იმდენი სიკეთე გაქვთ გაკეთებული, რომ არა მგონია მისი ათი პროცენტი მაინც გახსოვდეთ. განსაკუთრებით ის მწერლები და ჟურნალისტები გემადლიერებიან, რომელთაც ტოტალური უქაღალდობის ჟამს თქვენს მიერ ნაწყალობევი "ენგურა-ქაღალდით" გამოსცეს წიგნები და სიხარულით ცას ეწივნენ. ახლა, როცა მეც მომეძალა ასაკი და ხშირად ვიძირები ხოლმე მოგონებებში, ვიხსენებ 1990 წელს ინგლისში ერთად გატარებულ ბედნიერ ლამის ერთთვიან პერიოდს, ლივერპულში, ბირმინჰემში, ბლეკპულში, სკიპტონში, მანჩესტერსა თუ ვორინგტონში გამართულ ვოიაჟებს, როცა ქვეყნის ბედზე ზრუნვით დამძიმებული მთასა და ბარს არ ტოვებდი მოუჩხრეკავს და დღედაღამ ეძებდი სამშობლოს გასაჭირიდან დახსნის გზებს.

სწორედ ამიტომ გვყავდა ინგლისში ჩაყვანილი ბავშვთა ანსამბლი "ნერგები", რომელთა მიერ ჩატარებულმა კონცერტებმა გარკვეული წარმოდგენა შეუქმნა ინგლისელებს საქართველოსა და ქართველებზე.

ასევე დაუვიწყარი იყო ინგლისელთა დელეგაციის სტუმრობა ზუგდიდში, რომელთაც წარუშლელი შთაბეჭდილება გაჰყვათ თქვენი გულუხვი მასპინძლობის წყალობით.

დიდი მადლობა ყველაფრისათვის, ჩემო უფროსო ძმაო, ოთარ!

როლანდ ჯალაღანია,
გაზეთ "ილორის" მთავარი რედაქტორი

ᲛᲐᲥᲕᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲝᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ... ᲘᲜᲙᲝᲒᲜᲘᲢᲝ ᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ

მიშას „კრიტიკული დღეები“ – რა მტკიცებულებები აქვს ჰაგის ტრიბუნალს იარაღის უკანონო ბიზნესში სააკაშვილის მონაწილეობაზე?

ისტორია მეორდება – ის ისევ ბარიკადებზე დგას და როგორც ახალგაზრდობაში, ახლაც კორუფციას ებრძვის. სწორედ ამიტომ ზოგი მიიჩნევს, რომ მეორე სუნთქვა გაეხსნა. ისინი კი, ვინც საქმეში უკეთ ერკვევა, ირწმუნებიან, რომ საქართველოს ყოფილ პრეზიდენტსა და ოდესის ყოფილ გუბერნატორს კრიტიკული დღეები უდგას.

„დიახ, მიშამ ძალიან კარგად იცის, რომ ერთ მდინარეში ორჯერ ვერ შედიან, მაგრამ ცდილობს, ეს ჭეშმარიტება დაარღვიოს და დინების საწინააღმდეგოდ გაცუროს, რადგან თუ ასე არ მოიქცევა, შეიძლება, მარტო პოლიტიკური კარიერა კი არა, ცხოვრებაც დრამატულად დაასრულოს“, – ასეთ დასკვნას აკეთებს **„ვერსიასთან“** ოპერატიულ კავშირზე მყოფი პიროვნება, რომელიც საკუთარ თავს არც ნაცს ეძახის და არც **„ქოცს“**.

„მე სიმართლეს ვამბობ და სულ არ მაინტერესებს, ვის ეწყინება და ვის გაუხარდება“, – აღნიშნავს კონფიდენტი.

და მაინც, რა ხდება მიხეილ სააკაშვილს თავს? – ამ კითხვაზე პასუხი მრავალწახნაგოვანია. **„ვერსია“,** ცხადია, ნოსტრადამუსობას არ იჩემებს, მაგრამ შეეცდება, პირადი კავშირებით მოპოვებულ ინფორმაციებს თავი მოუყაროს და ის ვითარება აღწეროს, რაშიც ყოფილი პრეზიდენტი იმყოფება ან სულაც უახლოეს მომავალში აღმოჩნდება.

დავიწყოთ იმით, რომ სააკაშვილი, რომელიც დასავლეთმა თავის დროზე პოსტსაბჭოთა ქვეყნებში **„ხავერდოვანი რევოლუციების“** პატრიარქად აღიარა, ამჯერად უკრაინის კორუფციისა და სხვა მანკიერებებისგან გასათავისუფლებად იბრძვის, თუმცა კულუარებში მუსირებს ვერსია, რომ ეს ბრძოლა, უბრალოდ, შირმაა და მიშა ცდილობს, თავი მოსალოდნელი სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან დაიცვას.

ისე, სენატორ მაკკეინის შვილობილზე სამშობლოში, ანუ საქართველოში ე.წ. შიდა ძებნა დიდი ხანია, გამოცხადებულია. ანალოგიური გადაწყვეტილება მალე შესაძლოა, უკრაინაშიც მიიღონ. ყოველ შემთხვევაში, ქალაქ დნეპრის მერმა, ბორის ფილატოვმა სოციალურ ქსელში დაწერა, რომ უკრაინიდან მიშას ექსტრადირება უნდა მოხდეს. თუკი მოვლენები მართლაც ამ სცენარით განვითარდა, მაშინ გამოვა, რომ ექსპრეზიდენტი ერთგვარ სამართლებრივ ჩიხში აღმოჩნდება, რადგან ის საქართველოს მოქალაქე არაა და, მისი საქმიანობით უკრაინელი სამართალმდაცავებიც რომ დაინტერესდნენ, იძულებული გახდება, უკრაინაც დატოვოს. ასეთ დროს თავს, ალბათ, აშშ-ს შეაფარებს, მაგრამ **„ვერსიას“** ეუბნებიან, რომ სააკაშვილს არც ოფიციალური ვაშინგტონი შეიფარებს.

„მართალია, როგორც კი პრეზიდენტი გახდა, მიშამ სოციალურ ქსელში ტრამპთან ერთად გადაღებული სურათი გამოაქვეყნა, მაგრამ ეს სურათი, უბრალოდ, ტკბილი მოგონებაა და მეტი არაფერი“, – ეუბნება **„ვერსიას“** კონფიდენტი, რომელიც არცთუ შემთხვევით, ჰაგის ტრიბუნალს ახსენებს და მიანიშნებს, რომ საერთაშორისო გამოძიებას ამ საკითხზე ჩვენება, შესაძლოა, თვითონაც მისცეს.

„იარაღით უკანონო ვაჭრობა ისეთი საკითხია, რომელიც ადრე თუ გვიან, გასკდება. ისე, მე თუ მკითხავთ, „ოცნებას“ სააკაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე ქაშმირის პალტოებისა და რაღაც სისულელეების კი არა, სწორედ ამ უკანონო ვაჭრობის გამო უნდა აღეძრა, მით უმეტეს, საამისოდ საკმარისზე მეტი დოკუმენტური მტკიცებულება არსებობს. ახლა, არ ვამბობ, რომ დოკუმენტაციას, რომელიც წესით, თავდაცვის სამინისტროსა და უშიშროების საბჭოს არქივში უნდა იყოს დალექილი, ხელს უშუალოდ მიშა აწერს, მაგრამ როგორ წარმოგიდგენიათ, უმაღლესი მთავარსარდლის გარეშე ვინმე გაბედავდა, რომ ამ შავ-ბნელ ბიზნესში ჩარეულიყო? დიახ, იარაღის სინდიკატის ავანგარდში სააკაშვილი იდგა. ჩემი ვარაუდით, ამ ბიზნესში ის ბიძამ, თემურ ალასანიამ ჩართო და მტკიცებულებების მოპოვება არც ამ კუთხით გაჭირდება“, – აღნიშნავს **„ვერსიის“** კონფიდენტი, რომელიც ირწმუნება, რომ 2008 წლის აგვისტოს ომი, თავიდან ბოლომდე, იარაღის უკანონო ბიზნესის **„გათეთრებას“** ემსახურებოდა.

„მაქვს ინფორმაცია, რომ აგვისტოს ომის შემდეგ, უშუალოდ დავით კეზერაშვილის შუამავლობით, იარაღით ვაჭრობაში „პაზ ლოჯისტიკი” ჩაერთო, რომლის სათავო ოფისიც ისრაელშია და რომელსაც ფილიალი უკრაინაშიც აქვს. ამ კომპანიამ, რომელიც ამერიკული იარაღის ბროკერია, საქართველოს 70 ათას დოლარად შეფასებულ კონტრაქტში 300 ათასი, 477-ათასიანში კი მილიონი დოლარი გამოართვა. სხვათა შორის, ამის შესახებ აშშ-ს ელჩის მოხსენებაშიცაა ნათქვამი, რომელიც 2009 წლის აგვისტოთია დათარიღებული. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის დოკუმენტებით კი, ამ კომპანიამ იარაღის ფასები სხვა შემთხვევებშიც გაბერა. კერძოდ, ლაპარაკია „მარტინ ელექტრონიკ ფლორიდიდან”, „პაზ ლოჯისტიკის” შუამავლობით, საქართველოს მიერ შეძენილ 4331 ტიპის 40 მმ-იან 5 ათას ყუმბარაზე. თავდაცვის მინისტრის მაშინდელმა მოადგილემ, ბერძენიშვილმა, რომელიც 2009 წელს იარაღის შესყიდვაზე იყო პასუხისმგებელი, განაცხადა, რომ „პაზ ლოჯისტიკის” მიერ დასახელებულ ფასს მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან ამ მასალების ანუ ყუმბარების ყიდვა უმაღლესი პრიორიტეტი იყო

2009 წლის სექტემბერში, ჩემი ინფორმაციით, საქართველოში ნატო-ს ინსპექტორთა ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ შეშფოთებულია საქართველოს თავდაცვის სამინისტროში გამეფებული კორუფციითა და პროტექციონიზმით, ასევე, ფუნქციებისა და პარამილიტარისტული საკითხების აღრევით. ნატო-ს, ამერიკელების მსგავსად, თავდაცვის მინისტრების ხშირი ცვლილებაც აღელვებდა. ამასთან, აშშ-მ შეშფოთება ბაჩო ახალაიას თავდაცვის მინისტრად დანიშვნის გამოც გამოთქვა იმიტომ, რომ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მოხსენებაზე რომ აღარაფერი ვთქვა, „ჰუმან რაით ვოთჩისა” და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების დასკვნებიც არსებობდა, რომლებშიც ციხეში გამეფებულ არაადამიანურ მოპყრობასა და წამებაზე იყო ლაპარაკი“, – იხსენებს **„ვერსიის“** წყარო და დასძენს, რომ სააკაშვილის დროს თავდაცვის მინისტრების ხშირ ცვლას შეიძლება, ორი მოტივი ჰქონდა: ერთი, ყველას გასვრა და მეორე, სქემის გასაიდუმლოება.

ზოგადად, იარაღით უკანონო ვაჭრობა დიდი და ბურუსით მოცული თემაა, თუმცა, არსებობს ინფორმაცია, რომ ამ კრიმინალურ სინდიკატს საქართველო ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 90-იან წლებში, ანუ მაშინ შეუერთდა, როცა ქვეყნის თავდაცვის უწყებას ვარდიკო ნადიბაიძე ჩაუდგა სათავეში.

„ისე, მიშამ არაპირდაპირ დაადასტურა, რომ ამ ბიზნესში იყო ჩართული: პრეზიდენტობის ვადის ამოწურვამდე სამი დღით ადრე, „ბელტრეიდინგის” ყოფილი ხელმძღვანელი, ბონდარჩუკი საქართველოში ჩამოიყვანა და მედალი ჩამოკიდა“, – ამბობს კონფიდენტი, რომლის განმარტებითაც **„ბელტრეიდინგი“** იარაღის ტრაფიკში ერთ-ერთი გავლენიანი და საკვანძო კომპანიაა.

„დღეს სააკაშვილი პოლიტიკური გვამია“, – აცხადებს **„ვერსიასთან“** საუბრისას კონფიდენტი და ყურადღებას ერთ გარემოებაზეც ამახვილებს. კერძოდ, ამბობს, რომ სააკაშვილის პოლიტიკური ავანტიურა ყველაზე ძვირად იმ ქართველებს დაუჯდებათ, რომლებიც ყოფილ პრეზიდენტს სიტყვაზე ენდნენ და უკრაინაში **„გადაპორტირდნენ“.**

„ახლა, ისე არ გამიგოთ, რომ დავით საყვარელიძესა თუ ხატია დეკანოსიძეზე ვწუხვარ – ეგენი არ დაიკარგებიან და თავს უშველიან. მე იმ ქართველ ოფიცრებსა და რიგით სამხედროებზე ვამახვილებ ყურადღებას, რომლებიც მიშას დაძახილზე, უკრაინაში წავიდნენ და სამსახური იქაურ შეიარაღებულ ძალებში დაიწყეს. ჯერ ერთი, რუსეთ-უკრაინის ომში, ამ წლებში განმავლობაში, არაერთი ქართველი დაიღუპა. მეორეც, ახლა, როცა სააკაშვილის პოზიციები შესუსტებულია და ოფიციალური კიევის ელიტას მისი ატანა აღარ აქვს, როგორ წარმოგიდგენიათ, „მიშას ხალხს” უკრაინაში გააჩერებენ?

პირადი წყაროებით მაქვს ინფორმაცია, რომ ამ ადამიანებს გარკვეული პრობლემები უკვე შეექმნათ – ზოგი სამსახურიდან დაითხოვეს, ზოგს კი ღია ტექსტით უთხრეს, რომ მხოლოდ სამსახური კი არა, ქვეყანაც უნდა დატოვოს. ასე რომ, უახლოეს მომავალში ძალიან ბევრი ქართველი, რომელიც უკრაინაში მიშას დაძახებაზე წავიდა, იძულებული გახდება, სამშობლოში დაბრუნდეს. არ ვამბობ, რომ პოროშენკოს ხელისუფლება მათ პოლიტიკურ დევნას დაიწყებს, მაგრამ ისეთ პირობებს შეუქმნის, რომ იძულებულნი გახდებიან, ასეთი გადაწყვეტილება თავად მიიღონ, მაგრამ უბედურება ისაა, რომ ბევრს საქართველოში აღარ ჩამოესვლება, რადგან აქ დანაშაული აქვს ჩადენილი. მას კი, ვინც ჩამოვა, „შიმშილით სიკვდილი” თუ არა, უმუშევრობა ელის – კოჰაბიტაცია ბობოლებისთვის მოიგონეს, თორემ რიგით ადამიანებს, თუნდაც ისინი პროფესიონალი სამხედროები იყვნენ, ჩვენს შეიარაღებულ ძალებში მხოლოდ და მხოლოდ იმ მოტივით არ მიიღებენ, რომ მიშას უკრაინაში გაეკიდნენ”, – ეუბნება **„ვერსიას“** ინფორმირებული კონფიდენტი და ისევ ჰაგის საერთაშორისო ტრიბუნალს უბრუნდება, ანუ, როგორც ჩვენი წყარო ამბობს, სააკაშვილს ოდესის გუბერნატორობიდან გადადგომა შეიძლება, ძალიანაც არ უნდოდა, მაგრამ პოროშენკომ კუთხეში მიაყენა და აიძულა, ეს გადაწყვეტილება მიეღო.

„მიშა მოსიარულე ბომბია და ამიტომ, მის მოშორებას ყველა ცდილობს, მათ შორის, უკრაინის პრეზიდენტიც. სხვათა შორის, იმ დროს, როცა საქართველოში იარაღის უკანონო ბიზნესი ყვაოდა, პოროშენკო უკრაინის უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელობდა, ანუ ქართულ მხარესთან გარიგებებს ხელს სწორედ ის აწერდა. საქართველოსთვის იარაღის მომწოდებელი თითქმის ყველა საეჭვო კომპანიაც უკრაინული იყო. მართალია, ჰაგის ტრიბუნალისგან დიდი ხანია, არაფერი გვესმენია, მაგრამ ალბათ, გახსოვთ, რამდენიმე თვის წინ, თბილისში პროკურორი ბენსუდა ჩამოვიდა და ისიც ღიად ითქვა, რომ ჰაგამ აგვისტოს ომის გამოძიება დაიწყო, რაც ავტომატურად იმას ნიშნავს, რომ საერთაშორისო ტრიბუნალი იარაღის ტრაფიკზეც გავა. შეიძლება, ამ კუთხით გარკვეული სიახლეები არის, რაც პოროშენკოსთვის კულუარულად გახდა ცნობილი და სააკაშვილის თავიდან მოცილებაც ამიტომ გადაწყვიტა.

როგორც ჩანს, მიშაც ხვდება, რომ მის გარშემო წრე ვიწროვდება და უკრაინის განმათავისუფლებლის როლს ამიტომ ასრულებს, ანუ საქმე საქმეზე რომ მიდგეს, მისი, როგორც უკრაინული ოპოზიციის ლიდერის დაჭერას, შეიძლება, პოლიტიკური სარჩული დაედოს. ერთი სიტყვით, ყოფილ პრეზიდენტს პოლიტიკური დასაყრდენი სჭირდება“, – ამბობს **„ვერსიის“** ინკოგნიტო რესპოდენტი და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თავის გადარჩენის მიზნით, სააკაშვილმა შეიძლება, თავისი ყველა ყოფილი ბიზნეს-პარტნიორი **„ჩაუშვას“**, მაგრამ მის ნათქვამს მტკიცებულებად კი არა, უფრო შურისძიებად ჩათვლიან, რადგან იგივე იარაღის უკანონო ტრაფიკი მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე შემოსავლიან და მომგებიან ბიზნესად ითვლება, რომელშიც არაერთი ცნობილი და პატივსაცემი ადამიანია ჩართული.

„ამიტომაც ვამბობ, რომ მიშას, როგორც პაიკს, გაწირავენ“, – მიიჩნევს **„ვერსიის“** კონფიდენტი.

ᲜᲘᲜᲝ ᲓᲝᲚᲘᲫᲔ

ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲡ ᲙᲣᲗᲮᲔ

ᲡᲐᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲝ ᲩᲐᲜᲐᲮᲐᲢᲔᲑᲘ

ᲠᲩᲔᲕᲐ ᲒᲝᲜᲘᲕᲠᲣᲚᲘ

ნიკანორსა თუ ნიკანდროს
კადრად გსურს ფილმში იკადრო
და შეემატო სენიან
სააკაშვილის სერიალს,
მაგრამ მოვიდა ნიკა დრო,
პარლამენტში არ იკადრო,
და აღარც სხვაგან იკადრო,
რაც შენგან დღემდე გვსმენია!

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲙᲐᲜᲓᲔᲚᲐᲙᲡ

მომავალ მთავრობასთან
საპარლამენტო უმცირესობის
შეხვედრისას მის თავხედურ
ცრუპენტელობასთან
დაკავშირებით

რადგან შენს კამათს სუნი სდის
ჩეჩმის,
მიკვირს, ამ ჭერქვეშ რა უნდა
შენს ჩრდილს,
ყიამყრალობად დღემდე რომ
შერჩი,
სხვათა ნათქვამში სიტყვების შე-
ჩრით,
თითქოსდა ამას ამბობდეს ელჩი..
...დაუკრეფავში ნუ გიყვარს
შეჭრა,
ნურც ელჩს და ნურც ჩვენ ნუ
ჩაგვთვლი ლენჩად!

ᲮᲛᲐᲚᲘ ᲒᲕᲘᲜᲓᲐ ᲬᲘᲜᲐᲞᲐᲠᲗᲐ

სატანა დგას წინა კართან
და შვილებს რომ მოვუაროთ,
ხმალი გვინდა წინაპართა
დავით თარხან-მოურავო!

ᲡᲐᲭᲘᲓᲐᲝ

უკვე აღარც რაინდობა
და აღარც ის დაინდობა,
ქვეყნის ხიბლად რაც გვენება.
ჭიდაობას რა უნდა და
სულ ორიოდ რაუნდადა
დეპუტატთა დაძგერება!
რადგანაც ჰყავთ წარსახოცი
ქოცებს ნაცი, ნაცებს ქოცი,
შეტევაა მთელი ჯიგრით;
ბრალდებათა დასტის მიგვრით
და შეფების „ძიგრი-ძიგრით!“

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲘᲐ

ილორი

კოლოსალური პრემიები შსს-ში – რამდენი მილიონი აიღეს ღარიბაშვილის მინისტრობის დროს პოლიციის მაღალჩინოსნებმა

“ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი” (IDFI) 2013 წელს შსს თანამდებობის პირებზე გაცემულ პრემიებზე ინფორმაციას ავრცელებს.

“თანამდებობის პირთა მიერ მიღებული პრემიებისა და დანამატების შესახებ ინფორმაციის გაცემის ვალდებულება შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილებით დაეკისრა. აღნიშნული გადაწყვეტილება საქართველოს შსს-მ უშედეგოდ გაასაჩივრა საapელაციო და უზენაეს სასამართლოში. ამდენად, პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი. 2016 წლის 13 ივლისს, თბილისის საქალაქო სასამართლომ გასცა სააღსრულებო ფურცელი, რის შემდეგაც თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით IDFI-მ მიმართა აღსრულების ეროვნულ ბიუროს, რომელმაც შინაგან საქმეთა სამინისტროს აღსასრულებელი მოთხოვნის შესახებ შეატყობინა გაუგზავნა. ამის შემდეგაც უწყება არ ასრულებდა საკუთარ ვალდებულებას და არ გასცემდა მოთხოვნილ ინფორმაციას, რის შემდეგაც IDFI-მ განცხადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას.

აღსანიშნავია, რომ შსს-გან მიღებული ინფორმაცია არ არის სრულყოფილი. კერძოდ, მოგვაწოდა ინფორმაცია თანამდებობის პირებზე გაცემული პრემიების შესახებ 2013 წლის იანვრიდან – ოქტომბრის ჩათვლით. თუმცა, უწყებას ამ დროისთვის არ მოუწოდებია მონაცემები 2013 წლის ნოემბრისა და დეკემბრის თვეებში გაცემული პრემიების შესახებ. ამასთან, მიუხედავად IDFI-ის მოთხოვნისა, არ გაცემულა მონაცემები 2013 წლის განმავლობაში თანამდებობის პირებზე გაცემული დანამატების შესახებ”, – ნათქვამია ინფორმაციაში.

IDFI-ის ინფორმაციის თანახმად, 2013 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამდებობის პირებზე პრემიად გაცემულია 6 969 892 ლარი, საიდანაც ყველაზე დიდი თანხა 880 736 გაიცა ოქტომბერში.

“მიღებული დოკუმენტაციის მიხედვით, 2013 წლის ნოემბრამდე, შსს-ს ცენტრალური აparატის თანამდებობის პირებზე სულ გაცემულია 2 325 789 ლარი. ირაკლი ღარიბაშვილს აღნიშნულ პერიოდში პრემია მიღებული აქვს მხოლოდ თებერვალში – 4 335 ლარი. მინისტრისგან განსხვავებით, სხვა თანამდებობის პირების შემთხვევაში უმეტესწილად პრემია გაიცემოდა ყოველთვიურად და მნიშვნელოვნად აღემატებოდა მათ ყოველთვიურ თანამდებობრივ სარგოს. მაგალითად, მინისტრის მოადგილეებზე 2013 წელს 10 თვეში გაცემულია დაახლოებით ნახევარი მილიონის ოდენობის პრემია საიდანაც ალექსანდრე ტაბატაძემ მიიღო, 113 500 ლარი, ალექსი ბატიაშვილმა – 107 250 ლარი, ლევან იზორიამ – 92 750 ლარი, ვახტანგ გომელაურმა 8 თვეში 74 000 ლარი, დავით ხუციშვილმა 69 750 ლარი, ხოლო გელა ხვედელიძემ 4 თვეში – 44 000 ლარი. ერთჯერადად მინისტრის მოადგილეებზე პრემიის სახით ყველაზე დიდი თანხა გაცემულია ალექსანდრე ტაბატაძეზე – ივლისის პრემია 22 000 ლარი. 2013 წლის მაისში ალექსი ბატიაშვილს პრემიის სახით მიღებული აქვს 15 750 ლარი, ხოლო იზორიას 13 250 ლარი.

2013 წელს (10 თვე) ცენტრალური აparატის 8 დეპარტამენტის უფროსზე გაცემულია 377 250 ლარის ოდენობის პრემია, საიდანაც ყველაზე დიდი თანხა მიღებული აქვს ზვიად ჯანყარაშვილს 70 000 ლარი. ერთჯერადად ცენტრალური აparატის დეპარტამენტის უფროსებს შორის, ყველაზე დიდი თანხა მიღებული აქვს ავთანდილ თაბუნიძეს – აგვისტოს პრემია 18 750 ლარი და ირაკლი ჩიმაკაძეს – სექტემბრის პრემია 11 250 ლარი.

2013 წელს (10 თვე) საapტრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამდებობის პირებზე პრემიის სახით სულ გაცემულია 492 675 ლარი, საიდანაც დეpარატმენტის უფროსს და მის მოადგილეებს მიღებული აქვთ ერთად ჯამში 144 675 ლარი.

სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის თანამდებობის პირების შემთხვევაში 2013 წელს (10 თვე) პრემიის სახით სულ გაცემულია 1 174 894 ლარი, საიდანაც 5 დეpარტამენტის უფროსს მიღებული აქვთ 200 500 ლარი. მათ შორის, ყველაზე დიდი თანხა კონსტანტინე მახარაშვილს და ვეფხია ჩიხლაძეს, თითოეულს 49 375 ლარი.

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეpარტამენტის თანამდებობის პირებზე 2013 წელს (10 თვე) სულ გაიცა 389 170 ლარი პრემია, საიდანაც დირექტორს და მის ორ მოადგილეს მიღებული აქვთ 119 800 ლარი. დეpარტამენტის მაშინდელმა დირექტორმა ზურაბ გამეზარდაშვილმა ივლისის თვეში მიიღო 21 250 ლარის ოდენობის პრემია.

სამწუხაროა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროდან ინფორმაციის მიღება მხოლოდ პროკურატურისადმი მიმართვის შემდეგ გახდა შესაძლებელი, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებას აქვს უფლება, ყოველგვარი დაყოვნების გარეშე, მიიღოს მონაცემები საბიუჯეტო სახსრების განკარგვის შესახებ.

საგანგაშოა, რომ IDFI-მ 2014 წლის ივნისში მოთხოვნილი მონაცემების მიღება მხოლოდ 2016 წლის მიწურულს შეძლო. IDFI გამოთქვამდა ვარაუდს, რომ ინფორმაციის არ მოწოდების და პროცესის მიზანმიმართული გაჭიანურების ერთ-ერთი მიზეზი გაცემული პრემიების უპრეცედენტოდ მაღალი ოდენობა უნდა ყოფილიყო, რაც დადასტურდა მიღებული მონაცემებით.

აღსანიშნავია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული მონაცემების თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციებთან შედარების შედეგად გამოვლინდა მნიშვნელოვანი დარღვევები. კერძოდ, რიგ შემთხვევებში თანამდებობის პირთა მიერ დეკლარაციებში მითითებულია არასრული/არასწორი მონაცემები. მაგალითად, შინაგან საქმეთა მინისტრის მაშინდელ მოადგილეს ალექსანდრე ტაბატაძეს ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში მითითებული აქვს, რომ 2013 წელს სამუშაოს შესრულებით მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 89 828 ლარი. ამავე დროს როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროდან მიღებული დოკუმენტაციით ირკვევა მას 10 თვის განმავლობაში მხოლოდ პრემიის სახით მიღებული აქვს 113 500 ლარი.

ასევე, მაშინდელ მინისტრის მოადგილეს ვახტანგ გომელაურს დეკლარაციაში 2013 წელს სამუშაოს შესრულებით მიღებულ შემოსავალში მითითებული აქვს 84 112 ლარი, მაშინ როდესაც მხოლოდ პრემიის სახით 2013 წლის მარტი-ნოემბრის პერიოდში მიღებული აქვს 74 000 ლარი. შესაბამისად თუ გავითვალისწინებთ პრემიასთან ერთად მის მიერ მიღებულ ყოველთვიურ სარგოს, შეგვიძლია დავასკვნათ რომ დეკლარირებული თანხა არ ასახავს რეალობას.

გენერალური ინსპექციის დეpარტამენტის დირექტორის ზვიად ჯანყარაშვილის თანამდებობაზე მიღებული დეკლარირებული შემოსავალი შეადგენს 78 103 ლარს, მაშინ როდესაც 10 თვეში მხოლოდ პრემიის სახით მიღებული აქვს 70 000 ლარი.

ქალაქ თბილისის მთავარი სამმართველოს მაშინდელი უფროსის ალექსანდრე ჭიკაიძის მიერ დეკლარირებული აღნიშნულ თანამდებობაზე მიღებული შემოსავალი შეადგენს 45 862 ლარს, მაშინ როდესაც სამინისტროდან მიღებული დოკუმენტაციის მიხედვით მას მხოლოდ პრემიის სახით აღნიშნულ თანამდებობაზე მიღებული აქვს 66 250 ლარი.

ჩვენს მიერ ზემოთ წარმოდგენილი იქნა ქონებრივი დეკლარაციების ვებ-გვერდის ზედაპირული გადამოწმებით აღმოჩენილი შემთხვევები შსს-ის თანამდებობის პირთა მიერ 2013 წლის მიღებული შემოსავლების შესახებ. შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს თითოეული თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის დეტალური გადამოწმებით, შევძლებთ სავარაუდოთ მეტი შეუსაბამობის აღმოჩენას, რომელსაც ადგილი ჰქონდა აღნიშნული უწყების თანამდებობის პირების მიერ დეკლარაციებში 2013 წელს მიღებული შემოსავლების მითითებისას.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 355-ე მუხლის თანახმად დეკლარაციაში განზრახ არასრული ან არასწორი მონაცემის შეტანა სისხლისსამართლებრივი წესით დასჯად ქმედებას წარმოადგენს. აღნიშნული დანაშაულის ჩადენა: “ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ასოციდან ორას საათამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე”.

შესაბამისად, მოვუწოდებთ საქართველოს მთავარ პროკურატურას, შეისწავლოს საქმის დეტალები და დანაშაულის დადასტურების შემთხვევაში მოახდინოს შესაბამისი რეაგირება”, – ნათქვამია IDFI-ის ინფორმაციაში.

ჩემი თავი შევთავაზე ახალაიას – გიორგი დგებუაძე ნავთლუღის სპეცოპერაციაზე

ე.წ. ნავთლუღის სპეცოპერაციის საქმეზე კუდ-ის ყოფილიმაღალჩინოსანი გიორგი დგებუაძე, მეტსახელად „მასტერა“ სასამართლოში დაიკითხა. მან 2006 წლის 12 იანვარს ნავთლუღის ავტოსადგურის ტერიტორიაზე ჩატარებული სპეცოპერაციის დეტალებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ უშუალოდ სროლებში მას მონაწილეობა არ მიუღია:

“სამმართველოსა და უშუალოდ ჩემი მოვალეობა, ნავთლუღის ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიის ბლოკირება და იმ ახალგაზრდების გადაადგილების კონტროლი იყო, რომლებიც ავტოსადგურის ტერიტორიაზე მის თანამშრომელს უნდა მიეყვანა. ჩემი სამმართველო უნდა განლაგებულიყო ნავთლუღის ავტოსადგურის მოპირდაპირე მხარეს. 21:00 საათისთვის ყველა დანაყოფი წინასწარ განსაზღვრულ ადგილებში იყვნენ. 21:00 საათამდე რამდენიმე წუთით ადრე მე დამირეკა დათა ახალაიამ და მითხრა, რომ საჭირო იყო ერთი ადამიანი ვინც ვიზუალურ კონტროლს განახორციელებდა იმ სამი ახალგაზრდის, როდესაც მანქანიდან გადმოვიდოდნენ. რადგანაც დავალება საპასუხისმგებლო და ასევე სარისკო იყო, რადგან არსებობდა ინფორმაცია, რომ ის სამი ადამიანი შეიარაღებული იყო, ჩემი თავი შევთავაზე ახალაიას. გადავკვეთე გზა და დაველოდე ვიდრე მანქანა მოვიდოდა. ჩემი ამოცანა იყო რომ სუმბაძეს ტერიტორია უსაფრთხოდ დაეტოვებინა და შემდეგ გამეკონტროლებინა იმ ადამიანების გადაადგილება, რათა დავრწმუნებულიყავი სამი ადამიანი შევიდოდა თუ არა ავტოსადგურის ტერიტორიაზე, სადაც სპეცრაზმი იყო განლაგებული. ამ ახალგაზრდებიდან ერთ-ერთს დაურეკა ტელეფონმა და საუბრით სამივე შევიდა ავტოსადგურის ტერიტორიაზე. მე თვალს ვადევნებდი მათ. რამდენიმე წუთში კი გავიგონე ავტომატიდან გასროლის ხმა, რასაც წინ არავითარი ყვირილი ან ხმა არ უძღოდა. ინსტიქტურად ხელები თავზე ავიფარე, შემეშინდა და დავწექი. ასე აღვიქვი რომ სამი სხვადასხვა ადგილიდან ისმოდა სროლა, ისნის მხრიდან, ავტოსადგურის მხრიდან და ასევე სიღრმიდან. სროლა რამდენიმე წუთი გაგრძელდა, მისი შეწყვეტის შემდეგ კი ის ავტოსადგურის ტერიტორიაზე შევიდა და ვითარების გარკვევა სცადა. დავინახე რომ შალვა თათუხაშვილი დათა ახალაიას ესაუბრებოდა სპეცოპერაციის დეტალებზე და იმაზე თუ რატომ და როგორ მოხდა ახალგაზრდების გარდაცვალება. ვიდრე სპეცოპერაცია ჩატარდებოდა, დათა ახალაიას მოადგილესთან დავით ჩხატარაშვილთან მოხდა მისი დაგეგმვა, სადაც გადაწყდა, რომ იმ სამი ახალგაზრდის და იმ პირების დაკავება ვისაც ისინი ავტოსადგურში უნდა შეხვედროდნენ, სპეცრაზმს უნდა მოეხდინა”, – განაცხადა ბრალდებულმა.

„დამდგარი შედეგიდან გამომდინარე, ეს იყო წარუმატებელი და ოპერატიულად ცუდად დაგეგმილი სპეცოპერაცია. გარდა იმისა, რომ სამი ახალგაზრდა გარდაიცვალა, ჩვენ დავკარგეთ შესაძლებლობა, გაგვეგო რეალობა – რა მოხდა, რა იგეგმებოდა, რა უნდა მომხდარიყო და ა.შ. დღემდე არ ვიცი, რა მოხდა მართლა. ასეთი შედეგის დადგომა ფაქტობრივად კატასტროფაა. ოპერატიული კუთხით მუშაობა ჩაგვივარდა. გარკვეული შეცდომები იყო დაშვებული”, – განაცხადა გიორგი დგებუაძემ.

ბრალდებულის თქმით, ოპერაციის წარუმატებლობა იმანაც განაპირობა, რომ **ლგბ**-ს მის დასაგეგმად მცირე დრო ჰქონდა.

გიორგი დგებუაძესთან ერთად საქმეზე კონსტიტუციური უსაფრთხოების დეpარტამენტის თავმჯდომარე დათა ახალაიაა ბრალდებული. მათ ბრალად განზრახ მკვლელობა და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება ედებათ.

ნასა-მ მარსის კოლონიზაციის შემდეგ მთავარი სამიზნე დაასახელა

ერთ-ერთი ამერიკული ინტერნეტგამოცემა იუწყება, რომ ნასა-ს მეცნიერებმა მარსის კოლონიზაციის შემდეგ მზის სისტემის ობიექტი დაასახელეს, სადაც მომავალში მუდმივი დასახლების შექმნაა შესაძლებელი. ეს სატურნის თანამგზავრი **ტიტანია.**

ტიტანი დედამიწის გარდა, ერთადერთი ობიექტია მზის სისტემაში, რომელსაც თხევადი ტბები გააჩნია, თუმცა ის წყლისგან არ შედგება. ასევე სატურნის თანამგზავრს, მარსისგან განსხვავებით მყარი ატმოსფერო აქვს, რომელიც 95%-ით აზოტისგან შედგება. გარდა ამისა, სატურნის მაგნიტური ველი ტიტანზე მყოფ სხეულებს კოსმოსური რადიაციისგან დაიცავს.

ატმოსფერული წნევა ტიტანზე 1,5-ჯერ აღემატება დედამიწის წნევას, რაც ამ ციურ სხეულზე გამგზავრებული ასტრონავტების სკაფანდრების შექმნას გაამარტივებს. ნახშირწყალბადების და ყინულის არსებობა ტიტანზე საწვავის პრობლემას მოხსნის. სადგურების ასაშენებლად „ნასას” სპეციალისტებმა პლასტმასი აირჩიეს.

ერთ-ერთი სერიოზული წინააღმდეგობა ტიტანის კოლონიზაციისთვის არის დაბალი ტემპერატურა მის ზედაპირზე – მინუს 180 გრადუსი ცელსიუსით და დედამიწიდან საკმაო დაშორება – დღევანდელი ტექნოლოგიების გამოყენებით ჩვენი პლანეტიდან ტიტანზე ჩაფრენას 7 წელი დასჭირდება.

ტიტანი 62-დან სატურნის ყველაზე დიდი თანამგზავრია. ის მთვარეს დიამეტრში ერთნახევარჯერ და მასაში ორჯერ აღემატება. ტიტანის ატმოსფერო, ძირითადად, აზოტისა და მეთანისგან შედგება.

ᲜᲝᲜᲐ ᲒᲐᲤᲠᲘᲜᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ: „ᲠᲐ ᲛᲝᲛᲪᲐ ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲛᲐ? ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ, ᲤᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ!“

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲕᲘᲣᲬᲧᲔᲑᲝᲓᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲜᲝᲜᲐ ᲒᲐᲤᲠᲘᲜᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ 65 ᲬᲔᲚᲡ ᲒᲐᲓᲐᲪᲘᲚᲔᲑᲣᲚ ᲛᲝᲭᲐᲓᲠᲐᲙᲔᲑᲨᲘ. ᲐᲛᲯᲔᲠᲐᲓ ᲙᲘ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲔᲑᲡ ᲕᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲗ ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜ ᲜᲝᲜᲐᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲪ ᲘᲒᲘ ᲛᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲜᲕᲚᲘᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲖᲐᲖᲔ ᲛᲝᲒᲒᲘᲗᲮᲠᲝᲑᲡ.

ᲮᲣᲗᲒᲖᲘᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ, ᲐᲡᲔᲕᲔ ᲡᲐᲭᲐᲓᲠᲐᲙᲝ ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲗᲔᲠᲗᲛᲔᲢᲒᲖᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ 75 ᲬᲚᲘᲡ ᲑᲠᲫᲐᲜᲓᲔᲑᲐ. ᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲩᲕᲔᲣᲚ **„ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚ ᲤᲝᲠᲛᲐᲨᲘ“** ᲘᲛᲧᲝᲤᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ ᲐᲛᲘᲡᲘ ᲜᲐᲗᲔᲚᲘ ᲓᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲐᲐ.

ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲜᲝᲜᲐ ᲒᲐᲤᲠᲘᲜᲓᲐᲨᲕᲘᲚᲡ ᲔᲮᲔᲑᲐ, ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲣᲐᲮᲚᲝᲔᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ ᲬᲐᲠᲣᲨᲚᲔᲚᲘ ᲙᲕᲐᲚᲘ ᲓᲐᲢᲝᲕᲐ. ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜ ᲜᲝᲜᲐᲡ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲔᲗᲥᲛᲘᲡ ᲓᲐ ᲣᲙᲕᲔ ᲛᲔᲠᲐᲛᲓᲔᲜᲔ ᲐᲝᲔᲣᲚᲘ ᲬᲔᲚᲘᲐ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲗᲕᲘᲡᲔᲑᲔᲑᲘᲗ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲡᲪᲔᲛᲐᲡ ᲘᲛᲘᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲡ. 1989-1996 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲐᲮᲚᲐᲓᲓᲐᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲐᲓᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲗᲐᲕᲔᲔᲑᲗᲐᲜ ᲘᲓᲒᲐ ᲓᲐ ᲐᲛ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲖᲠᲓᲐ-ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲠᲗᲣᲚᲛᲐ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲛᲐ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲛᲘᲡ ᲛᲮᲠᲔᲑᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲘᲐᲠᲐ. ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲠᲝᲛ ᲒᲐᲛᲝᲕᲔᲓᲘᲗ. ᲛᲔ ᲓᲐ ᲘᲡᲔ ᲛᲘᲡᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲛᲮᲓᲐ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ. ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲨᲔᲡᲕᲚᲔᲑᲘᲡᲐᲡ, ᲗᲣ ᲨᲐᲜᲘᲡ ᲛᲭᲝᲜᲓᲐ, ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲕᲓᲘᲝᲛᲓᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ. ᲑᲘᲙᲝᲕᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲣᲐᲚᲔᲓᲨᲘᲪ ᲐᲡᲔ ᲛᲝᲕᲘᲥᲔᲪᲘ – ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ **„ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘ“** ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲦᲐᲪ ᲙᲚᲣᲑᲡ ᲛᲐᲡᲐᲠᲘᲜᲓᲚᲝᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲬᲐᲕᲔᲓᲘ. ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲛᲐ ᲒᲣᲚᲨᲔᲛᲐᲢᲙᲘᲕᲐᲠᲛᲐ ᲛᲘᲪᲜᲝ ᲓᲐ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲐ ᲐᲘᲧᲝᲚᲚᲘᲐ, ᲮᲐᲚᲮᲘ ᲡᲙᲐᲜᲓᲘᲠᲔᲑᲓᲐ: **„ᲜᲝᲜᲐ, ᲛᲝᲣᲒᲔ ᲚᲘᲖᲘᲐᲡ, ᲛᲝᲣᲒᲔ ᲚᲘᲖᲘᲐᲡ“**! ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲪ ᲛᲐᲮᲡᲔᲜᲓᲔᲑᲐ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲘᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲣᲙᲕᲔ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ ᲕᲘᲧᲐᲕᲘ. ᲗᲐᲛᲐᲨᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲐᲛᲓᲔ ᲔᲠᲗᲛᲐ ᲞᲝᲚᲙᲝᲕᲜᲘᲙᲛᲐ ᲛᲘᲪᲜᲝ, ᲛᲝᲛᲘᲐᲮᲚᲝᲕᲓᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲛᲝᲛᲐᲬᲝᲓᲐ, ᲨᲔᲛᲘᲛᲝᲬᲛᲔ ᲡᲬᲝᲠᲐᲓ ᲐᲛᲝᲕᲮᲡᲜᲔ ᲡᲐᲭᲐᲓᲠᲐᲙᲝ ᲔᲢᲘᲣᲓᲘ ᲗᲣ ᲕᲔᲠᲐᲝ. ᲛᲔᲠᲔ ᲛᲙᲘᲗᲮᲐ, ᲐᲛ ᲧᲘᲜᲕᲐᲨᲘ ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲒᲐᲮᲣᲠᲐᲕᲡᲝ. ᲐᲠ ᲛᲘᲧᲕᲐᲠᲡ-ᲛᲔᲗᲥᲘ, ᲕᲣ�პᲐᲡᲣᲮᲔ. ᲐᲠᲐ, ᲨᲔᲜ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ ᲮᲐᲠ, ᲗᲐᲕᲘᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲣᲤᲠᲗᲮᲘᲚᲓᲔᲗ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲙᲐᲞᲘᲣᲨᲝᲜᲘ ᲛᲝᲘᲮᲡᲜᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲐᲤᲐᲠᲐ.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲓᲐᲜ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲛᲐᲢᲐᲠᲔᲑᲚᲘᲗ ᲬᲐᲛᲝᲕᲔᲓᲘᲗ. ᲚᲔᲡᲔᲚᲘᲫᲔᲨᲘ ᲨᲔᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲐᲢᲐᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲖᲔ ᲩᲔᲠᲓᲔᲑᲝᲓᲐ – ᲐᲣᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲒᲕᲮᲕᲓᲔᲑᲝᲓᲐ, ᲛᲘᲚᲝᲪᲐᲕᲓᲜᲔᲜ, ᲡᲐᲩᲣᲥᲠᲔᲑᲡ ᲛᲘᲫᲕᲜᲘᲓᲜᲔᲜ... ᲩᲔᲛᲡ ᲙᲣᲞᲔᲨᲘ ᲡᲣᲤᲠᲐ ᲐᲠ ᲐᲨᲚᲘᲚᲐ! ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲮᲝᲛ ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ ᲖᲦᲐᲞᲐᲠᲘ ᲛᲝᲮᲓᲐ: ᲑᲐᲥᲐᲜᲖᲔ ᲢᲔᲕᲐ ᲐᲠ ᲘᲧᲝ! ᲛᲐᲮᲡᲝᲕᲡ, ᲛᲐᲛᲐᲛ ᲤᲔᲮᲡᲐᲪᲛᲔᲚᲘ ᲓᲐᲙᲐᲠ�გᲐ. ᲨᲘᲜᲐᲪ ᲡᲣᲤᲠᲐ ᲘᲧᲝ ᲒᲐᲨᲚᲘᲚᲘᲚᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠᲐᲤᲠᲘᲡ ᲗᲐᲕᲘ ᲐᲦᲐᲠ ᲛᲭᲝᲜᲓᲐ. ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲡᲐᲓᲦᲔᲒᲠᲫᲔᲚᲝᲛᲓᲔ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲒᲐᲒᲬᲘᲠᲓᲘ – ᲛᲐᲛᲐᲛ ᲛᲘᲗᲮᲠᲐ, ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲝᲑᲐ ᲙᲘ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲙᲐᲠ�გᲘᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲗᲐᲕᲨᲘ ᲐᲠ ᲐᲒᲘᲕᲐᲠᲓᲔᲡᲝ.

ᲑᲘᲙᲝᲕᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘᲡ ᲢᲘᲢᲣᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲖᲔᲓᲘᲖᲔᲓ ᲡᲐᲛᲯᲔᲠ ᲓᲐᲕᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔ ᲐᲚᲐ ᲙᲣᲨᲜᲘᲠᲘ – 1965, 1969 ᲓᲐ 1972 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ. ᲯᲔᲠ 8,5:4,5 ᲛᲝᲕᲣᲒᲔ ᲝᲠᲯᲔᲠ, ᲛᲔᲡᲐᲛᲔᲓ ᲙᲘ 8,5:7,5. ᲔᲠᲗᲘ ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲚᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘ ᲛᲧᲐᲕᲓᲐ, ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲣ, ᲘᲡ ᲛᲔᲣᲑᲜᲔᲑᲝᲓᲐ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲐᲓᲒᲘᲚᲡ ᲠᲝᲛ ᲒᲐᲘᲜᲐᲓᲓᲔᲑ, ᲪᲝᲢᲐ ᲛᲝᲣᲨᲕᲘ, ᲛᲔᲠᲔ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲓᲐᲗᲐᲜᲮᲛᲓᲘ ᲧᲐᲘᲛᲔᲑᲡ, ᲒᲣᲚᲨᲔᲛᲐᲢᲙᲘᲕᲠᲔᲑᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲮᲕᲐᲝᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐᲡ ᲜᲣ ᲨᲔᲐᲩᲕᲔᲕᲓᲐ. ᲠᲐ ᲕᲭᲜᲐ, ᲐᲠ ᲨᲔᲛᲔᲫᲚᲝ ᲡᲮᲕᲐᲜᲐᲘᲠᲐᲓ, ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲒᲣᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲕᲗᲐᲛᲐᲨᲝᲑᲓᲘ ᲓᲐ ᲐᲚᲑᲐᲗ, ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲐᲪ ᲕᲘᲒᲔᲑᲓᲘ ᲑᲔᲕᲠ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐᲡ.

1969 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲚᲐ ᲙᲣᲨᲜᲘᲠᲗᲐᲜ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲐᲢᲩᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ. ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲨᲘ ᲬᲐᲕᲐᲒᲓ. ᲮᲐᲚᲮᲗᲐᲜ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲐᲠ ᲛᲘᲜᲓᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲢᲝᲛ, ᲡᲐᲗᲐᲓᲐᲠᲘᲒᲝ ᲒᲐᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲕᲔᲓᲘ. ᲒᲖᲐᲨᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲓᲐᲕᲔᲧᲐᲠᲔ. ᲐᲠ ᲘᲜᲔᲠᲕᲘᲣᲚᲝᲗ, ᲛᲝᲕᲘᲒᲔᲑ-ᲛᲔᲗᲥᲘ, ᲕᲘᲪᲐᲓᲔ ᲛᲐᲗᲘ ᲓᲐᲛᲨᲕᲘᲓᲔᲑᲐ. ᲛᲔᲝᲠᲔ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲛᲝᲕᲘᲒᲔ ᲓᲐ ᲥᲣᲚᲘᲗ ᲓᲐᲕᲬᲘᲜᲐᲣᲠᲓᲔ. ᲣᲞᲘᲠᲐᲢᲔᲡᲝᲑᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ᲒᲐᲕᲐᲛᲐᲠᲯᲔ – ᲔᲠᲗᲘ ᲥᲣᲚᲐᲪ ᲐᲠ ᲓᲐᲛᲘᲗᲛᲘᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝᲓ 8,5:4,5 ᲛᲝᲕᲘᲒᲔ. ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲝᲑᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲐᲚᲐᲛ ᲛᲝᲛᲘᲚᲝᲪᲐ ᲓᲐ ᲘᲥᲕᲔ ᲓᲐᲛᲞᲘᲠᲓᲐ, ᲜᲝᲜᲐ, ᲘᲝᲚᲐᲓ ᲐᲠ ᲓᲐᲒᲜᲔᲑᲓᲔᲑᲘ, ᲩᲕᲔᲜ ᲛᲔᲡᲐᲛᲔᲓᲐᲪ ᲨᲔᲕᲔᲮᲕᲓᲔᲑᲘᲗᲝ. ᲛᲐᲜ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲐ – 1972 ᲬᲔᲚᲡ ᲛᲔᲡᲐᲛᲔᲓ ᲓᲐᲕᲣᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲓᲘᲗ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲡ.

ᲡᲐᲭᲐᲓᲠᲐᲙᲝ ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲐᲓᲘᲡ ᲛᲝᲒᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲩᲕᲔᲜ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲡ ᲕᲘᲦᲔᲑᲓᲘᲗ, ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲙᲘ 900-ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲐᲜ ᲞᲠᲔᲛᲘᲐᲡ ᲒᲕᲘᲬᲔᲠᲓᲜᲔᲜ. ᲠᲝᲪᲐ ᲐᲛ ᲗᲐᲜᲮᲐᲡ ᲕᲘᲦᲔᲑᲓᲘ, ᲜᲐᲮᲕᲔᲕᲐᲠ ᲛᲭᲝᲜᲓᲐ ᲓᲐᲮᲐᲠᲯᲣᲚᲘ.

ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲧᲕᲐᲠᲓᲐ ᲮᲐᲚᲮᲗᲐᲜ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐ, ᲒᲣᲚᲨᲔᲛᲐᲢᲙᲘᲕᲠᲔᲑᲗᲐᲜ ᲐᲠᲐᲡᲓᲠᲝᲡ ᲕᲭᲝᲤᲘᲚᲕᲐᲠ ᲓᲘᲡᲢᲐᲜᲪᲘᲐᲖᲔ. ᲑᲘᲙᲝᲕᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ ᲡᲣᲚ ᲮᲐᲚᲮᲨᲘ ᲕᲭᲠᲘᲐᲚᲔᲑᲓᲘ – ᲑᲘᲚᲘᲐᲠᲓᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲒᲘᲓᲘᲡ ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲡ ᲕᲗᲐᲛᲐᲨᲝᲑᲓᲘ, ᲥᲝᲛᲐᲒᲔᲑᲡ ᲕᲔᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑᲝᲓᲘ... ᲐᲡᲔ ᲣᲙᲔᲗ ᲕᲘᲡᲕᲔᲜᲔᲑᲓᲘ. ᲛᲐᲮᲡᲝᲕᲡ, ᲤᲘᲜᲐᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲠᲝᲪᲐ ᲛᲝᲣᲕᲐᲓᲐᲜ ᲛᲝᲕᲓᲘᲝᲓᲘᲗ, ᲓᲐᲠᲐᲯᲛᲐ ᲣᲨᲕᲔᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲗᲐᲘᲒᲣᲚᲘ ᲛᲝᲛᲐᲠᲗᲕᲐ!

ᲑᲘᲚᲘᲐᲠᲓᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲙᲐᲠ�გᲐᲓ ᲕᲗᲐᲛᲐᲨᲝᲑᲓᲘ. ᲠᲝᲪᲐ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲕᲘᲙᲠᲘᲑᲔᲑᲝᲓᲘᲗ, ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲕᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲝᲓᲘ ᲛᲐᲛᲐᲪᲔᲑᲡ. ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲑᲝᲢᲕᲘᲜᲘᲙᲘᲡ 8:0 ᲛᲝᲕᲣᲒᲔ. ᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲡ ᲩᲔᲛᲗᲐᲜ ᲐᲦᲐᲠ ᲣᲗᲐᲛᲐᲨᲘᲐ.

ᲛᲔ ᲓᲐ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲩᲔᲛᲜᲐᲘᲠᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲝᲒᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲬᲐᲒᲔᲑᲐᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲪᲓᲘᲗ. ᲠᲝᲪᲐ ᲛᲔᲢᲝᲥᲔ ᲜᲝᲠᲛᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲒᲘᲒᲔᲑᲡ, ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲜᲔᲠᲕᲘᲣᲚᲝ, ᲔᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲐ. ᲩᲕᲔᲜ ᲕᲜᲔᲠᲕᲘᲣᲚᲝᲑᲗ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲝᲒᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲬᲐᲒᲔᲑᲡ ᲓᲐᲞᲐᲠᲘᲡᲞᲘᲠᲔᲑᲓᲐᲗ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲡ. ᲠᲝᲪᲐ **ᲡᲔᲝᲯ**-ᲘᲡ ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘᲡ ᲫᲘᲔᲑᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲡ, ᲐᲠᲩᲔᲕᲐᲜᲘ ᲩᲔᲛᲖᲔ ᲨᲔᲐᲩᲔᲠᲔᲡ, ᲛᲔ ᲙᲘ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲕᲘᲪᲝᲓᲘ.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲐᲓᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲝᲑᲘᲓᲐᲜ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘᲗ ᲬᲐᲕᲔᲓᲘ. ᲛᲘᲖᲔᲖᲘ? ᲒᲐᲠᲓᲐ ᲘᲛᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲢᲚᲐᲜᲢᲐᲨᲘ ᲩᲕᲔᲜᲛᲐ ᲒᲣᲜᲓᲛᲐ ᲪᲣᲓᲐᲓ ᲘᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲐ, ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲒᲐᲓᲐᲦᲚᲘᲚᲘ ᲕᲘᲧᲐᲕᲘ, ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲐᲓ ᲜᲔᲠᲕᲘᲣᲚᲝᲑᲐ ᲛᲘᲬᲔᲕᲓᲐ, ᲑᲔᲕᲠᲘ ᲣᲐᲖᲠᲝ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐᲪ ᲕᲔᲠ ᲐᲕᲘᲪᲘᲚᲔ ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜ ᲓᲐ ᲛᲘᲕᲮᲕᲓᲘ, ᲠᲝᲛ ᲕᲐᲡᲚᲔᲚᲘᲡ ᲓᲠᲝ ᲘᲧᲝ. ᲠᲐᲪ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘᲐ, ᲩᲔᲛᲡ ᲗᲐᲝᲑᲘᲡᲐ ᲘᲧᲝ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲐᲠ ᲰᲥᲜᲓᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲤᲣᲚᲘᲗ ᲮᲝᲛ ᲐᲠ ᲘᲖᲝᲛᲔᲑᲐ? ᲘᲡ, ᲠᲐᲪ ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲛᲐ ᲛᲝᲛᲪᲐ, ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲐ, ᲔᲡ ᲙᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘᲐ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲐᲓ ᲛᲘᲧᲕᲐᲠᲡ. ᲝᲠᲘᲝᲓ ᲓᲦᲘᲗᲐᲪ ᲠᲝᲛ ᲛᲘᲕᲐᲢᲝᲕᲝ, ᲣᲙᲐᲜ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲒᲐᲤᲐᲪᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲘ. ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲠᲝᲛᲡ ᲓᲐ ᲞᲐᲠᲘᲖᲡ ᲒᲐᲛᲝᲕᲐᲠᲩᲔᲕ, ᲡᲐᲜᲙᲢ-ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠ�გᲘᲪ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲝᲛᲬᲝᲜᲡ. ᲠᲐᲪ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲡ, ᲘᲣ�გᲝᲡᲚᲐᲕᲘᲐᲡ ᲩᲔᲛᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲓ ᲛᲘᲕᲘᲩᲜᲔᲕ – ᲩᲔᲛᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲘᲥ ᲒᲐᲕᲐᲢᲐᲠᲔ. 1959 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ ᲛᲝᲧᲝᲚᲔᲑᲣᲚᲘ, ᲐᲛ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡᲗᲐᲜ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲡᲐᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲝ ᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲐ ᲛᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲡ.

ᲐᲠ ᲕᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲗᲥᲛᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲝᲛᲘᲐ. ᲐᲠᲐ, ᲝᲛᲘ ᲙᲘ ᲐᲠᲐ... ᲪᲝᲢᲐ ᲡᲮᲕᲐᲜᲐᲘᲠᲐᲓ ᲕᲘᲪᲧᲝᲓᲘ: ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲡ ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘᲡ ᲓᲐᲤᲐᲡ ᲐᲓᲐᲠᲔᲑᲔᲜ. ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲐ, ᲐᲚᲑᲐᲗ.

ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘ ᲩᲔᲛᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲡᲘᲐ, ᲩᲔᲛᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲬᲘᲒᲜᲡᲐᲪ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲕᲣᲬᲝᲓᲔ. ᲠᲝᲪᲐ XX ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲥᲐᲚ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲐᲓ ᲛᲐᲓᲘᲐᲠᲔᲡ, ᲓᲐᲕᲠᲬᲛᲣᲜᲓᲘ, ᲠᲝᲛ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲓᲘᲠᲓᲐ ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ. ᲗᲣᲛᲪᲐ ᲐᲠ ᲕᲗᲕᲚᲘ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲢᲕᲘᲠᲗᲘᲐ. ᲐᲡᲔ ᲕᲘᲢᲧᲝᲓᲘ: ᲔᲡ ᲢᲘᲢᲣᲚᲘ ᲩᲔᲛᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲝ ᲓᲐᲜᲐᲛᲐᲢᲘᲐ.

ᲐᲡᲐᲙᲘᲡ ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ, ᲗᲐᲕᲡ ᲛᲝᲮᲣᲪᲐᲓ ᲐᲠ ᲕᲗᲕᲚᲘ. ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘᲡ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲓᲘᲓ ᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲔᲑᲐᲡ ᲛᲐᲜᲘᲭᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲜᲐᲛ ᲐᲡᲔ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ, ᲛᲐᲜᲐᲛᲓᲔ ᲕᲘᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑ. ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲐᲠ, ᲮᲔᲚᲔᲑᲘ ᲗᲣ ᲩᲐᲛᲝᲕ

ილორი

როდესაც გულაჩუყება სირეგვნეში ჩასადგურებით ღალატისკენ იბილიკებს სვლაგეზს, ანუ...

(გაგრძელება წინა ნომრიდან)
უგნურების თარეში ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) საკითხებში

რაც შეეხება ამ მარაქაში შემოკვეხებულ ე. წ. ჟურნალისტ თენგიზ პაჭკორიას, თავისი აშკარად არასაამდროო და კინაღამ ტრანსგენდერული ჩაცმულობით, მისი ხმაბოდვების მიმოსახილველად დროს არ დავკარგავ, რადგან აფხაზეთის (ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს) მოსახლეობის არც დევნილ და არც იქ დარჩენილ ნაწილში მე არ მეგულება კაცი, რომელიც მას ყურის საგდებად შეუჩერდება.

ერთადერთი, ვისაც ამ გადაცემის მონაწილეთა შორის შეიძლება ეკამათო, პროფესორი ზურაბ პაპასკირი გახლავთ, მაგრამ მისი დებულება, რომ 1992-93 წლების საომარი ავანტიურა რუსეთის მიერ იყო პროვოცირებული, ეს ჩვენ, სანამ ტყვია გავარდებოდა, მანამდე ვიცოდით, ვაფრთხილებდით კიდეც საზოგადოებას, მაგრამ მაშინ (ამას ნიშნისმოგებით არ ვამბობ), ფეხაწყობა, რომლის რიგებშიც ბატონი ზურაბი სამხედრო ფორმა ჩაცმული მიმოდიოდა, რუსეთის აგენტებს გვეძახდა.

ამის მიუხედავად, ეს სისხლისღვრა აფხაზეთის მოსახლეობისთვის როგორც აფსუა თემისთვის, ასევე და, პირველ რიგში, ქართველებისთვის დიახაც რომ სამამულო ომი იყო კრემლიდანური დივერსიების პირისპირ. მისი სიმძიმე ზურგზე დააწვა უბრალო, რიგით, თავისი მამულის, – სამკვიდრისისთვის თავგანწირულ ადამიანებს, მიუხედავად იმისა, თუ რომელ მხარეს იდგნენ ისინი. დიახ, ეს იყო სამამულო ომი, რომლის საბედისწერო შედეგებიდან თავდაღწევას საფუძვლად უნდა დაედოს სიმართლე, ანუ აფხაზეთის, ე. ი. ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს დედან შინაარსში აღორძინება.

ახლა რაც შეეხება ბატონ ზაალ კასრელიშვილის სადღეგრძელოსმაგვარ ლოზუნგებს: მე მართლა არ გამიჭირდება იმ აფსუასთან საუბარი, რომლისთვისაც ეს საომარი ავანტიურა, ისევე, როგორც ჩემთვის,სამამულო ომი იყო. მასთან ერთად ჩვენ მშვიდად, მამაკაცურად მივალთ იმ მეხსიერებამდე, რომელიც აფხაზეთის დედან შინაარსზე აღორძინდება, მაგრამ ვერასოდეს დაუზავდება მეომარი, ტყვისთვის ჩანახედი და სამშობლოსთვის თავგანაწირი კაცი ისეთ ზედაპირულ და ზურგსუკანა გარიგებას, როდესაც ჩემი მამულის გასხვისებისა და მისთვის თავგანაწირი 17-18 წლის ბიჭუნების სისხლის ჩამოწერის ხარჯზე,შეგინებული საფლავებისა და გაუპატიურებული ღირსების პატივმიუგებლობის ფასად: ბატონმა ზაალ კასრელიშვილმა კი არა, საფლავიდან წამომდგარმა საკუთარმა მამამაც რომ მოინდომოს ასეთი წინგაუხედავი **„ქველმოქმედების“** გაწევა და უსაფრთხო ბიზნესის წარმოება შესთავაზოს **„გასხვასახელმწიფოებული“** ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს საოკუპაციო კონტიგენტს, ამას დევნილი მოსახლეობისთვის ზურგში მახვილის ჩაცემად ჩავთვლით ჩვენ.

ღმერთმა ხელი მოუმართოს იმ ჩერქეზს, ჩეჩენს, ინგუშს, დაღესტნელს და ა. შ. რომელიც აქ ბიზნესს აწარმოებს, მაგრამ იცის თუ ვის ქვეყანაში საქმიანობს უსაფრთხოდ. ყველა მათგანს საკუთარი სამშობლო გააჩნია. სხვა ვითარებაა აფხაზეთში. სანამ ამ ვითარებაზე ვისაუბრებდეთ, მე მინდა, ბატონ ზაალს ვუთხრა, რომ აფხაზეთთან ჩემს მიბმულობას ის კი არ განაპირობებს, მამაჩემს გუდაუთში მეგობარი რომ ჰყავდა და მე საბანაოდ დავდიოდი ზღვაზე ზაფხულობით, გაცილებით მეტი რომ მაერთსხეულებს მასთან, ეს მხარე არის ჭყონდიდურ-აღმაშენებლური საქართველოს ათვლა (**„მეფე აფხაზთა...“** ასე იწყებოდა ბაგრატოვანთა ტიტულატურა). ეს გახლავთ ჩემი და ჩემი წინაპრების ვინაობა, შურობუმუ, საძვალე, აქ განისვენებს დიდი ბაგრატ III, რაც მთავარია მე ვარ აფხაზი და არა ის, ვისაც წინგაუხედავი **„გულაჩუყებით“** ბიზნესის წარმოებას სთავაზობს იგი.

შე, კაი კაცო, 350 000 კაცი, აქედან დევნილი, მათ შორის აფსუაც, სიკვდილს გამოქცეული, ნახევრადმშიერი გყავს აქ და რატომ მათთვის არ ქველმოქმედებ?!

რაც შეეხება აფსუა სახლიკაცებთან ჩვენს შერიგებას, ეს ასე კი მოხდება, მაგრამ არა იმ წესით, ეშმაკი რომ დაადგენს თარგად!..

ისე, კაცმა რომ თქვას, თბილისიდან გუდაუთას ზღვაში საბანაოდ მამის მეგობართან ჩატურისტებულ ექსპერტს რომ გახსენებოდა **„მცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველამ არ გავიარე, რაა მამული?!.“** და დიდი გალაკტიონის შეგონების მიხედვით აერბინა იქვე, ლიხნში, თან სულის ფორიაქით მოეთვალსაწიერებინა ქართულად მოუფლისმწვდომე ათასწლოვანი ტაძარი, რომლის წიაღში მშობლიური ასომთავრულით შინაარსდება ჩვენი ვინაობა და რომელსაც საბედისწერო უვიცობითა თუ ბედთან შერიგებით დღემდე ასხვისებს უნიათო ჭირისუფალი, მაშინ ფილტვგამოხრული ლადოს წამგაუცდენლობით უნდა ეხორხისმიერა მას: **„ეს აწვალებადა ცოტნე დადიანს, მეც ქართელი ვარ და ეს მაწვალებს!“...**

ამის შემდეგ, თუ ხანდაზმულ აფსუა დარბაისლებს დაემგზავრებოდა, მათგან იმასაც შეიტყობდა, რომ ახლო-მახლო, გუდაუთის უღრან ტყეებში ადამიანები მაშინაც პოულობდნენ და ახლაც პოულობენ მომხდურ დამრბევთა შიშით ქართველთა (ე. ი. აფხაზთა, ანუ მეგრელთა) მიერ გადამალულ საეკლესიო ნივთებს, ხატებს, სამოსსა თუ წიგნებს, ის კი არადა, ზოგიერთგან, ფუღუროებში სახელდახელო სალოცავსაც წააწყდებოდი, სადაც, გასაგებია, თუ ვინ და რომელ ენაზე აღავლენდა ლოცვას.

ასეთი სიცხადისგან შემოფეთებული ელდა ბატონ ზაალს ნამდვილ ექსპერტთა მეხსიერებიდან ამოაქექინებდა იერუსალიმის სულნათელი პატრიარქის დოსითეოსის (1669-1707 წ.წ.) გულისშემძვრელ ცნობებს იმაზე თუ რა სისასტიკით ხასიათდებოდა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) XVII საუკუნის 80-იანი წლების შემოთარეშება. როდესაც დღევანდელ „абхазец“-თა წინაპრები გენოციდისა და ეთნიკური წმენდის საშუალებით აქედან პირწმინდად აძევებდნენ ნამდვილ აფხაზებს, ანუ მეგრელებს (ქართველობას).

ბუნებრივია, აქედან გამომდინარე, სიცხადეში გარკვევის სურვილი ექსპერტ კაცს იმაზეც ჩააფიქრებდა, XVII საუკუნის 80-იან წლებიდან XX საუკუნის 90-იან წლებამდე, უფრო სწორად, დღემდე სახლიკაცად და ძუძუმტედ მიღებულ აფსუათა წინაპრების მხრიდან სულ რამდენჯერ განხორციელდა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) მკვიდრ ე. ი. ნამდვილ აფხაზთა გენოციდი და ეთნიკური წმენდა?!.

...თუ ამას ისიც დაემატებოდა, – მამამისის მეგობრის ჭერქეზ ხეშხვამასაც შეესწრებოდა და დაადგენდა, რომ ეს დამწყალობნება გვიან შემოხიზნულმა აფსუებმა (სარწმუნოებით წარმართებმა, უკეთეს შემთხვევაში – მუსლიმებმა) მკვიდრი მართლმადიდებელი მეგრელებისგან ისე შეისისხლისხორცეს (როგორც მრავალი სხვა რამ), რომ არც უფიქრიათ **„ხეშხვამა“** აფსუურად ეთარგმნათ, ბატონი ზაალი, თავის ტურისტულ ჩანთას, ზღვაში ბანაობის გასწვრივ, ექსპერტისთვის საჭირო მასალებითაც შეავსებდა.

როგორც ხედავთ, **„ხეშხვამა“** მეგრული (ქართული) სიტყვაა და იგი აფსურად არაფერს გვეუბნება, ხოლო მისი დედანი მნიშვნელობა თავად ღაღადებს, რასაც და ვისაც ნიშნავს. სამწუხაროდ, რაც შეეხება ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) დედან შინაარსს, დღემდე მობოგინე ცრუდედა ქალაქური **„ცენტრიდანულობისთვის“**, რომლისთვისაც, თბილისში დიმიტრი უზნაძის ქუჩა ამ წუთამდე კამოს თემშარაა, ეს მხარე (აფხაზეთი), ოღონდ თავისი მეგრული ვინაობით არ აწყალუხვებდეს დედო ქართულს და ეშმაკსაც წაუღია, ყაბულსაა „абхазец“-ური ეთნოდივერსიებით გვემეზობლებოდეს ჩვენ!..

აქვე ვსვამ კითხვებს არა პატივცემული ზაალ კასრელიშვილის, არამედ, ქალბატონ თამარ ბელქანიას მიმართ და ახლავე ვითხოვ პასუხს:

1. არის თუ არა აფხაზეთი ჩრდილო-დასავლეთ საქართველო?

2. შეგიძლიათ თუ არა წარმოადგინოთ დროსა და სივრცეში რაიმე სახის მტკიცებულება იმაზე, რომ აფხაზეთი არ არის ჩრდილო-დასავლეთ საქართველო?

3. ვინ შექმნა აფხაზეთში ქართული ასომთავრულით აღაღადებული უძველესი ტაძრები და სად გაქრა ეს ხალხი?

4. აყალბებდნენ თუ არა რუსი ელჩები, ფედოტე ელჩინი და პავლე ზახარიევი სინამდვილეს, რომლებიც 1639-40 წლებში სამეგრელოს სტუმრობდნენ, მოგზაურობდნენ სამეგრელოში, აღწერდნენ მას და მიუთითებდნენ, რომ დრანდაში, მოქვში, ბედიაში, ილორში და ა. შ. ქართო ცენტრისტული ცნობიერებისა და ასეთივე სულისკვეთების მეგრელები (ე. ი. ქართველები) მოსახლეობდნენ?

სამწუხაროდ, ისეთი ღრმადპატივსაცემი ტრიბუნა, როგორიცაა საპატრიარქოს ტელევიზია **„ერთსულოვნება“**, ასე ზედაპირულად არ უნდა აშუქებდეს ამ საკითხს, ხოლო იმან, ვისაც ამ გადაცემაში სოხუმელი ჟურნალისტის სტატუსში ჭირისუფლად დააჯენ, სულ ცოტა, ის მაინც უნდა იცოდეს, საფხაზეთო გადაცემაში შვილმკვდარ დედებსა და მამებს როგორი ჩაცმული წარუდგეს წინ!..

ქალბატონ თამარ ბელქანიას გასაგონად ვამბობ ამას და კიდევ მინდა, მამაშვილურად ვურჩიო, რომ აზრი, რომელიც არ არის მეცნიერებათა აკადემიის საკვლევ ინსტიტუტში შეჯერებული, არ შეიძლება, იყოს ექსპერტის აზრი.

და თუ ამ საკითხებში ექსპერტის აზრი მართლა გჭირდებათ (უნდა გჭირდებოდეთ), მე მიგითითებთ ერთ-ერთს, ესაა პარიზში მოღვაწე სოხუმელი მეცნიერის, საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის საჩინო წევრის, პროფესორ-ბადრი გოგიას ნაშრომი **„ძველი კოლხეთის ზოგიერთი ტომის ეთნონიმთან დაკავშირებით, ანუ რას გვერჩის ბატონი ლომოური“,** პარიზი, 2003.

გაეცანით მის ნაშრომებს თუ მართლა გინდათ, სწორ შინაარსზე დაყრდნობით გააშუქოთ აფხაზეთის (ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს) მოვლენები, ეს გახლავთ ახალგაზრდა მეცნიერი, რომელმაც, მისდა სანაქებოდ, მოახერხა თავდაღწევა აფხაზეთის შესახებ საბჭოთა ეთნოდივერსიული და ეთნოფაბრიკაციული დებულებებიდან, სტერეოტიპებიდან და ტერმინებიდან.

მის მიერ ევროპის (საბერძნეთის, იტალიის, ესპანეთის, საფრანგეთის, ინგლისის და ა. შ.) უძველეს საცავებში მოძიებული მტკიცებულებები ღაღადებენ, რომ აფხაზეთი ყოველთვის იყო შინერსისა და ვაშინერსის წესრიგში გაშინაარსებული მხარე სრულიად საქართველოსი.

დასასრულ, მართლა მაინტერესებს თუ რა ძალა გვაიძულებს აფხაზეთის საკითხებს ღღესაც განვიხილავდეთ საბჭოთა ეთნოფაბრიკაციული სტერეოტიპებითა და აფხაზეთის **„ქართული“** პარტოკრატიის გახმოვანებით.

ცხადია, წვრთნაშეუსმენელი თაობა, რომელსაც არა აქვს ეროვნული სახელმწიფოს განცდა და არც სახელმწიფოებრივი თავმოყვარეობა გააჩნია, დღემდე ირაზმება ისეთ ფეხაწყობად, რომელიც ზოგადი გონიერების გარეშე რჩება.

მისთვის გაუგებარია, თუ რას ნიშნავს ეროვნული ხელისუფლება, რადგან არ გააჩნია მოთხოვნილება ეროვნულ-სახალხო ღირებულებათა ასასახავად სახელმწიფოს ცხოვრებაში. აქედან გამომდინარე, მისთვის საქართველო არ არის ერთგულების ობიექტი. ისინი თვითმარქვიად დირექტორობენ ქართული საზოგადოების ყოველდღიურობას. ასეთ ვითარებაში ჯოგურად დავიწყებული აფხაზობა და აფხაზეთი ვეღარ აგვიღორძინდება ისევ სამშობლოდ და ვინაობად. ჩვენ კი გვინდა შიგადაშიგ აფხაზეთში სულიერი ნავარდი თითქოს, მაგრამ გვავიწყდება, რომ **„ვინც ნესტანს ეტრფის, კიდეც უნდა ტარიელობდეს“** (ალექსანდრე ჯანელიძე).

ეს ყველაფერი არის ის პოხიერება, სადაც აფხაზეთის ქართული პარტოკრატია, ამ მხარის ქართველთა ცოდვაში ჩამდგარი კოლაბორაციული სიმრავლე, ინოყიერებს დაუგვალავ ფესვებს. აფხაზეთის (ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს **„გასხვაქვეყნების“** შემდეგ ქართველი (შესაბამისად, აფხაზი ქართველის სამხარეო სადაურობის მიმნიშნებლად) უკვე არ ნიშნავდა აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მკვიდრს. აქედან გამომდინარე და საბჭოთა **„ცენტრ-ნაცმენური“** იერარქიის მიხედვით, რადგანაც თბილისი, ანუ **„ამიერკავკასის პროლეტარიატის ცენტრი“** აფხაზეთის ასსრ-სათვის უშუალო პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ზემდგომობა გახდა, ამ ავტონომიისათვის მიზნობრივად ფაბრიცირებული **„სატიტულო ერისათვის“** (ე. ი. ავტონომიური რესპუბლიკის სახელის მატარებელი ხალხისთვის „абхазец“-ობისთვის ქართველი უკვე **„მომმეს“,** მაგრამ ამ მიწის არამკვიდრ (ენგურგაღმელს) ნიშნავდა.

ბუნებრივია, საბჭოთა სახელმწიფოს ასეთ პოლიტიკურ ნებას, ანუ **„აფხაზთა არაქართველობის დასაბუთებას“** უნდა მოჰყოლოდა სათანადო იდეოლოგიური, პროპაგანდისტული, სააგიტაციო, **„სამეცნიერო“, „საგანმანათლებლო“** და ა. შ. სამსახურების საქმიანობა.

ამის შესაბამისად, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, და კიდევ იმიტომ გიმეორებთ, რომ დაიმახსოვროთ, აფხაზეთის ასსრ-ის სინამდვილეში სახელმწიფოს, სამეურნეო და სხვა მართვის ბერკეტები დაყოფილი იყო კვოტებად „абхазец“-ური ეთნოკრატისათვის (შემდგომში ფაქტობრივი საქმიანობით აგრესორ-სეპარატისტებისათვის), **„ქართული“ „პარტოკრატიისა“** და ე. წ. სხვა ხალხთა ნომენკლატურისათვის.

საინტერესოა, რომ საბჭოთა იდეოლოგიურ-პროპაგანდისტულმა ინდუსტრიამ, რომლის ძალისხმევითაც შეკოწიწდა ქართულ მიწაზე ძირითადად ქართული ნედლეულით ახალი **„არაქართველი ერი“** და ჩაენაცვლა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს დედანში გამშინაარსებელ მოსახლეობას, ქართული საზოგადოების გასაკვირი და დანაშაულებრივი გულარხეინობის გასწვრივ ქმედუნარიანად იმუშავა, რათა შინ თუ გარეთ დაეჯერებინათ, რომ ჩრდილო-დასავლეთ საქართველო **„არაქართული ქვეყანაა“,** ხოლო **„აფხაზი ქართველს არ ნიშნავს“.**

ქართული მიწის **„გასხვაქვეყნებით“** შექმნილმა აფხაზეთის ასსრ-მ, აქედან გამომდინარე, მიიღო ის მდგომარეობა, რაც რსსრ-ს შემადგენლობაში გააჩნდა თავთავიანთ მამულში ახარაჩოებულ ავტონომიებს (მაგალითად, ჩეჩნეთის ასსრ-ს). ამის მიხედვით საბჭოთა საეთნოდივერსიო ინდუსტრიამ შესძლო ამ მიზნობრივი ნაციისთვის („абхазец“-ობისთვის) ქართველში უმძვინვარესი მტრის სახეზოგადობა წარმოესახა. ამ მხრივ გამოთაყვანება იქამდე მიდიოდა, – ეს სიმრავლე არ იძიებდა და არად დაგიდევდა იმას, რომ იქ, სადაც სეპარატისტულ და ქართველთმოძულე თავყრილობებს ატარებდა, ძვრაუქმნელობად რომ ნიშანსვეტობდა **„რაღაც შინაარსი“**, რომელიც თავისი უძველესი ქართული თავანკარობით განსხვავდებოდა აგრესორ-სეპარატისტების ვინაობისა თუ სულისკვეთებისგან.

ამავე დროს, აგრესორ-სეპარატისტთა გასწვრივ მოსაქმიანე **„ქართული“** პარტოკრატიისთვისაც მკვიდრი მოსახლეობა დანაშაულებრივად არ მოიაზრებოდა ამ მხარის გამშინაარსებელ ხალხად. ის მისთვის წარმოადგენდა № - სიმრავლეს, მხოლოდ მასას, **„რომლის წარმომადგენლადაც“** უნდა დაგდებულიყო (ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით) იგი საბჭოთა კომპარტიულ სტრუქტურებში და თვალყური ედევნებინა იქედან, თუ როგორ უმოწყალოდ **„სხვაქვეყნდებოდა“** ჩრდილო-დასავლეთ საქართველო არა მხოლოდ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულად, არამედ ყოფით ყოველდღიურობაშიც. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა აგრესორ-სეპარატისტები გადაამეტებდნენ ამ მხრივ სკკპ ცკ-ის ნებადართულობას, აი, მაშინ შეეძლოთ, შეეხსენებინათ მათთვის **„ლენინური ხალხთა ძმობის ნორმებს რომ არღვევდნენ ისინი“.**

სერგი საჯაია,
საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი; მწერალთა აკადემიის წევრი; ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი; აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი; უმაღლესი კატეგორიის პედაგოგი; საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლების ვეტერანი; ნიკო ნიკოლაძის, გიორგი შარვაშიძისა და ზვიად გამსახურდიას სახელობის პრემიების ლაურეატი

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

დიდი დაკა-დაკა და ყიჟინა „ნაციონალებში“

უკაცრავად, თქვენ გაგიჟებული **„ნაციონალები“** გინახავთ? ახლა მეტყვით, 9 წლის განმავლობაში მაგის მეტი რა გვინახავსო? არა, ისეთები თუ გინახავთ, მკურნალობას რომ სრულიად აღარ ექვემდებარებიან? არ გინახავთ? კარგად მომისმინეთ: აბა, გაგიჟპოეტებული **„ნაცები“** გინახავთ, მიწას ყურს რომ ადებენ და რევოლუცია მოდისო, იძახიან? ვერ ნახავდით, რადგან ასეთი მიმდინარეობა **„ნაცმოძრაობაში“** მას შემდეგ ჩამოყალიბდა, რაც მათმა მამამ და მარჩენალმა სააკაშვილმა ყველა დააღონა, ანუ უკრაინიდან არ ჩამოვიდა და მერე განაცხადა – საერთოდაც, პირველ ტურში დამარცხებას არ ველოდი და იმიტომ არ ჩამოვედიო. აი, ეგრე დატოვა მიშამ საკუთარი **„სასტავი“** განსაცდელში და ამათაც დაეწყოთ ჰალუცინაციები. **„ნაცმო“** იმანაც გადაიყვანა ჭკუიდან, ჩერგოლეიშვილმა რომ თქვა, ჩემი გიგა და დანარჩენები პარლამენტში უნდა შევიდნენ, მიშამ მოგვატყუა, არ ჩამოვიდაო. ჰოდა, მაგათი ცნობილი ადვოკატი, ირაკლი ზაქარეიშვილი აეგრე **„შაქანდა“**:

„გუგუნი მესმის! ერთი მიწას ყური დავადო!.. ვულკანის ამოფრქვევის წინიცის ასე, ჯერ გუგუნებს, მერე შეტორტმანდება!

ეს შესავალია... მერე ვულკანი შეტორტმანდება და ამოხეთქავს ლექსადა:

„ფანჩატურში მონებივრეს,
ხელთ გიპყრია ბატის „პერო“,
ჩაროზსა და ლედვის ჩამიჩს
რომ მიირთმევ, მშვენიერო,
პირ-სახეზე მზე დაგნათის,
გაცისკროვნებს ათინათი,
„გაზპრომიდან“ მოგივიდა –
დალუქული ამანათი“!

ეს ლექსი **„ჩერგოს“** ეკუთვნის, მას მიუძღვნა ზაქარეიშვილმა... **„გაზპრომმა“** მოგისყიდათ და ამიტომაც შედიხართ პარლამენტშიო. **„გაზპრომი“** ივანიშვილია, პატრიოტები კი ჩვენ ვართ ყველაო. რაც შეეხება ზაქარეიშვილს, იგი არ ცხრება:

„მივმართავ „თავისუფალ ზონას“: დებო და ძმებო, მამულიშვილნო! ყველანი ერთად უნდა დავირაზმოთ სიტუაციის გამოსასწორებლად! არ მივცეთ საშუალება კოლაბორაციონისტებს, რათა საკუთარი კონფორმიზმით ხელი შეუწყონ ქვეყნის დაქცევას! არ მივცეთ საშუალება კოლაბორაციონისტებს, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ სახელი „ქართული ოცნების“ საბურთაო გახდეს, „ცუციკებთან“ გაიგივდეს და დაკარგოს ხალხის მხარდაჭერა! წინ აღვუდგეთ ФСБ-ს გეგმას! დავიცვათ ჩვენი სამშობლო გარდაუვალი დამონებისა და სირცხვილისგან! ამისთვის, უპირველესად, საჭიროა, მტკიცედ დავაფიქსიროთ ჩვენი პოზიცია კოლაბორაციონისტულ შეთქმულებასთან დაკავშირებით და ხელიდან გამოვტაცოთ მათ უკანონოდ „პრივატიზებული“ პარტიული მართვის სადავეები! მოწვეული იქნეს პარტიის ყრილობა და მერყევები, მედროვეები, პოლიტიკურად უსამართლოდ აღზევებული ამპარტავნები ჩამოცილებული იქნენ პარტიული მართვის პროცესებიდან! არ შეასრულოთ პარლამენტში შესვლის მომხრე პოლიტსაბჭოს წევრთა დავალებები და მითითებები! და კიდევ... ირმა ინაშვილი რომ დაბეგვავს მაგათ – არ გამოესარჩლოთ“!

გაიგონეთ? ირმა ინაშვილი რომ დაბეგვავს მაგათ და ჭიტლაყს ამოარტყამს, არ გამოესარჩლოთო... ეგრეც იქნება! ზაქარეიშვილი 1937-იანი წლების ტერმინოლოგიით მოუწოდებს კობა ხაბაზის კანტორას, სასტიკად დასაჯოს კოლაბორაციონისტები, მერყევები, შეთქმულები, მოღალატეები, რათა არ დაკნინდეს მესამე პრეზიდენტის როლი ქართული სახელმწიფოს მშენებლობაში!!!

ზაქარეიშვილი მარტო არ გახლავთ, მას მხარს უბამენ **„ნაცმოძრაობის“** აქტივისტები და შრომითი კოლექტივები.

ლედი ახალაია: „იმედები არ გაგვცრუებია არასდროს, ამჟამადაც ასე იქნება“! ჩვენ ბრძოლის გზა არჩეული გვაქვს 4 წელია და არც აწი შევუშინდებით, თქვენნაირი ადამიანები გვერდში რომ გვიდგანან და ჩვენთან ერთად არიან, ეს გვაიმედებს და გვაძლიერებს! ჩვენ გავიმარჯვებთ”!!!

ლაშა ახალაია: ჩვენ, **„თავისუფალი ზონა“** ქვეყნის სადარაჯოზე ვდგავართ და ვიდგებით ყოველთვის! ჩვენ შეგვწევს ძალა, წინ აღვუდგეთ და დავამარცხოთ გარე და შიდა მტრები და მოღალატეები... ჩვენზე მხოლოდ ჩვენი პრეზიდენტის, ბატონი მიხეილ სააკაშვილის პროტოკოლი მოქმედებს! მჯერა, რომ დასახულ მიზანს აუცილებლად მივაღწევთ! ბრძოლა ბოლომდე! არც ერთი ნაბიჯით უკან!!!”

ახლა, ჩერგოლეიშვილი მაინც რეალისტი **„ნაციონალია“** და ასეთი **„გაფრენილები“** დაბლოკა **„ფეისბუქში“**. ზაქარეიშვილმა და მისმა **„სასტავმა“** ძალიან განიცადეს მაი ამბავი... ჩვენში დარჩეს, ახლა ვაჟა-ფშაველას მოტივებზე დაეწყოთ შეტევა, ანუ კრიზისი:

„დაბლოკე, დაო, დაბლოკე,
აქა ვარ ჩემის თავითა,
გულითა გაუტეხელი,
მოუღალავი მკლავითა.
რაც უნდა ჭირი მომკერძო,
ბილწთ არ შევეკვრი ზავითა,
მცნებას ვერ შემაცვლევინებ —
მოზღვავებულის ავითა!..
ისევ მტერი ვარ იმისა,
ვისაც დღესნამდე ვმტერობდი, –
იგივე მიყვარს, იგივე,
ვისაც ამ სოფლად ვრჩებოდი,
სანამა ვცოცხლობ, გულში მაქვს –
კეთილსა ვყვანდე ზიარად,
ვერ მივცემ მტერსა მამულსა
საჯიჯგნად, დასაზიანად!..
ნუ გეგონებათ, დავლაჩრდი, –
ჯერ ისევა ვარ ფხიანად!”

ირაკლის მხარს უბამს ვინმე **„ნაციონალი“** ბექა:

„დაგვატკბობს ერთხელ ჩვენაცა
თავისუფლების დღეობა,
სისხლს გულით ნადენს
ცრემლს თვალით,
შესცვლის ლხინი და ღრეობა”

ამათ ბანს აძლევს **„თავისუფალი ზონის“** ერთ-ერთი ლიდერი, ირაკლი ჩხვირკვია:

„მოვალ, გაშლილი დროშების ფერით,
აგიზგიზებულ ჩირაღდნით მოვალ,
ცოტაც მაცალეთ, ცოტაც მადროვეთ,
მოვალ და ერთად მოვრჩებით გლოვას!!!
მესმის ხმაური, ბრძოლის ყიჟინა
არაგველების შვილთა შვილების,
მესმის მუსიკა ბუკის ნაღარის,
ნაბიჯთა წყობის ჩვენი გმირების...
მოვა დავითიც, ილიაც მოვა,
ირაკლიც, ვაჟაც, ვახოც, მერაბიც,
ვერ შეველევით, ვერ გავიმეტებთ
საჯიჯგნად მივცემთ მამულს ვერავის!!!”

ატატატატაااااა! დაიწვა ჯიგარი, ხალხოოო, ადუღდა სისხლი! უკვე ყურებში ჩამკივის ამათი ბრძოლის ყიჟინა და მესმის მუსიკა ბუკის, ნაღარის! რევოლუციური განწყობა არის, მჭრელი სიტყვაც მზადაა, სისხლი ჩქეფს, მხოლოდ სარდალი აკლიათ, სარდალს ელოდებიან, მხოლოდ მის დირექტივებს ემორჩილებიან. ერთი ეგაა, სარდალი არ ჩანს, არ ჩამოდის, ვერ ჩამოდის, თუმცა ზაქარეიშვილები და ჩხვირკვიები ტემპს არ აგდებენ:

„მტერო, დამჩაგრე? არ ვსტირი!
ტირილი დიაცთ წესია,
ბევრჯერ ვყოფილვარ შავ დღეში,
მაგრამ არ დამიკვნესია,
დამაცა ერთი, გავლესო,
ხმალ-ჩახმახ ცეცხლის კვესია,
სულ წმინდად მოგამკევინო –
რაც ჩემთვის დაგითესია!”

ბოლოს კი ზაქარეიშვილი მაინც კვნესის და **„ჩერგოს“** ემუდარება.

„დამაბრუნეთ „ფრენდებში“,
ჭვალი ჩამიდგა ფერდებში!”

გელა ზედელაშვილი

ჩვენი კიდევ ერთი კლასელი – ილო ფალავანდიშვილი გარდაიცვალა

ვიცოდით, რომ მოურჩენელი სენი გიტევდა და ოპერაციამაც ვერ გამოიღო შედეგი, მაგრამ იმდენად მედგარი და ომახიანი იყავი, რომ არ გვეჯერა, თუ სიკვდილი ასე იოლად დაგჯაბნიდა ფალავანდიშვილთა თავადური შტოს ღირსეულ წარმომადგენელს...

ვაი რომ მოგერია!

თითზე ჩამოსათვლელებიღა დავრჩით თბილისის 53-ე საშუალო სკოლის 1958 წლის კურსდამთავრებულები, არადა, 44 ვიყავით სკოლის დამთავრებისას და ჩვენი ჟივილ-ხივილი ავსებდა სკოლის დერეფნებსა თუ ქალაქის ქუჩა-ეზოებს.

სულ თორმეტნი ვიყავით ცოცხლად დარჩენილი და ახლა უკვე თერთმეტი დავრჩით!

საბედისწეროდ ვართ შეთხელებული და სწორედ ეს გახლავთ ის სულიერი სიმარტოვით გამოწვეული სიმძიმე, რომელიც ძლიერი სულის მქონე ადამიანსაც კი დათრგუნავს ხოლმე.

ჩვენ ახლა უფრო მეტი პასუხისმგებლობა გვეკისრება, ვიდრე მაშინ, როცა 44-ნი ვიყავით, რადგან იმ წასული თანაკლასელების მორალური ტვირთიც ჩვენი საზიდია!

შენც უკვე ხსოვნის სამყაროში გადაინაცვლე ძმაო, ილო!

გვიჭირს იმ აზრთან შეგუება, რომ ჩვენს გვერდით აღარ იქნები, ვეღარ უთამადებ კლასელთა შეხვედრის სუფრას.

მაგრამ, მერწმუნე, შენ ყოველთვის ჩვენთან ერთად იქნები, ისევე, როგორც ჩვენი წასული თანაკლასელები არიან ჩვენთან ერთად!

გაგვიშრა, აღარა გვაქვს ცრემლი, ახლა მხოლოდ გულიდან გამოწურული სისხლით ვაცილებთ ჩვენი ბავშვობის მეგობრებს ზეციური საქართველოსაკენ!

ნუნუ გეგეშიძე, ლალი ვარდანაშვილი, ვენერა ოქროპირიძე, დალი კერესელიძე, გულიკო შენგელია, ზურაბ ქევანიშვილი, მალხაზ კუხაშვილი, ოთარ ფირცხალაიშვილი, არჩილ გოგელია, ვალიკო გოშაძე, როლანდ ჯალაღანია...

აშილ მიურატის რეგულაციები ხის მოჭრაზე ძველ სამეგრელოში

დადიანების სასახლეში დაცული დოკუმენტების თანახმად, სამეგრელოში ხეტყის დამუშავება და წარმოება, სპეციალური რეგულაციებით ხდებოდა. დოკუმენტის შემუშავება და მისი დამტკიცება სამეგრელოს მთავრის სიძის სახელს უკავშირდება.

მას შემდეგ, რაც საფრანგეთის საიმპერატორო ოჯახის წევრი, შარლ ლუი ნაპოლეონ აშილ მიურატი სამეგრელოს მთავრის ქალიშვილზე, სალომე დადიანზე დაქორწინდა, სამეგრელოში ჩამოვიდა და მეწარმეობას მიჰყო ხელი. მუზეუმში შემონახული დოკუმენტების თანახმად, აშილ მიურატი სწავლობდა ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეებს, კერძოდ, კი ტყეებს. ის ასევე, დაინტერესებული იყო ხე-ტყის წარმოებით და მზა პროდუქტის ევროპაში გატანით.

დადიანების სასახლის ექსკურსიამძღოლმა, მართა მეფორიამ გაგვაცნო 1883 წელს შედგენილი მოხსენებითი ბარათი, რომელიც ფრანგმა ექსპერტმა, ვინმე ბუჟემ შეიმუშავა. **„კავკასიაში ტყის ექსპლუატაციის პროექტი“** – ასე ჰქვია მოხსენებით ბარათს, რომლის მიზანია საერთო წარმოდგენა შეუქმნას საფრანგეთის მთავრობას ტყეების მდგომარეობის შესახებ, არა მარტო სამეგრელოში, არამედ მთელ საქართველოსა და ამიერკავკასიაში.

ამავე დოკუმენტში, საუბარია ხე-ტყის დამუშავებასა და ტრანსპორტირებაზე. იმ აუცილებელ პირობაზე, რომლის თანახმად, პროექტის განხორციელებამ ტყის განადგურება არ უნდა გამოიწვიოს.

„არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ხის ნაჯახით მოჭრა, ხე უნდა მოიჭრას ხერხით, ხოლო ხეების გასხვლა უნდა მოხდეს ცულით, ხე-ტყის დამუშავება და წარმოება არა ტყის განადგურებას, არამედ მის მოვლა-შენახვას უნდა იწვევდეს, ეს არის ხე-ტყის მოჭრისა და ტრანსპორტირების პირობები, რომლის დაცვასაც ჯერ კიდევ საუკუნეების წინ აუცილებელ პირობად მიიჩნევდნენ სამეგრელოში“, – გვითხრა ექსკურსიამძღოლმა.

მისივე თქმით, სამეგრელოში ხე-ტყის წარმოების კიდევ ერთი ფრანგი ექსპერტი ვინმე ფონტენი მოუწვევიათ.

ექსპერტი წერს, რომ ფრანგები არ იცნობენ ამ მხარეს, და რომ ტყე აქ მართლა მდიდარია. მას სალხინოსთან ახლოს შეურჩევია ადგილი, სადაც უნდა აეგოთ მექანიკური სახერხი ქარხანა. წერილში, ასევე წერია, რომ მუხის მასალისგან შეიძლება გაკეთდეს პარკეტი, – ამბობს მუზეუმის თანამშრომელი.

ისტორიული წყაროების თანახმად, პარკეტის საამქრო ჯერ კიდევ ლევან მე-5 დადიანის დროს, მე-19 საუკუნის დასაწყისშიც ყოფილა. საამქრო სავარაუდოდ ერთ-ერთი სასახლის სარდაფში ფუნქციონირებდა და მუშაობა დავით დადიანის მთავრობის დროსაც არ შეუწყვეტია.

ექსკურსიამძღოლმა **„ლაივპრესს“** უთხრა, რომ ხე-ტყის ევროპაში გატანის პროექტი კი აშილ მიურატის გარდაცვალების შემდეგ შეჩერდა.

ნანა ხუბუტია

მიზეზი თუ რატომ არ უნდა აჭამოთ ბავშვებს ჩიფსი

ბრიტანელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რატომ არ უნდა მიირთვან ბავშვებმა ჩიფსები. იმის გარდა, რომ ჩიფსები ცუდ გავლენას ახდენს კუჭზე, გაირკვა, რომ მათ შეიძლება ბავშვის გონებრივი განვითარება შეაფერხონ.

კვლევაში მონაწილეობა მიიღეს 3-4 წლის ბავშვებმა, რომლებიც რეგულარულად ჭამდნენ ჩიფსებს. რიგი ფსიქოლოგიური ტესტების შემდეგ, მკვლევარებმა ზუსტად დაადგინეს ჩიფსების ორგანიზმზე უარყოფითი გავლენის შედეგები. დადგინდა, რომ ჩიფსების მოყვარულები შენელებულად ფიქრობენ, ხშირად კი მეხსიერების და ყურადღების დარღვევა აღენიშნებათ. ამავდროულად, მათ აღმოაჩნდათ კრეატიულობის და ახალი ინფორმაციის ათვისების პრობლემა. ამას გარდა, ჩიფსების მოყვარული ბავშვები ცუდი ქცევებით გამოირჩეოდნენ. საინტერესოა თვით ამ პროდუქტის დამზადების ტექნოლოგია – კარტოფილისგან ჯერ პიურეს აკეთებენ, აჯერებენ სხვადასხვა კონცენტრატებითა და ემულგატორებით, აძლევენ გემოს მიმართულებას (მაგალითად, როცა კოლოფს აწერია, რომ ეს არის ჩიფსი კვამლში გამოყვანილი ბეკონით, იგი ოდნავ არაა ახლოს ჭეშმარიტებასთან, რადგან კვამლში გამოყვანილი ბეკონის ნაცვლად საჩიპსე მასალა გაჯერებულია ბეკონის გემოს მქონე ქიმიური კონცენტრატებით), ხოლო მდგრადობის შესანარჩუნებლად უმატებენ გლიცერინის შემცველ მინარევებს.

ამავე დროს, ჩიფსები შეიცავენ აკრილამიდს: ძალიან ძლიერ მუტაგენს, რაც აფერხებს ბავშვების განვითარებას. ამიტომ მკვლევარები მშობლებს ურჩევენ, რომ ოთხ წლამდე ბავშვები ჩიფსებს საერთოდ არ გააკარონ. ასევე ჩიფსების მიღებისგან თავი უნდა შეიკავონ ორსულმა ქალებმა.

ილორი
ეროვნული ინფორმაციის

ასომთავრულს, მხედრულსა და ნუსხურს მსოფლიოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი მიენიჭა

ეთიოპიის დედაქალაქ ადის-აბებაში, იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მთავრობათაშორისი კომიტეტის მე-11 სესიაზე (28 ნოემბერი-2 დეკემბერი) მიიღეს გადაწყვეტილება, საქართველოს მიერ წარდგენილი ნომინაციის **„ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურა“** არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით სიაში შეტანის თაობაზე.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მთავრობათაშორისმა კომიტეტმა მხარი დაუჭირა საქართველოს მიერ წარდგენილ ნომინაციას და მიიჩნია, რომ იგი სრულად შეესაბამება არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის კონვენციით გათვალისწინებულ ყველა კრიტერიუმს.

ნომინაცია UNESCO-ს განსახილველად წარედგინა 2015 წელს და მისი მთავარი მიზანია ხაზი გაუსვას ქართული დამწერლობის სისტემური ევოლუციის შედეგად შექმნილი ანბანის სამი სახეობის (მრგვლოვანი, ნუსხური, მხედრული) ჰარმონიულ თანაარსებობას თანამედროვე რეალობაში.

„ნომინაციის წარდგენის დღიდან საგარეო საქმეთა სამინისტრო, საზღვარგარეთ აკრედიტებული საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობები, საგანგებოდ შექმნილი თემატური გამოფენების ორგანიზებით, აქტიურად მუშაობდნენ თემის პოპულარიზაციისა და შესაბამის ქვეყნებთან ნომინაციის მხარდაჭერის მოპოვების კუთხით.

„ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურა“ არის რიგით მესამე ნომინაცია, რომელიც შეტანილია UNESCO-ს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით სიაში. მანამდე UNESCO-ს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით სიაში ქართული ფოლკლორი და ქართული ღვინო იყო შეტანილი.

კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს დელეგაციამ, რომელშიც წარმოდგენილნი იყვნენ საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საფრანგეთში და UNESCO-ში მუდმივი წარმომადგენელი ეკატერინე სირაძე-დელონე, საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო კულტურულ და ჰუმანიტარულ ურთიერთობათა დეპარტამენტის დირექტორი და საქართველოს იუნესკოს საქმეთა ეროვნული კომისიის გენერალური მდივანი ქეთევან კანდელაკი, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორი ნიკოლოზ ანთიძე და შესაბამისი ექსპერტები“, – ნათქვამია საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

მასშტაბური სპეცოპერაცია ესპანეთში – დაკავებულია საქართველოს 50 მოქალაქე

ესპანეთის პოლიციამ 29 ნოემბერს საქართველოს 50 მოქალაქე დააკავა, რომლებიც ასობით ბინის ქურდობაში არიან ეჭვმიტანილი. **“დოიჩე ველეს”** ესპანეთის სამართალდამცავ ორგანოში განუცხადეს, რომ ბოლო წლების განმავლობაში ყველაზე მასშტაბური სპეცოპერაცია ჩატარდა ქალაქებში მადრიდი, ბარსელონა, სევილია და ჩრდილოეთ ესპანეთის ბარაკალდოს დასახლებაში.

საქართველოს მოქალაქეებთან ერთად დაკავებულია ესპანეთის რამდენიმე მოქალაქეც. პოლიციაში ვარაუდობენ, რომ სწორედ ესპანელების დახმარებით იპარავდნენ დამნაშავეები ძირითადად საიუველირო ნაკეთობებსა და საათებს.

დაკავებულებს ყაჩაღობის გარდა, შესაძლოა, ბრალი წაუყენონ შემდეგი მუხლებით: დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრობა, ფულის გათეთრება. ზოგიერთ მათგანს კი ბრალი წარედგინება იარაღისა და ნარკოტიკის უკანონო შენახვისა და საბუთების გაყალბების ბრალდებებით.

სამართალდამცავი უწყების წარმომადგენელმა **“დოიჩე ველესთან”** საუბარში განაცხადა, რომ ესპანეთში ბინების ძარცვა არ ითვლება მძიმე დანაშაულად და ჩვეულებრივ დამნაშავეებს სასამართლომდე ათავისუფლებენ, მაგრამ მისი თქმით, ქართველების შემთხვევაში, ისინი დაკავებულები იქნებიან, რადგან არსებობს საშიშროება, რომ გამოძიებას დაემალებიან.

გარდა ამისა, ესპანეთის პოლიცია საქართველოს მოქალაქე სპარტაკ ჯაფარიძეს ეძებს, რომელზეც საერთაშორისო ძებნაა გამოცხადებული. ესპანეთის პოლიცია მას **“კანონიერ ქურდს”** და დანაშაულებრივი დაჯგუფების ლიდერს უწოდებს. სამართალდამცველები ვარაუდობენ, რომ ის შესაძლოა, იტალიაში იმალებოდეს. პოლიციის წარმომადგენლის განცხადებით, უახლოეს დღეებში პოლიციის ორი წარმომადგენელი საქართველოში გაემგზავრება ადგილობრივ კოლეგებთან კოორდინაციისთვის. მისივე თქმით, ეს არ არის პირველი წარმატებული ოპერაცია, რომელიც ესპანელმა სამართალდამცველებმა ჩაატარეს ქართველი ბინის მძარცველების წინააღმდეგ.

ესპანეთის ეროვნულ სასამართლო პალატაში მიმდინარეობს ძიება 2015 წელს დაპატიმრებული **“კანონიერი ქურდის”**, ზვიად დარსაძის საქმეზე, რომელსაც ბრალად ედება რამდენიმე წლის განმავლობაში დანაშაულებრივი დაჯგუფების მეთაურობა და ესპანეთში ბინების ძარცვა.

ვინ არის სპარტაკ ჯაფარიძე?

როგორც რუსული საიტები წერენ, ის 1971 წლის 19 იანვარს დაიბადა. სამივე ძმა ჯაფარიძეები კრიმინალური სამყაროს წევრები იყვნენ, მათგან სპარტაკი და ბესო ჯაფარიძეები **“კანონიერ ქურდებად”** მიიჩნევიან. ის ორჯერ 2001 და 2007 წელს დააკავეს უკრაინაში, უკანასკნელი დაკავებისას მისი დეპორტაცია განხორციელდა და ის ქართულ მართლმსაჯულებას გადასცეს. რამდენიმეწლიანი პატიმრობის შემდეგ, სპარტაკ ჯაფარიძე ავადმყოფობის გამო ვადაზე ადრე გაათავისუფლეს. ეს მისი მესამე პატიმრობა იყო. როგორც ამბობენ, ის გათავისუფლებისთანავე თურქეთში წავიდა, იქიდან კი – საბერძნეთში. როგორ და რა აკავშირებს ესპანეთში მომხდარ ქურდობებთან, ამის გარკვევას ესპანელი სამართალდამცავები შეეცდებიან.

ერთ-ერთ რუსულ საიტზე გადავაწყდით სტატიას, რომელშიც სპარტაკ ჯაფარიძისა და ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ურთიერთობების შესახებ წერენ. ეს იმჟამინდელი ამბავია, როდესაც სააკაშვილი კიევში სწავლობდა. იმ დროს კიევშივე იყო ახალგაზრდა სპარტაკ ჯაფარიძე, რომელიც, როგორც ჩანს, სწორედ იმ პერიოდში აკურთხეს **“კანონიერ ქურდად”**. როგორც ირკვევა ამ ორს საკმაოდ ახლო ურთიერთობა ჰქონდა და სააკაშვილი ჯაფარიძის უმაღლეს სასწავლებელში მოწყობასაც ცდილობდა, თუმცა მოგვიანებით, სწორედ სააკაშვილის პრეზიდენტობისას აღმოჩნდა ჯაფარიძე ციხეში.

დიდება თქვენს ხსოვნას ჩვენო ძმაო და მეგობარო!

სულითხორცამდე შეგვძრა ეროვნული მოძრაობის ღვაწლმოსილი და უერთგულესი წარმომადგენლის, ვალტერ შურღაიას გარდაცვალებამ!...

ვალტერ შურღაია – დისიდენტი, პოლიტპატიმარი, საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი, შემდგომში ეროვნული დაუმორჩილებლობის კომიტეტის დამაარსებელი და ხელმძღვანელი!

ადამიანი, რომელმაც მთელი ცხოვრება მუხლჩაუხრელად, უანგაროდ იღვაწა ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისთვის, ქართველი ხალხის კეთილდღეობისთვის!

ჩვენო ძვირფასო მეგობარო და თანამებრძოლო! ჩვენს გულში დანთებული სანთლები გაგინათებენ გზას ცათა სასუფეველში... ქართველმა ერმა სამართლიანად აღგიქვათ საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული პრეზიდენტის ერთგულ ჯარისკაცად, მისი იდეებისთვის მებრძოლ თავგანწირულ რაინდად!

დღეს სირიაში, კერძოდ ალეპოში, სირიის სამთავრობო ჯარის ქართულ და ჩეჩნურ ბატალიონში გლოვის ნიშნად დაშვებულია საქართველოს რესპუბლიკისა და ჩეჩნეთის დროშები!

ეროვნული კანონიერი ხელისუფლების იურისდიქციის აღდგენა გარდაუვალია! რაოდენ გულსატკენია, რომ ისეთი თავდადებული ადამიანი, ვინც მთელი ცხოვრება იღვაწა კანონიერებისა და სამართლიანობის აღდგენისთვის, ამ დღეს ვერ მოესწრება....

გულით ვუსამძიმრებთ ვალტერ შურღაიას ოჯახს, ყველა ჭეშმარიტ მამულიშვილსა და სრულიად საქართველოს!

ჩვენო დიდებულო ადამიანო! მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის ჩვენი საშობლოს ღვთივკურთხეული მიწა...

ირაკლი იბერი, გიორგი ჯაყელი, დავით გიგაური – კონსპირაციულად მცხოვრებნი;
ასევე, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის, ბატონ ზვიად გამსახურდიას 3035 ერთგულ მებრძოლთა სახელით
მართა სავანელი, დავით ჯანდიერი, ლაშა გამსახურდია, ლევან ზაალიშვილი, ზაზა შორდანია, ნიკა გერგედავა, ნაილი ხომერიკი, ლელა ჭინჭარაული, სალომე მწითური, ლექსო ყამარაული
სირია, ალეპო;
მარიამ კორინთელი, ნანა ტატიაშვილი, მარიამ ხუბულავა – ნიუ იორკი, აშშ;
ეთერ მგალობლიშვილი – თბილისი, საქართველო

ვანომ თქვა, არცერთი ადამიანი არ უნდა წავიდესო გაულახავი

2007 წლის შვიდი ნოემბრის საქმეზე საქალაქო სასამართლოში ვასილ მაღლაფერიძე მოწმის სტატუსით დაიკითხა, რომელიც 2007 წელს მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორი იყო. მაღლაფერიძემ მაშინდელი შს მინისტრის კაბინეტში გამართული თათბირი გაიხსენა. როგორც მაღლაფერიძე იხსენებს, ვანო მერაბიშვილის კაბინეტში გამართულ თათბირს მაშინდელი მაღალჩინოსნები: დათა ახალაია, ზურაბ ადეიშვილი და დავით კეზერაშვილი ესწრებოდნენ:

“ვანომ მაშინ თქვა: ბოლო პერიოდში, ოპოზიცია ძალიან “გაბლატავდა”, ოთხი წლის განმავლობაში ჩვენ რაც ნაბიჯ-ნაბიჯ მოვიპოვეთ, ამათ უნდათ რომ ორსამ დღეში წაიღონ. ასე არ გამოვა ეს ამბავი, ბუდ-ს აქვს ეს ამბავი უკვე დავალებული, მართალია ბევრი ხალხი არ ჩამოვიდა, მაგრამ არც ერთი ადამიანი არ უნდა წავიდეს გაულახავი, აქ არის გენერალური პროკურორი და ნებართვას გვაძლევსო. ზურაბ ადეიშვილს გაეცინა და ხუმრობით თქვა – მე არაფერი არ ვიცი და არ მესმისო, ჩემს აზრს ბოლოს გეტყვითო. თქვენ გყავთ უამრავი ნაცნობი სპორტსმენი, მომღერალი, ზოგი დააშინეთ, ზოგი მოისყიდეთ, აქ არის კეზერაშვილი, არიან ბიზნესმენები, რომლებიც ეპარქიებს აფინანსებენ რომ მღვდლებმა სისულელეები არ თქვანო, უთხარით, რომ ამას კეზერაშვილი მიხედავსო”, – განაცხადა მაღლაფერიძემ.

ცნობისთვის, 2007 წლის 7 ნოემბრის საქმეზე მიხეილ სააკაშვილს, ზურაბ ადეიშვილსა და დავით კეზერაშვილს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა 2 აგვისტოს შეეფარდათ. აღნიშნულ საქმეზე ვანო მერაბიშვილს ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილით აქვს წარდგენილი, რაც უფლებამოსილების გადამეტებას გულისხმობს.

ᲖᲦᲐᲞᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲚᲔᲑᲣᲠᲘ ᲕᲔᲠᲡᲘᲐ ᲮᲐᲗᲣᲜᲐ ᲮᲝᲤᲔᲠᲘᲐᲡᲒᲐᲜ...

პარლამენტის ყოფილი წევრი ხათუნა ხოფერია ეხმაურება ბოლოს განვითარებულ მოვლენებს და სოციალურ ქსელში ზღაპრების **„რწყილი და ჭიანჭველას"** და **„კომბლეს"** ახალ ვერსიას აქვეყნებს:

„კომბლე" იქნება, **„ნაცარქექია"** თუ **„რწყილი და ჭიანჭველა", განვითარება აუცილებელია"** – განაცხადა განათლების მინისტრმა... და აი... – ახალი **„რწყილი და ჭიანჭველა":**

რწყილი და ჭიანჭველა დაძმობილდნენ და გაუდგნენ გზას...

მოვლენები აქაც ისევე ვითარდება, როგორც ძველ ზღაპარში, ოღონდ, როცა წყალში ჩავარდნილი ჭიანჭველა, ძმობილს შესთხოვს, გადამარჩინეო, ახლებური გაგრძელება იწყება.

ჭიანჭველა იხრჩობა, ყვირის, ეხვეწება მეგობარს, თოკი გადმოიგდე, გადამარჩინეო, რაზეც რწყილი პასუხობს:

– სიამოვნებით გადაგარჩენდი, მაგრამ თუ ამისთვის საჭიროა, რომ კორუფციული სქემაში ჩავერთო და დანაშაულებრივ გარიგებაში შევიდე ღორთან, მუხასთან, თაგვთან და ასე შემდეგ, ეს ეწინააღმდეგება ჩემს მსოფლმხედველობას. გარდა ამისა, ამით ძალიან ცუდ მაგალითს მივცემ მომავალ თაობას, რომლებსაც მშობლები წაუკითხავენ ჩვენს შესახებ შექმნილ ზღაპარს.

რწყილმა კიდევ რამდენიმე ისეთი წონიანი და დამაჯერებელი არგუმენტი მოიშველია, რომ დარცხვენილი ჭიანჭველა იქით შეეხვეწა, არ გადამარჩინო, გაუშვი დავიხრჩოო.

დაემშვიდობა რწყილი მეგობარს და გზა განაგრძო.

იქვე წამოწოლილმა ღორმა თავის გოჭებს დაუძახა და უთხრა, შეხედეთ შვილებო, ამ უარყოფით პერსონაჟს, ჩემთვის ჯაგრის თხოვნა დაეზარა და მეგობარი დასახრჩობად გაწირაო. რა კორუფცია, რის კორუფცია, ჰა, ჰა, ერთი მუჭა რკო მომეთხოვა სანაცვლოდო. თუ ესეც არ ჰქონდა, ეთხოვა კაცურად და ისე მივცემდიო. ამის შემდეგ ღორმა გამოიძრო ჯაგარი, დაგრიხა თოკი-ბაწარი, ჩაუგდო ჭიანჭველას და ამოიყვანა.

ყველა ბედნიერი იყო, მხოლოდ რწყილი იგინებოდა, შეეშვით რა, ბლიად, ამ ზღაპრების გადაკეთებასო.

ჭირი იქა, ფქვილი აქა...

* * *

„მე ვოცნებობ ახალ კომბლეზე, რომელსაც ზღაპრის დასაწყისში 200 ცხვარი ყავს.." – განაცხადა განათლების მინისტრმა. ჰო და... – ახალი **„კომბლე":**

იყო და არა იყო რა, იყო ერთი კაცი, რომელსაც ორასი ცხვარი ჰყავდა. ერთხელ მგელმა და მელამ მისთვის ცხვრის მოპარვა და შეჭმა განიზრახეს. კაცმა დაიბარა ორივე და აუხსნა რომ სხვისი ქონების მითვისება ცუდი საქციელი იყო, წასვლისას კი ცხვარი დაუკლა სტუმრებს და გაუმასპინძლდა.

მეორე დღეს, მელამ და მგელმა თითო მეგობარი მოიყვანეს, ამათაც აინტერესებთ ლექციის მოსმენა სხვისი ქონების ხელყოფის დაუშვებლობის შესახებო.

კაცს გაუხარდა, რომ საღი აზრი იმარჯვებდა, გადადო ყველა საქმე და არ დაიზარა ლექციის წაკითხვა, რის შემდეგაც ორი ცხვარი დაუკლა სტუმრებს.

წასვლისას მგლებმა და მელიებმა უთხრეს, ჩვენ ხომ გაგვანათლე და მოგვაქციე სიკეთისკენ, მაგრამ კიდევ გვყავს მეგობრები და ნურც იმათ დაგვიტოვებ სიბნელეშიო.

რა გაეწყობაო, თქვა კაცმა, მეორე დღეს დიდი აუდიტორია მოამზადა და ორმოცი ცხვარი დაკლა. მოვიდნენ მგლები და მელიები, ათი დათვიც მოიყოლეს, აუდიტორიაში ტევა არ იყო. ბოლოს ჩვენს ლექტორს ტაში დაუკრეს და ერთხმად აღნიშნეს, კიდევ კარგი ასეთი ლექტორი მოგვევლინა და მისი ლექციების მოსმენა სავალდებულო უნდა იყოს ტყის ყველა ბინადარისთვისო. შემდეგ ისადილეს და დათქვეს, ხვალ გაცდენა არ გაბედოს არავინო.

გაუხარდა კაცს, ხედავდა რომ მისი კონცეფცია იმარჯვებდა და ტყეში ჰარმონია ისადგურებდა. შემდეგი დღისთვის კიდევ უფრო მაგრად მოემზადა, სათანადო ლიტერატურა დაკონსპექტა და დარჩენილი ცხვრებიც დაკლა, რომ სტუმრებს გამასპინძლდებოდა.

ისეთი ლექცია გამოუვიდა, უკეთესს თვით ფადიშაჰიც ვერ ინატრებდა. ლექციის შემდეგ, ბანკეტზე, თამადა დათვმა ეს ჩვენი კაცი გამოაცხადა ყველა დროის საუკეთესო ლექტორად, წლის მენეჯერად და ტყის მთავარ ჰუმანისტად. სუფრის ბოლოს კი პირადად აიღო ვალდებულება, რომ შემდეგ დღეს მეზობელი ტყის მტაცებლებსაც დაასწრებდა ლექციას.

დილით ჩვენმა ლექტორმა ისეთი მაგარი ლექცია მოამზადა, ისეთი მაგარი, რომ მეტი აღარ შეიძლებოდა, მაგრამ გომურში რომ შეიხედა ელდა ეცა, იქ მხოლოდ სამი ცხვარიღა იყო დარჩენილი.

რა მეშველება, სტუმრებთან თავი მოეჭრებაო, ხმამაღლა დაიჩივლა კაცმა. ამ დროს ერთმა ბებერმა კოჭლმა ცხვარმა ადამიანის ენით დაილაპარაკა და უთხრა, ძმაკაც, აბა ერთი აქეთ მოიწიო! კარგი, ვთქვათ, ჩვენ არ გენაღვლებით, არ გენაღვლებით, მაგრამ თავს რადად იმასხარავებ ეს ჯეელი კაცი, ვერ ხედავ, ყველა შენ დაგცინისო?! რომელი დუროვი შენა ხარ, რა მგლებისთვის ლექციების კითხვა აიტეხე, ერთი მაგათი დედებიც და მელიების და დათვებისაც ზედ მიყოლებულიო! აგერ ჩვენ მოგვხედე, ბიძიკო, და შენც გეშველება და ჩვენცო. მოწი ყური, ჯადოსნური სიტყვები უნდა გასწავლოო. კაცს ისე გაუკვირდა მოლაპარაკე ცხვარი, რომ დაუჯერა და მიუწია ყური ცხვარს და იმანაც ჯადოსნური სიტყვები ჩასჩურჩულა.

დილით ლექტორის სახლთან ლექციის მოსასმენად ორი ტყის მტაცებლები მოგროვდნენ, თათებში ყველას ორმოცდარვაფურცლიანი რვეული ეკავა, აქოდა, ლექცია უნდა ჩავიწეროთო. ამ დროს გაიღო კარი და გამოვიდა ლექტორი დიდი კომბლით და მტაცებლებს დაერია, სდრუზა და სდრუზა ვისაც მისწვდა და თანაც მტაცებლურფობიური ლექსიკით გაჯერებული სიძულვილის ენით ამკობდა ტყის ბინადართ. ცოდნასმოწყურებული მგლები და მელიები ისე გარბოდნენ, ერთმანეთს ასწრებდნენ.

იმ დღის შემდეგ ლექტორს კომბლე შეარქვეს, მაგრამ ვინაიდან წარსულის შეხსენება ძალიან არ სიამოვნებდა, ამიტომ მის ზღაპარს პირდაპირ შუიდან იწყებენ ხოლმე – იყო ერთი კაცი, რომელსაც სამი ცხვარი ჰყავდა და კომბლე ერქვაო... და რომელსაც მუდამ ახსოვდა ის, რაც ბებერმა კოჭლმა ცხვარმა უჩურჩულა.

ჭირი იქა, ლხინი აქა!"... – წერს ხოფერია.

ᲕᲐᲜᲝ ᲛᲔᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲡ, ᲒᲘᲒᲘ ᲣᲒᲣᲚᲐᲕᲐᲡ ᲓᲐ ᲔᲠᲔᲙᲚᲔ ᲙᲝᲓᲣᲐᲡ ᲑᲠᲐᲚᲘ ᲓᲐᲣᲛᲫᲘᲛᲓᲔᲑᲐᲗ

ვანო მერაბიშვილს, გიგი უგულავას და ერეკლე კოდუას ბრალი დაუმძიმდებათ. საქმე ეხება „ეი-ი-ეს" თელასის ფინანსური დირექტორის ნიკოლოზ ლომინაძის მკვლელობაში მსჯავრდებულის – გია გვიჩიანის უკანონო პატიმრობას, საკმაოდ შთამბეჭდავი იქნება იმ ადამიანთა სახელები და გვარები, რომელთა მითითებით შეიქმნა და გაყალბდა აღნიშნული სისხლის სამართლის საქმე.

გვიჩიანის ადვოკატის, ირმა ჭკადუას თქმით, გამოძიების დასრულების შემდეგ პროკურატურამ საქმის მასალები გააცნო როგორც დაცვას, ასევე დაზარალებულ მხარეს.

„საკმაოდ მოცულობითი საქმეა, დაკითხულია ასობით ადამიანი, ჩატარებულია ექსპერტიზები, რამაც პროკურატურა დაარწმუნა იმაში, რომ გვიჩიანი უკანონო პატიმარია. მას შემდეგ რაც სასამართლო გაეცნობა ახალ მტკიცებულებებს, მჯერა, რომ სასამართლო დარწმუნდება გვიჩიანის უდანაშაულობაში.

საქმის მასალებს გაეცნო დაზარალებული, ნიკა ლომიძის მამა. მას მოუკლეს არაჩვეულებრივი შვილი და რეალური მკვლელები დაუსჯელები იყვნენ. ალბათ, ძალიან რთული იქნება ოჯახის გადარწმუნება, რომ დაიჯერონ სიმართლე, მაგრამ როდესაც ფაქტებს გაანალიზებენ დარწმუნდებიან. ვინ არის მკვლელი, – აღნიშნა ჭკადუამ.

მთავარმა პროკურატურამ სახოგადოებისთვის კარგად ცნობილ სამ სისხლის სამართლის საქმეზე უკანონოდ მსჯავრდებულ პირთა განაჩენების გადასინჯვის გადაწყვეტილება მიიღო.

ამ გადაწყვეტილების მიღებამდე აღნიშნულ საქმეებზე ჩატარდა ხელახალი სრულყოფილი გამოძიება, დაიკითხნენ ახალი მოწმეები, ჩატარდა ათეულობით საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება, მოპოვებულ იქნა ახალი მტკიცებულებები და ფაქტები, რის საფუძველზეც გამოძიებამ თითოეულ ამ საქმეში მოიპოვა უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობა.

2006 წლის 15 აგვისტოს სასამართლოს მიერ გამოტანილი იქნა გამამტყუნებელი განაჩენი, რომლის მიხედვით – გიორგი გვიჩიანი, ნოდარ გვიჩიანი, ნიკა ჩემია, ავთანდილ ხერკელაძე და გიორგი პაპაჩაშვილი ცნობილი იქნენ დამნაშავეებად ნიკოლოზ ლომინაძის დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობის ფაქტზე. მაშინ სასამართლომ უდავო ფაქტად მიიჩნია ის, რომ ნიკოლოზ ლომინაძის მკვლელობა მოხდა მაყუჩიანი **„მაკაროვის"** სისტემის იარაღით.

ხელახალი გამოძიების ფარგლებში ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნა გამორიცხავს გარდაცვლილის სხეულზე არსებული ჭრილობის სურათის მიხედვით, სასამართლოების მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას – ნიკოლოზ ლომინაძის მაყუჩიანი იარაღით მკვლელობის თაობაზე. გარდა ამისა, დაიკითხნენ ახალი მოწმეები, რომლებიც ცალსახად უთითებენ ნიკოლოზ ლომინაძის მკვლელობის ფაქტზე მსჯავრდებულების უდანაშაულობის შესახებ.

როგორც პროკურატურაში აცხადებენ, ლომინაძის მკვლელობის საქმის გახსნით დაინტერესებული იყვნენ მაღალი რანგის სახელმწიფო თანამდებობის პირები, შესაბამისად გამოძიებისას ხელოვნურად შეიქმნა მთელი რიგი მამხილებელი მტკიცებულებები, რაც გიორგი გვიჩიანის, ნოდარ გვიჩიანის, ნიკა ჩემიას, ავთანდილ ხერკელაძისა და გიორგი პაპაჩაშვილის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის საფუძველი გახდა.

ადვოკატი გელა ნიკოლეიშვილი აცხადებს, რომ ამ შემთხვევაში მთავარია საქმის მასალები და მტკიცებულებები, რომელმაც უტყუარად დაადასტურა, რომ ნიკა ლომინაძის მკვლელობასთან ნიკა ჩემია და გია გვიჩიანი კავშირში არ არიან.

„პროკურატურამ ეს დაამტკიცა, მასალები შეავსო და შეიტანა სააპელაციო სასამართლოში. 29 ნოემბერს 13:00 საათზე სააპელაციო სასამართლოში გაიმართა სხდომა, სადაც ყველამ დაინახა ამ მასალების რეალურობა. კერძოდ, იმ მოწმეების ჩვენებები, რომლებმაც თვითონ შეკერეს ეს საქმე.

ᲓᲜᲐ არის ერთ-ერთი მტკიცებულება და არა ერთადერთი, რომლითაც დასტურდება, რომ გვიჩიანი არ არის მკვლელობასთან კავშირში", – აღნიშნა გელა ნიკოლეიშვილმა.

კიდევ ერთი გახმაურებული სისხლის სამართლის საქმე, რომლის ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის გადაწყვეტილება იქნა მიღებული, გახლავთ გენერალ თამაზ ნინუას და მისი მეუღლის, ეთერ ნინუას მკვლელობისთვის მსჯავრდებულის თამაზ გოგიას საქმე, რომელსაც 2010 წლის 13 აგვისტოს განაჩენით მკვლელობისთვის 17 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

თამაზ გოგიას ბრალად ედებოდა გენერალ თამაზ ნინუას საცხოვრებელ ბინაში, კომპანიის წილებთან დაკავშირებით წარმოშობილი დავის გამო, მაყუჩიანი იარაღით, ჯერ თამაზ ნინუას, ხოლო შემდგომ მისი მეუღლის ეთერ ნინუას მკვლელობა.

თამაზ გოგიას მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას საფუძვლად დაედო ქიმიური ექსპერტიზის დასკვნა, რომლის თანახმადაც დენთის შემადგენელი კომპონენტის ფუნქციონალური ჯგუფის NO2-ის არსებობა დაფიქსირდა გოგიას მარჯვენა და მარცხენა ხელის ანაწმენდზე, რაც მთავარი მტკიცებულება გახდა თამაზ გოგიას მიმართ მკვლელობაში მსჯავრდებისთვის.

ახალი გამოძიების პირობებში, სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსა და შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის მიერ გაცემულ იქნა კომისიური ქიმიური ექსპერტიზის დასკვნა, რომელმაც გამორიცხა თამაზ გოგიას ხელის ანაწმენდებზე დენთის კვალის არსებობის ფაქტი.

გარდა ამისა, ახალი გამოძიებით გამოიკვეთა ის გარემოება, რომ სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლებს გააჩნდათ არალეგიტიმური დაინტერესება თამაზ გოგიას მიმართ, რათა მას ხელოვნურად შერაცხოდა თამაზ და ეთერ ნინუების მკვლელობის ფაქტი. ამ მიზნით სისხლის სამართლის საქმეში ხელოვნურად შეიქმნა მისი მამხილებელი მტკიცებულებები, რომლებიც გაბათილდა და ეჭვქვეშ დადგა ახალი გამოძიებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებით.

ახლად გამოვლენილი გარემოებები გამოიკვეთა ნორა არღვლიანის საქმეზე. კერძოდ, გამოძიებით დადგინდა, რომ ნორა არღვლიანს სამართალდამცავებმა თავისუფლება აღუკვეთეს უკანონოდ და მას ბრალდება წარუდგინეს ყალბი მტკიცებულებების საფუძველზე. 2006 წლის 25 ივლისს, კოდორში განვითარებული მოვლენების დროს, ბატალიონ **„მონადირის"** ხელმძღვანელის ემზარ კვიციანის და მისი თანამებრძოლების დაკავების მიზნით შსს და თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული დანაყოფები შევიდნენ კოდორის ხეობაში, სადაც იმყოფებოდა ნორა არღვლიანი, რომელსაც არანაირი წინააღმდეგობა სამართალდამცავებისთვის არ გაუწევია.

მიუხედავად ამისა, გაქცეულ ემზარ კვიციანზე ზემოქმედების მოხდენის მიზნით, სამართალდამცავებმა ნორა არღვლიანი დააკავეს, რაც მისი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის ამოღების შემდეგ მოხდა. მაშინ, როდესაც ახალი გამოძიებით დადგინდა, რომ საცხოვრებელ ბინაში არანაირი ჩხრეკა არ ჩატარებულა, ჩხრეკაში მონაწილე სამართალდამცავები კოდორის ხეობაში საერთოდ არ ყოფილან.

როგორც ნორა კვიციანმა ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, მიხეილ სააკაშვილის და მისი გუნდის მძევალი იყო, რომელსაც ყალბი გამოძიების შედეგად საპატიმროში წლები გაატარებინეს.

„ბრალად მედებოდა იარაღის უკანონო შენახვა, უკანონო ფორმირებების შექმნა, ჰუმანიტარული დახმარების მითვისება, სახლის ჩხრეკის დროს სახლში იარაღი იპოვეს ისე, რომ მე ის არ მქონია. მითვისებას რაც შეეხება, ეს იყო სრული სიცრუე. მე ვიყავი სააკაშვილის და მისი გუნდის მძევალი, რომელსაც კოდორის ხეობის ჩაბარების ინტერესი ჰქონდა, ეს იყო პოლიტიკური დაკავება. კოდორის სახლი დამიყადაღეს. ჩემი შვილის გულისთვის მე მძევლად ამიყვანეს 21-ე საუკუნეში", – განაცხადა ნორა კვიციანმა.

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

მეცინებოდა... მაინც საქართველოს ნაკრებში ვითამაშებ-მეთქი! – პსჟ-ს ფორვარდის ამბავი

ქართველი ფორვარდი ნიკა ქუთათელაძე 2016 წლის ზაფხულის სატრანსფერო ფანჯრის დროს ფრანგულ გრანდ **"პარი სენ-ჟერმენის"** საკუთრება გახდა. აქ ნიკას უმცროსი ძმა, სანდროც აიყვანეს.

180 სმ სიმაღლის ნიკა მხოლოდ 15 წლისაა... 8 წლის იყო, მისი ოჯახი უცხოეთში რომ დასახლდა. საფრანგეთამდე ჩეხეთში ცხოვრობდნენ, ხოლო ნიკა პრაღის **"სპარტას"** საფეხბურთო სკოლაში ვარჯიშობდა, ბოლო 5 წლის განმავლობაში კი **"ლილის"** აკადემიის 15 და 16-წლამდელთა გუნდებში ათამაშებდნენ.

Sportall.ge ნიკას მის განვლილ გზაზე, საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებზე და თავის უმცროს ძმაზე ესაუბრა.

5 წლის ვიყავი, ბაბუამ ფეხბურთზე რომ მიმიყვანა. გუნდს **"ლიდერი"** ერქვა და ტექნიკური უნივერსიტეტის სტადიონზე ვვარჯიშობდით. ირაკლი გორგოშიძე მწვრთნიდა... **"ლიდერში"** 3 წელი დავყავი.

ამის შემდეგ, მამამ სინჯებზე პრაღის **"სპარტაში"** მიმიყვანა. პირველ თამაშში 3 გოლი გავიტანე, მეორეში – ორი, მესამეში – ოთხი და დამტოვეს. ჩეხეთში ორი წელი გავატარე და თითქმის ყველა ტურნირზე ხან საუკეთესო ფეხბურთელის, ხანაც საუკეთესო ბომბარდირის პრიზს ვიღებდი.

შემდეგ მამამ ჩათვალა, რომ **"სპარტაზე"** უკეთეს კლუბში უნდა მეთამაშა. სინჯებზე **"ბარსელონაში"** მიმიყვანა. იქ სულ 10 დღე გავატარე. ერთ მატჩში მათამაშეს და გოლიც გავიტანე, თუმცა არ დამტოვეს. ასე გვითხრეს, 13 წლამდე მხოლოდ კატალონიელებს ვაძლევთ შანსსო... მე კი ვფიქრობ, რომ მაშინ კლუბის მოთხოვნები ვერ დავაკმაყოფილე და უარი ლამაზად გვითხრეს...

ამის მერე იყო **"მილანი"**... ვისარგებლებ შემთხვევით და დიდ მადლობას გადავუხდი კახა კალაძეს. ჩემთან დაკავშირებით, მას და გიორგი დემეტრაძეს მამამ მიმართა თხოვნით. კალაძემ მიმიყვანა **"მილანში"** სინჯებზე, თუმცა მაშინ კლუბში ექიმი არ იყო და სამედიცინო შემოწმების გავლა კერძო კლინიკაში მიწევდა. ეს შემოწმება ძალიან ძვირი ღირდა და თანხა სრულად კალაძემ დაფარა. მანვე **"მილანი"-"იუვენტუსის"** თამაშზე მთელ ოჯახს 6 ბილეთები გადმოგვცა. დაუვიწყარი იყო...

"მილანში" ორი კვირა ვიყავი. თავდაპირველად, 1-წლით უფროს გუნდში მათამაშეს. 1:3 წავაგეთ და ის ერთი გოლი მე გავიტანე. შემდეგ ჩემს თანატოლებთან ვითამაშე, 6:2 მოვიგეთ და 5 გოლი გავიტანე. პაოლო მალდინის ვაჟი, დანიელ მალდინი იყო იმ გუნდის კაპიტანი. თუ არ ვცდები, დღესაც ის კაპიტნობს გუნდს. ძალიან მინდოდა დარჩენა, მაგრამ უარი მივიღეთ – მამას უთხრეს, თქვენი შვილი ჩვენს ბავშვებზე ძლიერი არ არისო...

"მილანიდან" "ლილში" წავედი. მანდაც სინჯები გავიარე და დამტოვეს. იქ 5 სეზონი გავატარე და 117 გოლი გავიტანე.

ამის გარდა, 12-წლამდელთა ჩემპიონთა ლიგა მოვიგე, 14 გოლით საუკეთესო ბომბარდირებში მეორეზე მოვხვდი, უამრავი ჯილდო მოვიპოვე და ბოლო წელს ჩრდილოეთ საფრანგეთის ჩემპიონებიც გავხდით.

ამ დროს პსჟ-ს სკაუტებს მოვეწონე, სინჯებზე მიმიწვიეს. მათამაშეს... 5:2 მოვიგეთ – 2 გოლი მე გავიტანე, დანარჩენ 3-ში კი საგოლე გადაცემა მივითვალე.

მატჩის შემდეგ კლუბის დირექტორი და მწვრთნელი მოვიდნენ ჩემთან, მკითხეს, მსურდა თუ არა პსჟ-ში თამაში. მითხრეს, საკმაო ხანია გაკვირდებით, კარგად გიცნობთ და ძალიან კარგი ფეხბურთელი ხარო... დავთანხმდი.

ერთი კვირის შემდეგ დამიბარეს, კიდევ ერთხელ მათამაშეს. 0:1 აგებდა გუნდი და ბოლო წუთზე გავიტანე. ერთ კვირაში სამედიცინო შემოწმება გავიარე და საბოლოო შეთანხმებაც შედგა.

პსჟ-ში ადაპტაციის გავლა არ გამჭირვებია. 16-წლამდელებში ვთამაშობ, 17 წლამდელებთან კი ვვარჯიშობ. აქ უფრო დიდ ყურადღებას ფიზ.მომზადებას ანიჭებენ. 6 ჩატარებული მატჩიდან 5-ში ძირითად შემადგენლობაში ვიყავი. ჩემს ანგარიშზე უკვე 3 გოლი და ამდენივე საგოლე გადაცემაა. ბოლო, მე-6 მატჩში სასტარტოში არ ვყოფილვარ, თუმცა მე-60 წუთზე, როცა 1:2 ვმარცხდებოდით, მწვრთნელმა შემიშვა და ორი გავიტანე. საბოლოოდ, 3:2 მოვიგეთ...

პატრიკ კლუივერტი დადის ხშირად თამაშებზე და გვაკვირდება. აქ ნაკრებები რეგიონებადაა დაყოფილი. ჯერ რეგიონის ნაკრებში გიწვევენ და თუ თავი გამოიჩინე, მერე ასაკობრივ გუნდებშიც გიძახებენ. "ლილიდან" ჩრდილოეთ საფრანგეთის 14-წლამდელთა ნაკრებში 4 ფეხბურთელს უხმეს – ერთ-ერთი მე ვიყავი. რამდენიმე ეტაპი უნდა გაგვევლო...

4 ეტაპი წარმატებით გავიარე და ბოლოს, ნაკრების სამწვრთნელ ბაზაზე 44 საუკეთესო მოთამაშე შეგვკრიბეს. მანამდე ისე, ლიცენზიით მიძახებდნენ. საქმე იმაშია, რომ აქ ყველა ფეხბურთელს სალიცენზიო ბარათს გვაძლევენ, რომლითაც ვთამაშობთ. ჩვენს შესახებ ინფორმაციას სწორედ ამ სალიცენზიო ბარათით იგებენ. მასზე ყველაფერია, გარდა ეროვნებისა. ამიტომ, ისე მიძახებდნენ, ეროვნება არ იცოდნენ... სამწვრთნელ ბაზაზე, როცა პირადობის მოწმობა მოითხოვეს და ნახეს, რომ ქართველი ვარ და საქართველოს მოქალაქეობა მაქვს, ბოდიში მომიხადეს. საფრანგეთში უამრავი უცხოელი ფეხბურთელია აქაური მოქალაქეობით და მეც ერთ-ერთი ასეთი ვეგონე...

ერთი კვირა საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციიდან ფსიქოლოგები რეკავდნენ, ძალიან არ განიცადოს ეს ამბავი და ფსიქოლოგიური დარტყმა არ მიიღოსო. მეცინებოდა... ვპასუხობდი, ისედაც არ ვაპირებდი თქვენს ნაკრებში თამაშს და რომ მაინც საქართველოს ნაკრებში ვითამაშებ!

საფრანგეთს აქვს ორმაგი მოქალაქეობა, მაგრამ ჩემთვის არავის შემოუთავაზებია. რომც შემომთავაზონ, ჩემი მხრიდან უარი იქნება – ჩემი ოცნება საქართველოს ნაკრებია!

შესაძლოა, გულშემატკივარს კითხვა გაუჩნდეს, თუ რატომ დავდიოდი იმ შეკრებებზე, თუკი საქართველოს ნაკრები მსურს... მამა მეუბნებოდა, წადი და მოსინჯე შენი ძალები, ნახე რამდენ ეტაპს დაძლევო...

თავის მხრივ, მეც მაინტერესებდა ჩემი შესაძლებლობები. თანაც, ფეხბურთის თამაში არასოდეს მეზარება. დიდი გამოცდილება მივიღე და ვფიქრობ, მამა სწორად მოიქცა, როცა იმ ნაკრებში თამაშით დამაინტერესა – გამოცდილების მიღების გარდა, ბევრმა გამიცნო, მეც ბევრი გავიცანი და ბევრი პოზიტივი იყო, თორემ, მერწმუნეთ, თავიდანვე საქართველოს სახელით თამაში მქონდა გადაწყვეტილი.

საფრანგეთის გარდა, უკრაინიდანაც მქონდა შემოთავაზება. ბებია მყავს უკრაინელი, ჰოდა დონეცკის **"შახტარი"** და კიევის **"დინამო"** მიწვევდნენ უკრაინის ნაკრების დაპირებით... ისინიც უარით გავისტუმრე.

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებში სულ ორი მატჩი მაქვს ჩატარებული და ორივე აზერბაიჯანთან. პირველ შეხვედრაში 6-7 წუთი მომეცა, მეორეში კი, სადაც 4:1 მოვიგეთ, 18 წუთი და მეოთხე გოლი მე გავიტანე. ჩემზე ბედნიერი იმ დღეს კაცი არ მეგულებოდა.

მაგრამ, საბოლოოდ, ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის 18-კაციან განაცხადში ვერ მოვხვდი, რაზეც ძალიან დამწყდა გული. ძალიან მინდა საქართველოს მაისურით თამაში...

ბაბუა მიყვებოდა პატარაობაში, მიხეილ მესხი როგორ **"აწამებდა"** მცველებს, სლავა მეტრეველს მეკარეები პენალტს რომ ვერ უღებდნენ... მიყვებოდა ილია დათუნაშვილის ჩახვეულ კუთხურზე... **"არარატი-სათვის"** ხუთი გოლის გატანის შემდეგ, თურმე სომხეთში ბავშვებს ძილის დროს მშობლები სწორედ მისით აშინებდნენ – დაიძინე, თორემ დათუნაშვილი მოვაო... გუცაევი მოწინააღმდეგის მცველებს პენალტებს კიდებდა ხშირადო... მეუბნებოდა, რომ გია გურული საფრანგეთში პირველი ქართველი იყო... კახა ცხადაძე კი პირველი ქართველი ლეგიონერი...

სწორედ ამ ყველაფრის შემდეგ მსურს **"დინამო არენაზე"** საქართველოს ნაკრების მაისურით თამაში. ზუსტად ისე, როგორც ისინი!

კალმახის ქვირითობა მარტვილის კანიონში

ულამაზესი და განუმეორებელია სამეგრელოს მთიანეთი. მსოფლიოს ვერცერთ კუთხეში ვერ წააწყდები იმდენ სილამაზესა და უცნაურობებს, რამდენსაც აქ. და არა მხოლოდ ბუნებაა ლამაზი – აქაური ტყეებიც სავსეა ფლორის ძალზე იშვიათი წარმომადგენლებით, ულამაზესი ფრინველებით, მდინარეებში კი დადგაფუნებენ უნიკალური ჯიშის თევზები.

მარტვილისა და ოკაცეს ბუნების ძეგლების ადმინისტრაციამ გაავრცელა ვიდეო, სადაც მარტვილის კანიონში კალმახის ქვირითობის პროცესია აღბეჭდილი. ბევრი სხვა სახეობის თევზისგან განსხვავებით კალმახი არა გაზაფხულზე, არამედ შემოდგომის მიწურულსა და ზამთრის დასაწყისში ქვირითობს.

კალმახი ორაგულისებრთა ოჯახიდანაა. ბინადრობენ მთის ტბებსა და მდინარეებში. უყვართ ცივი, ჟანგბადით მდიდარი, სუფთა წყალი. ტბებში უფრო დიდი კალმახებია, მდინარეებში კი პატარები. თევზის ეს სახეობა სწრაფად იზრდება, კარგად უძლებს დაავადებებს და სითბოს.

კალმახი საქართველოში გავრცელებულია ფარავნის, საღამოს, ტაბაწყურის, რიწის ტბებში, მაღლა თეორ და შავ არაგვში, ბჟოლიხევში, საკრაულას სანახებში და მრავალ მთის მდინარეში. იკვებებიან კიბოსნაირებით, მწერებით, მათი მატლებით, ლოკოკინებით, წურბელებით, სხვა ჯიშის თევზების ლიფსიტებით და სხვა. დღეს საქართველოში მრავლადაა საკალმახე მეურნეობები, სადაც მოშენებულია ცისარტყელოვანი კალმახები. მიუხედავად იმისა, რომ ფერმებში ხელოვნურად გამოყვანილი თევზები გემოთი დიდად არ გამოირჩევიან, მაღალმთიან ზონებში გაშენებულ ფერმებში გაზრდილი კალმახი მაინც არ კარგავს მაღალ ორგანოლეპტიკურ თვისებებს.

კალმახი შეტანილია წითელ წიგნში და მისი ჭერა აკრძალულია ნებისმიერი მეთოდით.

ემზარ კვიციანი: ნაციონალებმა კოდორის ხეობაში მილიარდ დოლარზე მეტი გაათეთრეს

„ემზარ კვიციანმა ნაციონალებს დანაპირები შეუსრულა და მედიით მათთან დაკავშირებული სკანდალური მასალების გამოქვეყნება დაიწყო", – წერს გაზეთი **„ახალი თაობა"**. მისი ინტერესის საგანი 2006-2008 წლებში, კოდორის ხეობაში გადარიცხული თანხებია. კვიციანის მტკიცებით, ამ პერიოდში ნაციონალებმა ხეობაში 1,2 მილიარდი დოლარი გაათეთრეს.

„მაინტერესებს, რა თანხები იყო კოდორის ხეობისთვის გათვლილი, როცა მე გუბერნატორი ვიყავი. მაქვს ინფორმაცია, რომ უამრავი ფული გაათეთრეს. ნდობის ჯგუფში ჩემი ყოფნის შემთხვევაში, მე სრული უფლება მექნება, მოვითხოვო გრიფის მოხსნა და გავიგო, თუ რა ფულს ათეთრებდნენ ნაციონალები. ვიცი, რომ მილიარდ ორას მილიონ დოლარზე მეტი მათ მხოლოდ 2 წლის განმავლობაში გაათეთრეს", – განაცხადა საგანგებო პრესკონფერენციაზე ემზარ კვიციანმა.

იუმორი

კახელმა მანქანა იყიდა.

– კმაყოფილი ხარ? – ეკითხება მეგობარი.

– აბა რა, მაგარი მანქანაა! გაჩერებულზეც კი საათში ოცი კილომეტრი სიჩქარე აქვს.

– ეს როგორ?

– სპიდომეტრი ასე აჩვენებს და...

* * *

ქმარი ნადირობიდან ბრუნდება და წინასწარ ურეკავს ცოლს:

– მთელი თვე ხორცს აღარ ვიყიდით.

– ტახი მოკალით?

– არა, ხელფასი შემომეხარჯა.

* * *

– მამაშენს ბოლომდე შერჩა ნათელი გონება?

– არ ვიცი, ხვალ ანდერძს გამოვიტანთ ნოტარიუსიდან...

* * *

განცხადება "რუსთავი-2"-ის გადაცემა "კურიერში":

– და, ერთადერთი კარგი ამბავი – ჩვენი გადაცემა დასრულებულია...

* * *

ქმარი ცოლს მაშინ უღებს მანქანის კარს, როცა ან ცოლია ახალი, ან – მანქანა.

გარდაიცვალა სახალხო მკურნალი, რომელმაც მოუგო ომი მძლავრ ნაციონალურ ფარმაკომაფიას, მის დაძირვას რომ ცდილობდა.

დომენტი გაგნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შველის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.

ახლა მკურნალის საქმეს აგრძელებენ მისი შვილები: ზეზვა და დოდო.

კოორდინატებია: თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო "ისანთან"), ყოველდღე – 10-დან 16 საათამდე.

ტელ: 593-22-66-51, 593-62-28-48



მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან

ISSN 1987-8966 "ილორი"

/ / 1987 896009

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 სარეგ. №01018002930

234-32-95

მთავარი რედაქტორი: **როლანდ ჯალაღანია**

გაზეთის მენეჯერი: 599-34-37-27 ტექრედაქტორი 568-01-21-32

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge